საქართველოს პარლამენტი რუსეთის დუმას ევროპაში დაელაპარაკება A3
კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრის პრობლემა და მისი განვითარების დინამიკა A8
კვირის TV პროგრამა B4-B5

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
პარასკევი, 27 სექტემბერი, 2002 წელი. №117
ფასი 50 თეთრი

# რუსლან გელაევის რაზმი ჩეჩნეთში გამოჩნდა

## კრემლს ამის აღიარება არ სურს

ზაზა წულაძე

*გუშინ საღამოს, რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი კვლავ დაემუქრა საქართველოს საჰაერო დაბომბვებით.* ***"თუ დადასტურდა, რომ ინგუშეთში შეჭრილი ბოევიკები საქართველოდან მოდიოდნენ, ეს იქნება უკანასკნელი წვეთი, რათა პანკისის ხეობაში ტერორისტების ბაზების განადგურება გადავწყვიტოთ,"*** *– ვარშავაში ეს განაცხადება ივანოვმა მას შემდეგ გააკეთა, როცა უკვე ცნობილი იყო, რომ ჩეჩენი მეამბოხეების 250-კაციან დაჯგუფებასთან სისხლისმღვრელი ბრძოლისას, რუსეთის 58-ე არმიამ ერთი მი-8 ტიპის სამხედრო ვერტმფრენი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი, ორი მფრინავი და 14 ჯარისკაცი დაკარგა. ინგუშეთის სოფელ გალაშკისთან შეტაკება გამთენიისას დაიწყო და მას, როგორც რუსეთის პრეზიდენტის აპარატში ამტკიცებენ, გამაჰმადიანებული რუსი ვიტალი სმირნოვი ხელმძღვანელობდა, მაშინ, როცა ჩეჩნური წყაროები კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ გალაშკის ოპერაციას ცნობილი საველე მეთაური რუსლან გელაევი უდგას სათავეში.. სააგენტო "ასოშეიტედ პრესმა" გელაევის რაზმის სამშობლოში გამოჩენის ამსახველი უტყუარი კადრები გუშინვე გაავრცელა მთელ მსოფლიოში.*

ჩეჩნური წყაროების მტკიცებით, რუსლან გელაევის რაზმმა 15-22 სექტემბრის მონაკვეთში დატოვა პანკისის ხეობა და, მდინარე ასას ხეობის გავლით, ჯერ ინგუშეთში, შემდეგ კი ჩრდილო ოსეთში გადავიდა. რამდენიმე დღის წინ მეამბოხეები ვლადიკავკაზიდან 20 კილომეტრში მდებარე სოფელ ტარსკოეს შემოგარენიდან აიყარნენ და გეზი ინგუშეთის სოფელ გალაშკისკენ აიღეს, საიდანაც ჩეჩნურ დასახლებულ პუნქტ ბამუტამდე სულ 12 კილომეტრია. რუსეთის არც ერთი ოფიციალური პირი არ საუბრობს იმაზე, თუ როგორ მოახერხა 250-მა კარგად შეიარაღებულმა ადამიანმა, ჯერ საქართველოსა და რუსეთის კარგად დაცული საზღვრის გადალახვა, შემდეგ კი რუსეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული კილომეტრის შეუმჩნევლად გავლა.

გაგრძელება A3 გვერდზე




*რუსლან გელაევის რაზმის მოძრაობის შესაძლო მარშრუტი, საქართველოდან ინგუშეთის სოფელ გალაშკამდე.*







# ზურაბ ჟვანიამ სტრასბურგიდან რუსული დათვის ტყავი ჩამოიტანა

## და საქართველოს პარლამენტში გამოფინა

გიორგი ასანიშვილი

ზურაბ ჟვანია იმ იშვიათი პოლიტიკოსების რიგებს მიეკუთვნება, რომლებიც თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც ახერხებენ ავტორიტეტის, საზოგადო პატივისცემისა და პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მიმართ პატივისცემას გამოხატავენ და მის მიმართ ძველებურ რიდს ინარჩუნებენ არა მარტო მისი თანამოაზრეები, არამედ ოპონენტებიც. გასული წლის ნოემბრიდან დღემდე, ჟვანიას პოლიტიკური აქციები არ გაუფასურებულა, მის აზრსა და სიტყვას დღესაც თითქმის ისევე უწევენ ანგარიშს, როგორც სპიკერის სავარძელში ჯდომის დროს.

ახლანდელი სტატუსი, თავისი პოლიტიკური კარიერის ამ ეტაპზე, ზურაბ ჟვანიას, როგორც ჩანს, სავსებით აკმაყოფილებს.

**"ამ მოწვევის პარლამენტში არანაირი თანამდებობის დაკავებას არ ვაპირებ, არ მსურს, ამ პარლამენტს წარმოვადგენდე, მით უფრო - საერთაშორისო ორგანიზაციებში. მე მყოფნის ჩემი სტატუსი, სახელი და გვარი იმისთვის, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას მივაღწიო"**, - აცხადებს სტრასბურგიდან დაბრუნებული და საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ანგარიშით წარმდგარი ჟვანია.

გაგრძელება A3 გვერდზე

მამალაძის პანკისური ვოიაჟი - ჟამეთ და გამაგრდით! A2
საპარლამენტო კომისიის ბედი დღეს გადაწყდება A3
გიორგი კობახიძე: "ოპოზიციონერობა დღეს უმარტივესი გზაა" A3
თბილისს დენი არ შეუწყდება, მოსახლეობა კი გაზრდილ ტარიფს გადაიხდის A4
ბანკირები თავს კანონით და იარაღით დაიცავენ A4
ავღანეთში ოპიუმის წარმოებამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია A5
ჰააგაში მილოშევიჩის სასამართლო პროცესი განახლდა A5
პანკისის ხეობაში პოლიციამ რვა მოპარული ავტომობილი იპოვა A7
საზღვარზე დაკავებულ ოთხეულს სამთვიან პატიმრობას მიუსჯიან A7
გაქცევა არ შედგა A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | ☼ |
| ქუთაისი | 33 | ☁ |
| ბათუმი | 32 | ☁ |
| სოხუმი | 33 | ☁ |
| ფოთი | 33 | ☁ |
| თელავი | 28 | ☼ |
| ზუგდიდი | 34 | ☁ |
| გორი | 27 | ☼ |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1770 |
| ევრო | 2.1304 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3939 |
| რუბლი | 0.0688 |

# ამერიკა-რუსეთის დიპლომატიური დუელი - ვაშინგტონი ცდილობს, სადამ ჰუსეინს „კანონიერად" დაარტყას

გიორგი ხელაშვილი

*თუ რუსეთი საბოლოოდ იტყვის უარს ერაყის საწინააღმდეგო რეზოლუციის მიღებაზე, შეერთებული შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის შეიძლება დიპლომატიური ომი დაიწყოს.*

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ბუშმა გუშინ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ერაყის საწინააღმდეგო რეზოლუციის სწრაფად მიღება მოსთხოვა, რეზოლუციის პროექტი მხოლოდ მომავალ კვირაში იქნება მზად, რადგან მისი შინაარსის თაობაზე ამერიკელებსა და მის მოკავშირეებს შორის უთანხმოება გაჩნდა

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერაყი დროს მოიგებს, მომავალ კვირაში ვენაში დაგეგმილ საგანგებო შეხვედრაზე გაერო-ს ინსპექტორების ხელმძღვანელ ჰანს ბლიქსთან მოლაპარაკებებს გამართავს და კიდევ ერთხელ საჯაროდ დაადასტურებს, რომ გაერო-სთან თანამშრომლობს და ამერიკელებისგან უსამართლოდ იჩაგრება.

გაგრძელება A5 გვერდზე

# სააკაშვილის პროგნოზით, „ეი-ი-ესი" მიდის, „იტერასთან" კი მოლაპარაკებები ჩაიშალა

ეკა კვესიტაძე

უკრაინა-ამერიკა-რუსეთში ვოიაჟის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა ოფიციალურად პირველად განაცხადა იმის შესახებ, რომ კომპანია "იტერასა" და საქართველოს ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, ჩაიშალა. სააკაშვილის განცხადებით, "იტერას" შემოსვლას ხელი ამერიკის ადმინისტრაციამ შეუშალა. იგი აპელირებას შევარდნაძის სახელზე გამოგზავნილ ბუშის წერილზეც აკეთებს, სადაც ამერიკის პრეზიდენტი თავის ქართველ კოლეგას, პირველ რიგში, ენერგეტიკაში რეფორმების გატარებისაკენ მოუწოდებს.

ამ ინფორმაციას არც რუსეთში და არც საქართველოში არ ადასტურებენ. "24 საათის" ინფორმაციით კი,

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი პარტია „კაცების პოლიტიკის" შეცვლას აპირებს

ვერიკო თევზაძე

*საქართველოს ნეოლიბერალური პარტიის დამფუძნებლები აცხადებენ, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანება საპარლამენტო არჩევნებისთვის არ შექმნილა.* ***"ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია პარტიის მშენებლობის პროცესი"****, - განუმარტა პრესას კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ რეზო შავიშვილმა, რომელიც პარტიის ლიდერი არ იქნება.* **"ჩვენ, საქართველოს მოქალაქეთა ერთი ნაწილი, ვაფუძნებთ რა ახალ პარტიას, საზოგადოებას ვთავაზობთ ქვეყნის განვითარების ჩვენეულ ხედვას, რომელიც ემყარება, ერთი მხრივ, ქართული ეროვნული იდეის და, მეორე მხრივ, ნეოლიბერალური ღირებულებების ერთიან, მეცნიერულ გააზრებას."**

ნეოლიბერალისტები, რომლებიც აღიარებენ კერძო საკუთრების პრიორიტეტს და თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებს, იმავდროულად აუცილებლად მიიჩნევენ სოციალური მხარდაჭერის სისტემის შექმნას. **"სახელმწიფო ვალდებულია, მიხედოს ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს - როგორც ძლიერსა და წარმატებულს, ასევე სუსტს. ეს სისტემა ყველაზე საუკეთესო გზაა საზოგადოების თითოეული წევრის ღირსეული არსებობისათვის."**

გაგრძელება A2 გვერდზე



*ნეოლიბერალური პარტიის პირველი პრესკონფერენცია.*

# ენერგეტიკას ინვესტორების გარეშე დარჩენა ემუქრება

მაია ურუშაძე
გიორგი კალანდაძე

*უახლოეს თვეებში საქართველოს ენერგეტიკულ სფეროში ორი სიახლეა მოსალოდნელი – სავარაუდოდ, ჩაიშლება საქართველოს მთავრობის მოლაპარაკება "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ და საქართველოს დატოვებს უმსხვილესი ინვესტორი - ამერიკული კორპორაცია "ეი-ი-ესი". თუმცა, სამთავრობო და ბიზნეს წრეები არც ერთ ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ერთადერთი წყარო, რომელიც არ მალავს, რომ "იტერასთან" მოლაპარაკება შეწყდა და "ეი-ი-ესი" უკვე ჩემოდნებზე ზის, "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილია.*

გაგრძელება A4 გვერდზე

# ხელისუფლების ზოგიერთი წევრი საქართველოს მტერია

## აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე

ინგა ალავიძე

უშიშროების სამინისტრო საქართველოს მოსახლეობას მოსალოდნელი სერიოზული საფრთხის შესახებ აფრთხილებს. გუშინ ამ მიზნით საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილემ, ლაშა ნაცვლიშვილმა, სპეცბრიფინგი გამართა. **"უშიშროების სამინისტროს გააჩნია უტყუარი, დადასტურებული ინფორმაციები ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ეს საფრთხე გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ის , შეუფარდეს თუ არა პანკისის ხეობაში დაკავებულებს პატიმრობა,"** – განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა. მისივე თქმით, უშიშროების სამინისტრო აუცილებლობად თვლის, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას და ამიტომ უწყება აქამდე უჩვეულო ფორმას მიმართავს: **"უშიშროების სამინისტრო გამოვა ჩარჩოდან და სამართლებრივი რეაგირების გარეშეც წარუდგენს საზოგადოებას ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა საფრთხე ელოდება ქვეყანას, რის ზღვარზე დგას საქართველო"**, - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ნავთობპოლიტიკა
B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 იუმორი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# რუსლან გელაევის რაზმი ჩეჩნეთში გამოჩნდა

პირველი გვერდიდან

გალაშკისთან პირველი შეტაკება დილის ოთხ საათზე მოხდა, როცა მეამბოხეების ნაწილი შემთხვევით ინგუშმა ომონელებმა აღმოაჩინეს და ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ, საქმეში უკვე 58-ე არმიის ნაწილები და სამხედრო შვეულმფრენები ჩაებნენ, რომელთაგან ერთი ჩეჩნებმა უკვე დილის რვა საათისთვის ჩამოაგდეს. მთელი დღის განმავლობაში გაურკვეველი იყო, ვის ებრძოდა სამი ათასამდე რუსი ჯარისკაცი, რომლებსაც არც მეტი, არც ნაკლები, თავად რუსეთის გენშტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი ხელმძღვანელობდა. რუსეთის სამხედრო ელიტა (ისევე, როგორც ჩეჩნური წყაროები) მთელი დღის მანძილზე ამტკიცებდა, რომ 58-ე არმიის ნაწილები სწორედ რუსლან გელაევის რაზმს ებრძოდნენ და ის ალყაშიც კი ჰყავდათ მოქცეული, მაშინ, როცა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სერგეი იასტრჟემბსკის, დღის განმავლობაში რამდენჯერმე მოუხდა განმარტება, რომ რუს ჯარისკაცებს 26 წლის აბდულ-მალიკის, იგივე გამაჰმადიანებული რუსის, ვიტალი სმირნოვის რაზმთან უწევთ ბრძოლა.

გალაშკისთან ბრძოლის დროს რუსეთის ფედერალური არმიის ჯარისკაცებმა ჩაცხრილეს ბრიტანული ტელეკომპანია Frontline television-ის ტელეჟურნალისტი როდერიკ სკოტი. 31 წლის ლონდონელი, ჩეჩნეთში გადასვლამდე, თბილისში და პანკისში ცხოვრობდა, მასთან აღმოაჩნდა დიდი ბრიტანეთის პასპორტი, საქართველოს ვიზით № 364496, რომელსაც ვადა თერთმეტი დღის წინ, 15 სექტემბერს გაუვიდა. "24 საათის" ინფორმაციით, სკოტი, რომელსაც გაუკეთებია რეპორტაჟები ერაყიდან, ავღანეთიდან და იუგოსლავიიდან, საქართველოს ტერიტორიაზე 13 ივნისს შემოვიდა, მცირე ხნის მანძილზე ცხოვრობდა თბილისში, შემდეგ კი პანკისში გადავიდა, სადაც Frontline television-თვის ჩეჩენი მეამბოხეების ცხოვრებაზე დოკუმენტურ ფილმს იღებდა. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, სკოტთან ერთად, ბრძოლის დროს დაიღუპნენ საქართველოს, სირიისა და თურქეთის მოქალაქეებიც, თუმცა, რუსულ მხარეს ინგლისელისგან განსხვავებით, მათი ვინაობა არ დაუსახელებია. **"როგორც ჩვენთვის ცნობილია, რუსეთის სამხედროებმა გაავრცელეს ცნობა სოფელ გალაშკისთან ქართველი სტუდენტის სიკვდილის შესახებ. მათ არ მოუწოდებიათ ჩვენთვის ამის დამადასტურებელი მასალები. ამიტომ ვერავითარ კომენტარს, ნამდვილად იბრძოდა თუ არა ჩეჩნების მხარეს საქართველოს მოქალაქე, ვერ გავაკეთებ. რაც შეეხება როდერიკ სკოტს, ის ნამდვილად არის დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, ტელეჟურნალისტი და საქართველოში, დიდ ბრიტანეთში ჩვენი საელჩოს მიერ გაცემული ვიზით შემოვიდა, ის რამდენჯერმე არის ნამყოფი ჩვენს ქვეყანაში,"** – გვითხრა საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა, რომელმაც არ ისურვა საკუთარი ვინაობის დასახელება.

რუსული წყაროების ცნობით, გუშინდელი ბრძოლისას ჩეჩნებმა 78 მებრძოლი დაკარგეს, მაშინ, როცა ჩეჩნური ინტერნეტ-საიტები, მხოლოდ 15 მოჯაჰედის სიკვდილს ადასტურებენ. შეტაკების დროს ასევე დაიღუპა გალაშკის მკვიდრი ორი მშვიდობიანი მცხოვრები.

გვიან ღამისთვის, როცა სოფელ გალაშკის გარშემო კვლავ მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, კვლავ გაურკვეველი იყო, კონკრეტულად, რომელი საველე მეთაურის რაზმი ებრძვის რუსეთის 58-ე არმიას, როგორ და რა მიზნით მოხვდა ეს დაჯგუფება მაინცდამაინც ინგუშეთის ამ პატარ სოფელში. სიტუაცია კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა ტელეკომპანია "ნტვ-ს" ეთერით აბდულ-მალიკის დედის განაცხადების შემდეგ. მან თქვა, რომ მისი შვილი ვიტალი სმირნოვი 2000 წლის თებერვალში დაიღუპა და ვერანაირად ვერ იქნება გალაშკიში ალყაშემორტყმული. გავლენიანი "ნეზავისიმაია გაზეტა" ამასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ **"რუსეთი არ ჩქარობს ოფიციალურად აღიაროს, რომ გალაშკიში სწორედ რუსლან გელაევი მოქმედებს, რომ მან მაინც მოახერხა საქართველოდან რუსეთში დაბრუნება. მოსკოვს ამის აღიარება რაღაც მოსაზრებებით არ სურს".**

# ახალი პარტია „კაცების პოლიტიკის" შეცვლას აპირებს

პირველი გვერდიდან

პარტია, რომლის დამფუძნებლებიც, რეზო შავიშვილთან ერთად, არიან საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პიროვნებები: ვახტანგ ხმალაძე, ვალერი გელაშვილი, სოსო ცინცაძე, ნიკო ორველაშვილი და სხვები, მთავარ ღირებულებებად მიიჩნევს ადამიანის სიცოცხლეს, ერისა და პიროვნების თავისუფლებას.

**"ხელისუფლება ხალხის მსახურია და არა - პირიქით,"** – ამგვარი დევიზით გამოდიან ნეოლიბერალები. ისინი საქართველოს ხელისუფალთა საქმიანობას ბოლო ათი წლის განმავლობაში "უუნაროს" უწოდებენ და ამის შედეგად მიიჩნევენ **"უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს, შუა გზაზე შეჩერებულ რეფორმებს, ბიუროკრატიულ დიქტატურას, გაყალბებულ არჩევნებს, მოჩვენებით სიმშვიდესა და სტაბილურობას, მოსახლეობისა და ხელისუფლების სრულ გაუცხოებას..."**

რეზო შავიშვილი სიმპათიებს გამოხატავს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძისადმი **("ნინო არის ძალიან კარგი პოლიტიკოსი")**, მაგრამ ხმებს შავიშვილისა და ბურჯანაძის ერთ პარტიაში გაერთიანების შესახებ "სამწუხარო ჭორს" უწოდებს. მხოლოდ ერთგან, როცა ჟურნალისტებმა მეტისმეტად შეაწუხეს - ხომ არ გქონდათ კონსულტაციები პარლამენტის თავმჯდომარესთან, ან მომავლისთვის ხომ არ აპირებთ მოლაპარაკებებსო,- ბატონმა შავიშვილმა ბრძანა: **"კონსულტაციები არ გვქონია, ვნახოთ, შემდეგში რა იქნება. ეს, პირველ რიგში, ნინომ უნდა გადაწყვიტოს."** გამორჩეულად თავდაჭერილი და სიტყვაძუნწი შავიშვილისგან ისეთი ზოგადი და არაფრისმთქმელი ფრაზაც კი "ვნახოთ, შემდეგში რა იქნება" რაღაცას ნიშნავს. სრულიად შესაძლებელია, საერთო ენა გამონახონ ბურჯანაძემ, რომელიც საჯაროდ აცხადებს, რომ დასაყრდენი პარტია სჭირდება და პარტიამ, რომელსაც ინტელექტუალობის პრეტენზია აქვს და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა - შავიშვილი - ბურჯანაძისადმი სიმპათიებს აშკარად ვერ მალავს.

ჟურნალისტთა შეკითხვას – რომელ ძალებთან შეიძლება გაერთიანდნენ ნეოლიბერალები არჩევნების წინ? - პარტიის დამფუძნებლები ნაკლებ სერიოზულად მიიჩნევენ. **"ამაზე არ ვფიქრობთ, ჩვენთვის ეს არ არის მთავარი... თუკი ბლოკის სახით ვინმესთან გავერთიანდით, ეს აუცილებლად იქნება მემარჯვენე ძალა, რომელიც ჩვენს იდეოლოგიას გაიზიარებს."**

ქართველი ნეოლიბერალები, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ საქართველოში ხელისუფლებას "ინტელექტუალური მომსახურება" არ სჭირდება, საზოგადოებაზე აპირებენ აპელირებას. **"ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ დაიწყება ხელისუფლების ევოლუციური ცვლა, ხელისუფლების ანატომია შეუმჩნევლად შეიცვლება."** ვახტანგ ხმალაძე, რეზო შავიშვილი და პარტიის სხვა დამფუძნებლები გვპირდებიან, რომ იდეოლოგიის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური დაჯგუფება სისტემატურად განახლდება ახალი ძალებით. **"ერთი ადამიანის წასვლით, ან გარდაცვალებით პარტიაში არაფერი არ უნდა შეიცვალოს. საქართველოში უნდა დამთავრდეს "კაცების პოლიტიკა."**

ლიბერალური პარტია, რომელიც აცხადებს, რომ რეგიონებში სერიოზული დასაყრდენი ძალა ჰყავს, დამფუძნებელ ყრილობას, სავარაუდოდ, 11 ოქტომბრისთვის გეგმავს. ყრილობა ლიდერის ნაცვლად აირჩევს კოლექტიურ ხელმძღვანელობას.

# მამალაძის პანკისური ვოიაჟი - ჭამეთ და გამაგრდით!

მაია მოსიაშვილი

ახმეტაში დისლოცირებულ საჯარისო ნაწილს 20 ტონა ფქვილი, 120 ყუთი ხორცისა და თევზის კონსერვი, კარტოფილი, ხახვი, ყველი, ღორის, საქონლის და ცხვრის ხორცი, გამაგრილებელი სასმელები პირადად გუბერნატორმა ლევან მამალაძემ ჩაუტანა. აქცია ქვემო ქართლის რაიონების გამგებლების, მხარის პოლიციის და რუსთავის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა. შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის თქმით, ამგვარი დახმარება პანკისში მყოფ ჯარს ჯერ არ მიუღია. **"ეს პირველია და დარწმუნებული ვარ ბატონ ლევანს სხვებიც მიბაძავენ. ჩვენთვის გამოყოფილია თანხა, რომლითაც ხდება პროდუქტების შეძენა. ამ ეტაპზე მათ ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით, მაგრამ თავისთავად ასეთი აქცია ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ყურადღება იგრძნონ."**

კახეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ზურაბ ტუშურმა ქვემო ქართლის გუბერნატორის ინიციატივა მორალური მხარდაჭერის მცდელობად შეაფასა და აღნიშნა, რომ **"ის შედეგს აუცილებლად გამოიღებს - ჯარისკაცებისა და პოლიციელების განწყობას აამაღლებს."**

განწყობილების ამაღლება კი ნამდვილად სჭირდებათ იქ მყოფთ, რადგან ანტიკრიმინალური ოპერაცია, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდხანს გასტანს.

"პანკისის ხეობაში, რეზერვის ჩათვლით, სულ 16 ბლოკ-პოსტია. იმის გამო, რომ, სანამ რუსეთ-ჩეჩნეთის პრობლემა არ მოგვარდება, აქ მათი ყოფნა აუცილებელი იქნება, გადავწყვიტეთ, კაპიტალური შენობები ავაგოთ, ორმაგი ფიცრით და შუაში ქვიშით, რათა ტყვიისაგან დაცული იყოს. საშენი მასალები უკვე შეძენილია," - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა.

საკუთარი ინიციატივა ლევან მამალაძემ შემდეგნაირად შეაფასა: **"ჩვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანი არ არის მარტო პროდუქტის ჩამოტანა. მცირეოდენ ცხელ წერტილსაც კი, რომელიც საქართველოში წარმოიქმნება, საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება სჭირდება. ამგვარი თანადგომა უფრო მეტ შედეგს მოიტანს - ჩვენი მხარის მცხოვრებლებს ეცოდინებათ, რომ მათი ხელმძღვანელობა ჩავიდა იქ და თავადაც გულით მოეკიდებიან პანკისის საკითხს. ჩვენი ნამდვილი გამარჯვება იქნება მაშინ, როცა ქართველი ხალხი იქნება ერთიანი, სახელმწიფო ინტერესების განხორციელების კუთხით."**

შინაგან საქმეთა მინისტრმა სტუმრებს აუწყა, რომ ამ ეტაპზე ხეობაში რაიმე სერიოზული პრობლემა არ არსებობს. **"თუმცა, არის ოპერატიული ინფორმაციები, რომლის გადამოწმებასა და რეალიზაციაზეც ვმუშაობთ, დეტალებს ჯერჯერობით ვერ გაგიმხელთ. ზუსტი ციფრი არ მახსოვს, მაგრამ დღეისათვის, საფილტრაციო ჯგუფის მიერ, საკმაო რაოდენობით არიან დაკავებულები. ხეობაში დარჩენილი ხალხის ვინაობა პერმანენტულად მოწმდება. ამ ეტაპზე მხოლოდ ეფექტზე შეიძლება საუბარი. ეფექტი კი არის ის, რომ პრობლემა არ გვაქვს ხეობაში შესვლისა და მოძრაობის მხრივ, ნებისმიერ სახლს ვამოწმებთ, თავისუფლად შეიძლება ხეობაში შესვლა და ოპერატიული საქმიანობის წარმოება, ანუ ის, რაც წარმოუდგენელი იყო, თუნდაც, ერთი წლის წინ, დღეს სრულიად შესაძლებელია,"** - განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გალის რაიონში მომხდარ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, გაავრცელა განცხადება, რომელშიც საქართველოს აფხაზეთთან მიმართებაში სახელმწიფოებრივი ტერორიზმის პოლიტიკის განხორციელებაში ადანაშაულებს. სამინისტროს მტკიცებით, "ტერორისტებს მართავენ და აფინანსებენ საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ საქართველოს ხელისუფლების ამგვარი პოზიცია "არის გაერო-ს გადაწყვეტილებების სრული იგნორირება და საქართველოს იმ სახელმწიფოთა გვერდით აყენებს, რომლებიც ტერორიზმს უჭერენ მხარს". როგორც განცხადებაშია აღნიშნული, "აფხაზური მხარე მიმართავს გადამჭრელ ზომებს ტერორისტებისა და მათი ბაზების გასანადგურებლად". სამინისტრო რეგიონში ვითარების შესაძლო დესტაბილიზაციის გამო მთელ პასუხისმგებლობას ქართულ მხარეს აკისრებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის გენერალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ხიზრი ალდამოვმა განაცხადა, რომ ჩეჩნები აღარასოდეს იომებენ ქართველების წინააღმდეგ, როგორც ეს იყო 1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების დროს. "ჩეჩნების მონაწილეობა ამ ომში შავი ლაქაა საქართველოსთან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორიაში, რასაც იჩქერიის ხელისუფლებაც აღიარებს", უთხრა მან პრაიმ-ნიუსს. ხიზრი ალდამოვმა განაცხადა, რომ პირადად მისთვის 27 სექტემბერი ტრაგედიის დღეა. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალურ თბილისს არ გააჩნია ინფორმაცია ერევნის ინიციატივაზე ახალქალაქში სომხეთის საკონსულოს გახსნის შესახებ, განაცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. საქართველოს საგარეო უწყებას არ შეუძლია, კომენტარი გაუკეთოს სომხეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებას ახალციხეში სომხეთის საკონსულოს გახსნის თაობაზე, ერევნის მხრიდან ოფიციალურად მიმართვის გარეშე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი იასტრჟემბსკიმ ეუთო თავისი მოღვაწეობის წესების დარღვევაში დაადანაშაულა. მისი თქმით, მოსკოვს უფლება აქვს, რომ ამ ორგანიზაციისგან საქართველოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოითხოვოს. როგორც ცნობილია, უცნობმა პირებმა საქართველოს ტერიტორიაზე, საზღვრიდან 1 კმ-ის დაშორებით ეუთო-ს დამკვირვებლები დააკავეს. მოსკოვი გაკვირვებას გამოთქვამს ინციდენტთან დაკავშირებით ეუთო-ს დაგვიანებული განცხადების გამო. იასტრჟემბსკის ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ ეუთო-ს წარმომადგენლები დუმილის სანაცვლოდ გაათავისუფლეს. შედეგად კი ბოევიკებმა დისლოკაციის ადგილის შეცვლა მოახერხეს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**რუსთავი.** ქალაქის მერი მერაბ ტყეშელაშვილი თბილისიდან მიწვეულ მცირე ბიზნესის განვითარების 6-კაციან დელეგაციას შეხვდა. შეხვედრას ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად, რუსთაველი მეწარმეებიც ესწრებოდნენ. მცირე ბიზნესის განვითარების დელეგაციას ინიციატივით, 2003 წლიდან რუსთავში ერთწლიანი ექსპერიმენტი დაიწყება. მეწარმეები მხოლოდ ერთ ალტერნატიულ გადასახადს გადაიხდიან და მათ ვერცერთი მაკონტროლებელი ვეღარ შეეხება. რუსთავის მერმა პროექტს, „რეალური" უწოდა და დადებითად შეაფასა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ნოდარ დალაქიშვილი აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია კატასტროფულად იძაბება.

მისი თქმით, ამ რეგიონში არსებული რეალური სიტუაციის შესახებ აუცილებლად უნდა მოხსენდეს ხელისუფლებას. ამასთან, დალაქიშვილი ამტკიცებს, რომ მათ მიმართ არ არიან სიმპატიით განწყობილი კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები. ცხინვალის რეგიონი თავისი ხეობებით მოტაცებული ადამიანების თავმოყრის, გატაცებული ავტომანქანების და ნარკოტიკების სარეალიზაციო ადგილებად იქცა, - აცხადებს სამხარეო პოლიციის უფროსი. მისი თქმით, იგოეთიდან აგარამდე ავტომაგისტრალზე მგზავრობა ღამის საათებში საკმაოდ საშიში გახდა, პოლიცია კი ამ მაგისტრალის სრულად გაკონტროლებას დაუფინანსებლობისა და ტექნიკური საშუალებების არქონის გამო ვერ ახერხებს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მისიიდან იტყობინებიან, 25 სექტემბრისათვის დაგეგმილი გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლების მიერ კოდორის ხეობის მონიტორინგი აფხაზური მხარის გამო ჩაიშალა. როგორც მისიის განცხადებაშია აღნიშნული, აფხაზურმა მხარემ სამხედრო დამკვირვებლებისათვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა ვერ შეძლო. მისია მწუხარებას გამოთქვამს ხეობის პატრულირების გადადების გამო და მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ყველა ზომა მიიღოს პატრულირების უახლოეს მომავალში ჩასატარებლად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ახმეტა.** გუშინ, პანკისის ხეობის სოფელ დუისში საგზაო პოლიცია მუშაობდა.

ბევრს ეს საკმაოდ უჩვეულო ფაქტად მოეჩვენა, თუმცა, ხეობის მრავალ სოფელში მალე თავის ფუნქციებს როგორც საგზაო, ასევე ეკო-პოლიციის თანამშრომლებიც შეასრულებენ. ისინი ხე-ტყის უკანონო ჭრას გააკონტროლებენ. ხეობის სოფლებში მალე ინკასატორებიც დაიწყებენ მუშაობას. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**ჭუბურხინჯი.** ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა დაესვა საკითხი, რომელიც გუშინ გალის რაიონში აფხაზ ბოევიკთა 15-კაციანი შეიარაღებული ჯგუფის შესვლას შეეხება. როგორც ცნობილია, ბოევიკთა ჯგუფს სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის ზაკან ანუას მოადგილე დიმა კაცია ხელმძღვანელობს. ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია კაციას ჯგუფის მიერ სოფელ ხუმუშქურში აყვანილი ოთხი ქართველი მძევლის ვინაობა და ადგილსამყოფელი. შეხვედრაზე გალში შექმნილი სიტუაცია გაერო-ს მისიამ ფეთქებადსაშიშად შეაფასა, თუმცა, გალის რაიონში გაერო ჯერჯერობით უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომების მიღებას არ აპირებს. **მედია-ნიუსი.**




გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# საააკაშვილის პროგნოზით, „ეი-ი-ესი" მიდის, „იტერასთან" კი მოლაპარაკებები ჩაიშალა

პირველი გვერდიდან

"იტერასთან" მოლაპარაკებები არ შეწყვეტილა, თუმცა, პროცესი ჩიხშია შესული და სიტუაცია საკმაოდ გართულებულია. რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებების შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტმა მართლაც მიიღო რეკომენდაციები ამერიკის მთავრობიდან და მსოფლიო ბანკიდან.

ჩვენი ინფორმაციით, ამერიკის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის მრჩეველმა კასპიის რეგიონის ენერგეტიკის საკითხებში სტივ მანმა, საქართველოში ვიზიტის დროს, ეს რეკომენდაციები უშუალოდ გააცნო პრეზიდენტს.

"იტერასათვის" გაზგამანაწილებელი სისტემის ჩაბარება ვერ გადაწყვეტს თბილისის გაზით მომარაგების პრობლემას, რადგან, გადაუხდელობის შემთხვევაში, რუსული კომპანია ისევ შეწყვეტს გაზის მოწოდებას. სამაგიეროდ, საქართველოში "იტერას" შემოსვლის შემთხვევაში, სერიოზული საფრთხე დაემუქრება ბაქო-შაჰდენიზის პროექტის ამუშავებას, — დაახლოებით ასე ჟღერდა ის არგუმენტები, რომლითაც სტივ მანი ცდილობდა, დაერწმუნებინა შევარდნაძე, რომ "იტერასთან" მოლაპარაკებები არ გაეგრძელებინა.

"ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი სკანდალურ განცხადებას "ეი-ი-ეს თელასის" შესახებაც აკეთებს და ამტკიცებს, რომ ამერიკული კომპანია საქართველოდან წასვლას აპირებს. მსგავსი ინფორმაცია თბილისში რამდენიმე დღის წინაც გავრცელდა, თუმცა, მაშინ ის არც "ეი-ი-ეს თელასსა" და არც მის სათაო ოფისს არ დაუდასტურებია.

სააკაშვილი კი ამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია უბრალო სპეკულაცია აღარ არის და სათავო ოფისს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული აქვს.



ჩვენ გვინდა, ხელისუფლებაში მხოლოდ არჩევნების გზით მოვიდეთ.

**"მაშინ, როცა ფილიპინებში "წრთვნისა და აღჭურვის" პროგრამა სრულდება, ამერიკელები აპირებენ, საქართველოში ეს პროგრამა კიდევ ორი წლით გააგრძელონ, რადგან მიაჩნიათ, რომ, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე, "წრთვნისა და აღჭურვის" პროგრამის დასრულება არასწორი იქნება,"** — აცხადებს სააკაშვილი.

ვაშინგტონში "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი გავლენიან სენატორებს - ჯონ მაკკეინსა და ჩაკ ჰაგელს შეხვდა და ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის - მადლენ ოლბრაიტის პირველი მოადგილის, ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ანალიტიკური ცენტრის – "ბრუკინგსის" დირექტორის, სტროუტ ტელბოტის მიწვევით, იელის უნივერსიტეტში კონფერენციაზე ("აბრეშუმის გზა 21-ე საუკუნეში") სიტყვით გამოვიდა.

მოსკოვში კი სააკაშვილი ფრაქცია "იაბლოკოსა" და მემარჯვენე ძალთა გაერთიანების ლიდერებს, ანუ სახელმწიფო დუმის იმ ფრაქციების ლიდერებს შეხვდა, რომლებმაც საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებას მხარი არ დაუჭირეს. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი ასევე შეხვდა დუმის თავმჯდომარის მოადგილეებს - ირინა ხაკამადასა და ვლადიმირ ლუკინს.

სააკაშვილი აცხადებს, რომ ეს პოლიტიკოსები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კრემლის მიერ საქართველოში შეიარაღებული ძალების გამოყენებას და, საერთოდ, რუსეთში თანდათან მტკიცდება აზრი, რომ ასეთი მოქმედება მოსკოვის ინტერესებსაც ვნებს.

მოსკოვში ყოფნისას სააკაშვილმა შესამჩნევად შეარბილა შევარდნაძეს მიმართ რადიკალური დამოკიდებულება და "ეხო მოსკვისთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი შევარდნაძის საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერს, რომ პრეზიდენტმა მმართველობა კონსტიტუციით დადგენილ ვადაში უნდა დაამთავროს. სააკაშვილი, რომელმაც მთელი თავისი ოპოზიციური მოღვაწეობა აავგო ლოზუნგზე – "თბილისი და საქართველო შევარდნაძის გარეშე" - თავის შეცვლილ პოზიციას ასე ხსნის: **"რუსეთს არ უნდა შეექმნას ილუზია, რომ ოპოზიციურ ძალებს საქართველოში დესტაბილიზაციის მოსაწყობად გამოიყენებს. ჩვენ გვინდა, ხელისუფლებაში მხოლოდ არჩევნების გზით მოვიდეთ."**

# საქართველოს პარლამენტი რუსეთის დუმას ევროპაში დაელაპარაკება

თამარ ხორბალაძე

*"ევროპარლამენტში თუ ვერაფერი მოვახერხეთ, საქართველოს პარლამენტში შეგიქმნით პრობლემებს," - ქართველ დეპუტატთა ჯგუფის მიმართ რუსეთის დეპუტაციის მიერ სტრასბურგში გამოთქმულ ამ მუქარას საფუძველი რომ გააჩნდა, პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე ცნობილი რუსეთუმე დეპუტატების გამოსვლით დადასტურდა. რუსეთის დუმაში გასაგზავნი დელეგაციის ხელმძღვანელად ვახტანგ რჩეულიშვილის დანიშვნა-არდანიშვნის თემაზე დაუსრულებელი დებატებით კი ის გამოვლინდა, რომ პარლამენტში მართლაც სერიოზული კრიზისია.*

მაშინ, როცა ევროპარლამენტმა, შექმნილი სიტუაციის სირთულის გამო, უკან გადადო ყველა პრეტენზია საქართველოს ხელისუფლებისადმი და რუსეთის მიმართ მკაცრი განცხადებით გამოვიდა, საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა უმეტესობა საქართველო-რუსეთის საპარლამენტო დელეგაციების რუსული სცენარით, ანუ რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით წარმართვაზე აღმოჩნდა თანახმა. და თუ ეს სცენარი ჯერჯერობით არ განხორციელდა, ეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და მცირერიცხოვანი, მაგრამ ხმაურიანი მემარჯვენე ძალების დამსახურებაა.

მათი წყალობით, გადაწყვეტილების მიღება გაჭიანურდა ევროსაბჭოს ახალ ინიციატივამდე, რომელიც საქართველო-რუსეთის პარლამენტების მოლაპარაკებების სამმხრივ ფორმატში წარმართვას გულისხმობს.

ევროსაბჭოს ახალმა ინიციატივამ აზრი დაუკარგა ქართველ პარლამენტართა მოსკოვში გამგზავრებას:

**"სტრასბურგში ჩვენ შევქმენით ყველაზე კარგი ფორმატი რუსეთთან სასაუბროდ - ევროპის საბჭოს ეგიდით.**

**ეს იყო თავად ევროსაბჭოს პრეზიდენტის წინადადება, რომელმაც გააღრმავა ჩემი ინიციატივა საპარლამენტო დიალოგთან დაკავშირებით. ეს არის ყველაზე იდეალური ფორმატი. წარმოიდგინეთ, ყველა ფრაქციის თავმჯდომარე, თავად ასამბლეის პრეზიდენტი დაესწრება შეხვედრას, რომელიც სადმე ევროპაში შედგება და ესეც სიმბოლურია - რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები არა როგორც ორი ქვეყნის, არამედ როგორც ევროპული უსაფრთხოების საკითხი, ევროპულ კონტექსტში განხილული. ეს არის ის, რაც ჩვენ გვჭირდება და არა ხელგაწვდილი სიარული რუსეთში, რომ, არიქა, არ დაგვბომბოთ, ან გაზი არ გაგვითიშოთ..."**

ევროსაბჭოს ამ ინიციატივას, რომელიც ოთხშაბათს გახმოვანდა, ჯერჯერობით არ გამოხმაურებია რუსეთი.

გუშინ რუსეთის დუმას სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა ევროსაბჭოს რეზოლუციას კომენტარი გაუკეთა და განაცხადა, რომ ევროსაბჭოს ექსპერტები ჯერ უნდა ჩაბრძანდნენ პანკისში და შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილებები, სამმხრივი შეხვედრის შესაძლებლობა კი არც უხსენებია.

■ ■ ■

"გაერთიანებულ დემოკრატთა" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ გუშინ კომენტარი გააკეთა უშიშროების საბჭოში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირების თაობაზე შემუშავებულ ავადცნობილ დოკუმენტთან დაკავშირებით:

**"ეს გახლავთ სახელისუფლებო მარაზმის და უპასუხისმგებლობის კიდევ ერთი გამოხატულება.**

**ოპოზიცია ვაცხადებთ, რომ კრიტიკული მომენტიდან გამომდინარე, გამოვაცხადოთ ერთგვარი მორატორიუმი შიდა დაპირისპირებაზე;**

**შევთავაზეთ პრეზიდენტს, რომ მისი გამოსვლა გადადებულიყო, რათა არ მოხდეს შიდა ვითარების გამწვავება, რომ საგარეო საფრთხის წინაშე ყველა ერთად ვიდგეთ;**

**სამარცხვინოა, რომ ამ პირობებში ხელისუფლება ოპოზიციის ინიციატივებს პასუხობს ასეთი დოკუმენტით. ეს არის პატარა ადამიანების მცდელობა, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ დღევანდელი ქაოსი და მოითბონ ხელი.**

**ჩემი საქმე არ არის, ვინ და რატომ მოამზადა ეს დოკუმენტი, ვის ინტერესებში შედიოდა ეს.**

**თუ პრეზიდენტს ოდნავ მაინც ესმის ვითარების სიმწვავე, თავად უნდა იყოს საკითხის გარკვევით დაინტერესებული.**

**ჩვენ არ გვეშინია ასეთი გადაწყვეტილებების, უნდათ პოლიცია მოგვისიონ, უნდათ პროკურატურა, ეს მხოლოდ ხელისუფლების საწინააააღმდეგოდ იმუშავებს..."**

# ზურაბ ჟვანიამ სტრასბურგიდან რუსული დათვის ტყავი ჩამოიტანა

პირველი გვერდიდან

მისი სიტყვები, გარდა იმისა, რომ შეიცავს ამ მოწვევის პარლამენტზე ერთგვარი განაწყენების ელემენტს, სულაც არ არის თავის შესაძლებლობებში უსაფუძვლოდ დაჯერებული პერსონის ბაქი-ბუქი. ჟვანიას ეს განცხადება იმ რეალური, ხელშესახები შედეგებიდან მომდინარეობს, რომლითაც საქართველოს დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან ჩამოვიდა. საერთო აზრით კი, იმ წარმატებაში, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, ლომის წილი სწორედ ყოფილ სპიკერს მიუძღვის.

## დათვი დაჭრეს

ზურაბ ჟვანიას ზემოთ ნახსენები შესაძლო განაწყენების ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ საქართველოს დელეგაცია ერთადერთია ევროსაბჭოში, რომელსაც უკვე ცხრა თვეა, ხელმძღვანელი არ ჰყავს - ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა დადგომას და სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ორგანიზაციებში წარსაგზავნ დელეგაციათა მეთაურების დამტკიცებას. სწორედ ამის გამოა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიუროში ჩვენი ქვეყნისთვის განკუთვნილი სავარძელი დღემდე თავისუფალია.

მიუხედავად ამისა, სტრასბურგში ვოიაჟი ფრიად წარმატებული გამოდგა. **"ასეთი მნიშვნელოვანი დღე ჩვენთვის მას შემდეგ არ ყოფილა, რაც საქართველო ევროსაბჭოში გაწევრიანდა"**, - აცხადებს ზურაბ ჟვანია.

ორი დღის წინათ, მასთან ინტერვიუში დეტალურად გაგაცანით იმ დადგენილების პროექტი, რომელიც, მოგვიანებით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კენჭისყრაზე დადგა და რომელსაც, რუსეთის დელეგაციის გარდა, ყველამ დაუჭირა მხარი. მოკლედ ჩამოვთვლით სტრასბურგში მიღებული დოკუმენტის ძირითად "პოსტულატებს".

დადგენილებაში ჩაიწერა, რომ *ვლადიმირ პუტინის მიერ 11 სექტემბრის გამოსვლაში ნახსენები გაერო-ს წესდების 51-ე მუხლი და საერთაშორისო სამართლის სხვა აქტები არ აძლევს მოსკოვს უფლებას, საქართველოს წინააღმდეგ (მისსავე ტერიტორიაზე) თავისი შეიარაღებული ძალები გამოიყენოს;*

*ევროსაბჭო მოუწოდებს რუსეთის ხელისუფალთ, თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებებისა და განცხადებებისგან, რომლებიც საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობას წარმოადგენენ და ხელყოფენ მის სუვერენიტეტს;*

*ევროსაბჭო რუსეთისგან მოითხოვს, საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმებისა და მისგან დასტურის მიღების გარეშე, თავი შეიკავოს ცალმხრივი ქმედებებისგან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მის მოქალაქეებთან მიმართებაში (ეს შეეხება ეკონომიკურ დახმარებას, ფიზიკური პირებისა და საქონლის გადაადგილების უფლებას, საბაჟო მომსახურებას, ვიზებისა და პასპორტების გაცემას);*

*ევროსაბჭო რუსეთის ხელისუფლებისგან მოითხოვს, რომ მან უმოკლეს ვადებში გაიტანოს თავისი სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან;*

*უახლოეს პერიოდში შეიქმნება და საქართველოში ჩამოვა ევროსაბჭოს მისია, რომელიც რეალურად შეაფასებს პანკისის ხეობაში შექმნილ სიტუაციას და ნათელს მოჰფენს, თუ რამდენად სამართლიანია, რომ პანკისი ტერორიზმის ბუდედ და რუსეთისთვის საფრთხის შემქმნელად ინათლებოდეს;*

*ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციის თბილისის ოფისში დამატებით დაინიშნება მისი წარმომადგენელი ელჩის რანგში, რომელიც "ცენტრს" სისტემატურად მიაწვდის ინფორმაციას პანკისის ხეობაში რეალურად არსებული სიტუაციის თაობაზე;*

*საქართველოსა და რუსეთის საპარლამენტო დელეგაციების შეხვედრა გაიმართება სტრასბურგში, ევროსაბჭოს ეგიდითა და ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელების აქტიური მონაწილეობით.*

ევროსაბჭოდან ჩამოტანილი საქართველოს უსაფრთხოების ასეთი სოლიდური გარანტიების მიუხედავად, ზურაბ ჟვანია მიიჩნევს, რომ რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხე მაინც არსებობს და ის არც თუ ისე მცირეა.

**"ის თავხედობა, რომელიც რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის რაგოზინისა და დელეგაციის ზოგიერთი წევრისგან სტრასბურგში ჩემი თვალით ვნახე, მაფიქრებინებს, რომ მოვლენების ძალიან სერიოზულ განვითარებას უნდა ველოდოთ. ნურავინ იფიქრებს, რომ რუსეთის პირველი პირისგან მომდინარე იარაღის ჟღარუნი მხოლოდ სიმბოლურია და მას რეალური ქმედებები არ მოჰყვება. იმ ფონზე, როდესაც პარლამენტში უმნიშვნელო საკითხებზე ვკინკლაობთ, ქვეყანა სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფება"**, - სიფხიზლისა და მობილიზებისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას ზურაბ ჟვანია.

## მწარე მიქსტურა ქართველი "დათვისტებისთვის"

საპარლამენტო ტრიბუნასთან მდგარი ზურაბ ჟვანიას შემყურე პრორუსული ორიენტაციის დეპუტატები იმ ავადმყოფებს ჰგავდნენ, მწარე წამალი ძალით რომ დაალევინეს, სახეები ემანჭებათ და მოსაჩვენებლად მაინც გაიძახიან, სასიამოვნო დასალევიაო.

**"ევროსაბჭოს გადაწყვეტილება, ალბათ (?!), აუცილებელი იყო ჩვენთვის რუსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად"**, - აცხადებს დიდი ხნის შემდეგ პარლამენტში პირველად გამოჩენილი ბორის კაკუბავა, რომელსაც იქვე არც იმის ხაზგასმა ავიწყდება, რომ ჟვანიას გუნდმა "ხელისუფლებაში ყოფნა პირადი ინტერესებისთვის გამოიყენა (გია ბარამიძის რეპლიკა: **"მაშ, მტყუანის დედა..."**), ახლა კი ამავე ინტერესებისთვის ევროსაბჭოს იყენებს (ზურაბ ცქიტიშვილის რეპლიკა: **"შენ არა ხარ ქართველი, უბრალოდ, რუსეთის ინტერესების დამცველი ხარ საქართველოში"**)".

რუსეთუმეებისთვის სტრასბურგიდან ჩამოტანილი მწარე მიქსტურა, კაკუბავასგან განსხვავებით, ვახტანგ რჩეულიშვილმა სულ ღიმილ-ღიმილით მიირთვა.

**"კაცი წავიდა სტრასბურგში, დელეგაციამ იმუშავა, რატომ არ უნდა მიხაროდეს? "დემოკრატებს" შორის ერთადერთი ჭკვიანი კაცი ბატონი ზურაბია, რომელთანაც დიდი სიამოვნებით ვმუშაობ ხოლმე. სიხარულით დავუჭერდი მხარს არამარტო სტრასბურგში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელად ჟვანიას დანიშვნას, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე მის დაბრუნებასაც კი"**, - ნემსის ყუნწში ძვრებოდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი, რათა ყოფილი შეფისთვის ესიამოვნებინა. იგი "დიდი სითბოთი" საუბრობდა იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელიც "ხელისუფლებაში ყოფნისას შეასრულა ჟვანიამ საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცების თვალსაზრისით". ასეთ თვალთმაქცობას, ცხადია, თავისი მიზანი ჰქონდა: რჩეულიშვილი შიგადაშიგ შეახსენებდა ხოლმე ექს-სპიკერს, რომ **"პატარა კაცუნები"** ხელს უშლიან მოსკოვში გასაგზავნი დელეგაციის ხელმძღვანელად მის დანიშვნას.

გუშინდელი დღე "დათვისტებისა" ნამდვილად არ იყო. თავისი გამოსვლის ბოლოს ზურაბ ჟვანიამ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა: **"მე მადლობას ვუხდი ბორის კაკუბავას იმის დემონსტრირებისთვის, რომ იმას, რასაც ვერ ახერხებენ რუსები სტრასბურგში, მას და მის თანამოაზრეებს შესანიშნავად გამოსდით თბილისში... რაგოზინმა 600-კაციან საპარლამენტო ასამბლეაში, რომელსაც 43 ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა ვერც ერთი მხარდამჭერი და ჩვენს წინააღმდეგ გამომსვლელი ვერ იპოვა, სწორედ ამ დროს კი კაკუბავა და რჩეულიშვილი გაიძახოდნენ, ჟვანია რატომ არის სტრასბურგში წასულიო"**.

# საპარლამენტო კომისიის ბედი დღეს გადაწყდება

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, საპარლამენტო კულუარებში საარჩევნო დარღვევების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის ბედი იხილებოდა, მაგრამ დეპუტატებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. კომისიის ყოფნა-არყოფნის საკითხი მომავალი პარლამენტის პლენარულ დარბაზში, კენჭისყრით გადაწყდება. მთლიანობაში კი პოლიტიკურმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, რამაც ცხადი გახადა, რომ კომისიას, პოლიტიკურ პროცესებში ჩასართველად, იმაზე მეტი ბერკეტი და შესაძლებლობა აღმოაჩნდა, ვიდრე ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ელოდა.*

წესით, კომისიამ თავისი საქმიანობა 4 ოქტომბერს უნდა დაასრულოს. მაგრამ მისი ხელმძღვანელობა დაჟინებით ითხოვს უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას. კომისიის თავმჯდომარე, "სოციალისტი" ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ პარლმენტის დავალებას ბოლომდე შეასრულებს და მარტოც რომ დარჩეს, კომისიაში შესულ შვიდივე საჩივარს განიხილავს. საგულისხმოა ისიც, რომ ამ საქმეებს კომისიის ხელმძღვანელობამ ფოთის საკრებულოს საკითხიც დაუმატა. დღეს ზაქარია ქუცნაშვილი საარჩევნო დოკუმენტაციის ჩამოსატანად ფოთში გაემგზავრება. რაც შეეხება უფლებამოსილების გაგრძელების იდეის მოწინააღმდეგეებს, კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს იმ პარტიათა წარმომადგენლები არიან, **"რომელთაც არ სურთ საქართველოში დემოკრატიული არჩევნების გამართვა"**.

კომისიის ხელმძღვანელობის თავგამოდების მიუხედავად, საეჭოა, პარლამენტმა მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, ფრაქციების ნაწილი პირდაპირ ადანაშაულებს მათ პოლიტიკური დაკვეთების შესრულებაში და ყველანაირად შეეწინააღმდეგება კომისიისთვის უფლებამოსილების გაგრძელებას. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, კომისიას, "მოქალაქეთა კავშირის" სახით, მხარდამჭერი ფრაქციაც გამოუჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, "მოქალაქეთა" ნაწილი გუშინ კომისიის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებისაკენ იხრებოდა.

რაც შეეხება მოწინააღმდეგეებს. "გაერთიანებული დემოკრატის" ხათუნა ხოფერიას აზრით, კომისიამ მუშაობა უნდა დაასრულოს. **"ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნებია. კომისიის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ საკუთარი პარტიებისათვის მომხრეები მოეზიდა. ორი დღისწინანდელ პლენარულ სხდომაზე ზაქარია ქუცნაშვილი არ გამოსულა, როგორც კომისიის თავმჯდომარე. ეს იყო სოციალისტური პარტიის წევრის გამოსვლა, რომელიც საკუთარი პარტიის ინტერესების დაცვას ცდილობდა. კომისია აშკარად გასცდა საკუთარი უფლებამოსილების ჩარჩოებს და გარკვეული ზემოქმედების ქვეშ მოექცა. მე არ მინდა, რომ პარლამენტში არსებობდეს კომისია, რომელიც გადაიქცევა პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად. ერთადერთი, რაც მან შეიძლება მოიტანოს, ესაა დაპირისპირებები ადგილებზე, კარებების აჭედვები, ცემა-ტყეპა. ეს პროცესები პარლამენტშიც განვითარდება. თავად ზაქრო ქუცნაშვილი, რომელიც მართლაც კარგი იურისტი, სერიოზული და წესიერი პიროვნებაა პარტიული ლიდერების გავლენის ქვეშ მოექცა და პოლიტიკურ თამაშებში ჩაერთო"**, - ამბობს ხათუნა ხოფერია.

ზაქარია ქუცნაშვილის მთავარი მოწინააღმდეგის, ახალი მემარჯვენეების საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის დავით გამყრელიძის თქმით, კომისიის მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბების საფრთხე თავიდანვე არსებობდა. **"ამიტომაც იყო აზრთა სხვადასხვაობა კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის თაობაზე. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს ეს კომისია ხელში არ უნდა ჩავარდნოდა. სამწუხაროდ, ამ კომისიის შუალედური დასკვნის დროს აღმოჩნდა, რომ ეს სწორედ ასე მოხდა. მე და, ალბათ, ბევრ ჩემს კოლეგას ეგონა, რომ კომისია გააანალიზებდა იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევს საარჩევნო პროცესების დარღვევით წარმართვას, გამოავლენდა საარჩევნო კანონმდებლობის ხარვეზებს. ამის შემდეგ ჩვენ შევძლებდით კანონებში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომელიც გამოასწორებდა საკანონმდებლო სისტემას საქართველოში. შედეგი კი სულ სხვაა - ქუცნაშვილის, გელბახიანის და სხვათა ხელში კომისია აღმოჩნდა პოლიტიკური იარაღი, რომლითაც სხვა პოლიტიკურ ძალებთან ანგარიშსწორება დააპირეს. ამასთან, კომისია საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით გამოდის, რომლის თანახმად საგამოძიებო კომისია ხდება ცესკო-ს ზემდგომი სტრუქტურა და მისი მითითებებით ხდება დადგენილებების მიღება. ამ ცვლილებების გასვლის შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ისეთ სტრუქტურას, რომელიც პრაქტიკულად წარმართავს არჩევნებს და მისი შედეგები კომისიის საქმიანობაზე იქნება დამოკიდებული. ამით შეიქმნება კიდევ ერთი მახინჯი სტრუქტურა. ჩვენ კი არ უნდა გავართულოთ, არამედ უნდა გავამარტივოთ პროცესები"**, - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას დავით გამყრელიძემ.

# გიორგი კობახიძე: „ოპოზიციონერობა დღეს უმარტივესი გზაა"

სოფო ბუკია

ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის ლიდერი, ყოფილი "სახალხოელი" გიორგი კობახიძე, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს საგარეო პრობლემების დასაძლევად კონსოლიდაციისკენ და მობილიზაციისკენ მოუწოდებს.

გუშინდელი პრესკონფერენცია კობახიძის პირველი შეხვედრა გახლდათ ჟურნალისტებთან და მთლიანად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს მიეძღვნა.

ქრისტიან დემოკრატთა ლიდერი მიიჩნევს, რომ პუტინის მუქარამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არასათანადო გამოხმაურება ჰპოვა. მისი აზრით, რუსეთს ჯერ კიდევ აქვს პრეტენზია მსოფლიოს პირველ სახელმწიფოდ იქცეს, ამიტომ პუტინი **"სიტყვებს ჰაერში არ ისვრის"** და მუქარის შესრულებას შეეცდება.

პოლიტიკურ პარტიებს კობახიძე ურჩევს, ცოტა ხნით მაინც დაივიწყონ საარჩევნო ამბიციები და ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში ხელი შეაშველონ. **"ოპოზიციონერობა დღეს უმარტივესი და საუკეთესო გზაა პოლიტიკაში წარმატების მისაღწევად. მიუხედავად ამისა, მე არ მეშინია არაოპოზიციური განცხადებების გაკეთების... შევარდნაძე კიშინიოვში წელგამართული უნდა ჩავიდეს და არ უნდა ეშინოდეს იმის, რომ ზურგში დანას ჩაარტყამენ. როცა მაგიდასთან სალაპარაკოდ დასხდებიან პუტინი და შევარდნაძე, მითხარით, რომელია ჩვენი კაცი? საკითხს სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ,"** — აცხადებს კობახიძე. პუტინმა კი, კობახიძის თქმით, კარგად უნდა იგრძნოს, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა ერთადაა.



რომელია ჩვენი კაცი - პუტინი თუ შევარდნაძე?

იური ლობოდინის ფოტო

"შევარდნაძის წელში გამართვას" და პრობლემის მოგვარებას, კობახიძის აზრით, ქართველი პოლიტიკოსების ის ნაწილი უშლის ხელს, ვინც თუნდაც მინიშნებით ამბობს, რუსეთი ჩვენთან მართალიაო. "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის" ლიდერი მიიჩნევს, რომ მსგავსი განცხადებებით მხოლოდ **"კრემლის წისქვილს ემატება წყალი"**. **"შევარდნაძის პოლიტიკა მეც არ მომწონს, მაგრამ ყველამ უნდა შეიგნოს, რომ რუსეთთან ჩვენ ცამდე მართლები ვართ"**. კობახიძეს იმედი აქვს, რომ პარტიები გამოეხმაურებიან მის **"პროფილაქტიკურ განცხადებას"** და რუსეთის პრობლემებზე სასაუბროდ ერთ მაგიდასთან დასხდომას მოახერხებენ.

ქართულ პოლიტიკაში საკუთარ მოკავშირეებად კობახიძე "აღორძინებას", "ახალ მემარჯვენეებს", ავთანდილ ჯორბენაძესა და ახალ "მოქალაქეთა კავშირს" ასახელებს. თუმცა, მისი თქმით, აღნიშნულ პარტიებთან მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ საკითხებზე მიმდინარეობს კონსულტაციები და მათთან ალიანსში გაერთიანება, ჯერჯერობით, დაგეგმილი არა აქვს. "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის" ლიდერის კონსულტაციები სახელმწიფო მინისტრთან გაზაფხულიდან მიმდინარეობს და კობახიძეს გულწრფელად სჯერა, რომ ჯორბენაძის "მოქკავშირი" პრინციპულად განსხვავდება მისი წინამორბედისგან.

კობახიძის განცხადებით, "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი" მომავალ საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

# ვის სურს გრანტების კონტროლი?

ფინანსთა სამინისტრო გრანტების კონტროლის საკითხს კვლავ დაუბრუნდა. 24 სექტემბერს მირიან გოგიაშვილის უწყებამ გამოსცა ბრძანება, რომელიც საქართველოში დახმარების სახით მიღებული ფასეულობების (საქონლისა და ფულადი სახსრების) კანონიერებასა და გამოყენების მიზნობრიობის დადგენას ისახავს მიზნად. ამ ბრძანების მიხედვით, უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შევლენ სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლები. ჯგუფმა უნდა შეისწავლოს სათანადო დოკუმენტაცია საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში და დახმარების მიმღებ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან. ბრძანებას თან ერთვის მონიტორინგის პროგრამა.

ფინანსთა სამინისტროს ახალმა ბრძანებამ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ჯგუფის პროტესტი გამოიწვია. ორგანიზაცია "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" პროექტების კოორდინატორის - კახა დამენიას თქმით, **"ეს არის აღსრულება იმ საუბრებისა, რაც გრანტების კონტროლთან დაკავშირებით ადრე მიმდინარეობდა. სახელმწიფოს სურს, არასამთავრობო სექტორი მის კონტროლს დაუქვემდებაროს".** დამენია აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ჯგუფი დღეს საერთაშორისო დონორებისადმი მიმართვის მიღებას აპირებს.

*"24 საათი"*

## ბიზნესის ამბები

# გერმანიის ტექნოლოგიური ბირჟა იხურება

გერმანიის ტექნოლოგიურ კომპანიათა ბირჟა "ნოიერ მარკტი" დახურვის პირასაა. ამის მიზეზი გახდა ბოლო ორი წლის განმავლობაში ბირჟაზე კვოტირებულ აქციათა თითქმის სრული გაუფასურება. "ნოიერის" ამგვარი კრახი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ინვესტორების სიყვარული ტექნოლოგიურ კომპანიათა აქციებისადმი საბოლოოდ მინავლდა.

"ნოიერს," რომელიც ევროპაში დაახლოებით იგივეა, რაც აშშ-ში სახელგანთქმული "ნაზდაქი," აღმავლობა 90-იანების ბოლოს ჰქონდა. ბირჟაზე 264 კომპანიის აქციათა კვოტირება ხდებოდა, თუმცა, 2001 წლიდან მოყოლებული, მათი საერთო ფასი 96 პროცენტით დაეცა. ამაში უდიდესი წვლილი საინტერნეტო კომპანიების კრახმა შეიტანა. მათ შორის, უპირველესად, აღსანიშნავია "ფრანს ტელეკომის" მიერ კონტროლირებადი "მობილკომი" და "დოიჩე ტელეკომის" საინტერნეტო შტო - "ტი-ონლაინი." "ნოიერზე" ხდებოდა აგრეთვე მედია-კომპანიათა აქციების კვოტირება, რომლებსაც ბოლო დროს ასევე სერიოზული კრიზისი აქვთ. გერმანიის საფონდო ბირჟის ოპერატორმა "დოიჩე ბიორსემ" უკვე განაცხადა, რომ "ნოიერი," ალბათ, მცირე კომპანიათა ბირჟებთან გაერთიანდება.

# ირლანდიური ბანკის ყალთაბანდი „შვილობილი"

"ელაიდ აირიშ ბენქზი" (ირლანდიის გაერთიანებული ბანკები) თავის სკანდალურ ამერიკულ ფილიალს - "ოლფერსტს" ჰყიდის. ეს ის "ოლფერსტი" გახლავთ, რომლის ანგარიშებიდან ამ წლის დასაწყისში 750 მილიონი დოლარი გაქრა, რითიც დიდი ზიანი მიადგა "ელაიდის" რეპუტაციას. აქედან მოყოლებული ინვესტორები ირლანდიურ გიგანტს კონტროლის უქონლობას გამუდმებით უკიჟინებდნენ და "ოლფერსტის" გაყიდვას ურჩევდნენ. "ოლფერსტის" სკანდალმა ყველას გაახსენა ლეგენდარული ბანკის - "ბერინგსის" ისტორია, რომელიც უკვე მითად ქცეულმა თაღლითმა - ნიკ ლისენმა გააკოტრა. ეს ამბავი 1995 წელს მოხდა და შოკში ჩააგდო მთელი განვითარებული სამყარო. "ბერინგსი" ხომ ერთ-ერთი უძველესი ბანკი გახლდათ, მასში თვით გრაფ მონტე-კრისტოს შეანახინა განძეული ალექსანდრ დიუმამ.

"ელაიდი" გაკოტრებას გადაურჩა, რადგან 750 მილიონი მისთვის არც ისე დიდი თანხა იყო. მის აწაპვნაში "ოლფერსტის" თანამშრომელი - ჯონ რეზნაკი დაადანაშაულეს, თუმცა, ეს უკანასკნელი თავს დამნაშავედ არ სცნობს, სრული სიმართლე კი ჯერჯერობით ვერ დადგინდა,

"ელაიდს" არ გაუმხელია, ვინ არის "ოლფერსტის" მყიდველი, მაგრამ, როგორც სანდო წყაროები იუწყებიან, ეს ამერიკული "ემ ენდ ტი ბენქ კორპორეიშენი" უნდა იყოს. ასახელებენ თანხასაც - სამ მილიარდ დოლარს.

# აშშ-ში ღარიბთა რიცხვი მილიონით გაიზარდა

ეკონომიკური კრიზისის გამო ამერიკაში ღარიბთა რიცხვმა მკვეთრად იმატა და მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანაში ბოლო რვა წლის განმავლობაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

აშშ-ს მოსახლეობის აღწერის ბიუროს მონაცემებით, სიღარიბის მაჩვენებელმა გასული წლის ბოლოს 11,7 პროცენტი შეადგინა, რაც 0,4 პროცენტით მეტია 2000 წლის მონაცემებზე. ღარიბთა რიცხვმა 1,3 მილიონით იმატა და 32,9 მილიონი შეადგინა. თუმცა, ამის მიუხედავად, ეს მაინც უფრო დაბალია, ვიდრე 80-იან წლებში დაფიქსირებული სიღარიბის 15-პროცენტიანი მაჩვენებელი. როგორც ყოველთვის, ღარიბთა უდიდესი ნაწილი ლათინოსებსა და ზანგებზე მოდის. ამ უკანასკნელებში სიღარიბის ზღვარს იქით 21,4 პროცენტი იმყოფება, ლათინოსებში კი - 22,7 პროცენტი. თეთრკანიანებში ღარიბთა ხვედრითი წილი, დაახლოებით, ორჯერ ნაკლებია.

ეკონომიკურმა რეცესიამ საშუალო ამერიკელის შემოსავალზეც იმოქმედა - 2,2 პროცენტით დაეცა და წელიწადში 42 228 დოლარზე ჩამოვიდა.

# „ვივენდი" 12 მილიარდი ევროს აქტივებს ჰყიდის

მსოფლიოს სიდიდით მეორე მედია-კომპანია - "ვივენდი იუნივერსალი" უახლოესი 18 თვის განმავლობაში 12 მილიარდი ევროს ღირებულების აქტივების გაყიდვას აპირებს, რათა საკუთარი ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა კომპანიის აღმსრულებელმა დირექტორმა ჟან-რენე ფორტუმ. მანამდე კომპანია ორი წლის მანძილზე 10 მილიარდი ევროს აქტივების გაყიდვას გეგმავდა. კომპანიის საერთო დავალიანება ამჟამად 19 მილიარდ ევროს შეადგენს.

ჟან-რენე ფორტუმ განაცხადა, რომ "ვივენდიმ" იტალიური ტელეკომპანია Telepiu, ერთ მილიარდ ევროდ, რუპერტ მერდოკის "ნიუზ კორპორეიშენს" მიჰყიდა. გარდა ამისა, "ვივენდი" გეგმავს, გაყიდოს საგამომცემლო ბიზნესი, ასევე - წილები კომპიუტერული თამაშების მწარმოებელ კომპანიებში.

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 21 - 27 სექტემბრის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.641 | 0.6272 | 0.0052 |
| US$ | 1.5598 | | 0.9782 | 0.0081 |
| €uro | 1.5945 | 1.0222 | | 0.0083 |
| ¥en | 191.83 | 122.99 | 120.31 | |

# თბილისს დენი არ შეუწყდება, მოსახლეობა კი გაზრდილ ტარიფს გადაიხდის

## ˝ეი-ი-ეს თელასი˝ საბითუმო ბაზარს 26 მილიონ ლარს გაუსტუმრებს

სოფო კვინტრაძე

*მოლაპარაკებები საბითუმო ბაზარს, "ეი-ი-ეს თელასსა" და ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას შორის, გუშინ მთელი დღე გაგრძელდა. შეხვედრა ჯერ სემეკში დაიწყო, შემდეგ კი, "ეი-ი-ეს თელასის" კომერციული მენეჯერის - გალიმ ალნიაზოვის მოუსვლელობის გამო, მისმა მონაწილეებმა თელასის ცენტრალურ ოფისში გადაინაცვლეს. მოლაპარაკებების შედეგების მომლოდინე ჟურნალისტებთან კი, რომლებიც "ეი-ი-ესის" ოფისის კიბეებზე ისხდნენ, რიგრიგობით ჩამოდიოდნენ საბითუმო ბაზრის, სემეკისა და "ეი-ი-ეს თელასის" პრეს-სამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებდნენ მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ. იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ მოლაპარაკებები საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა, რადგან საკუთარ პოზიციებს არც ერთი მხარე არ თმობდა.*


გოგიტა ბახაძის ფოტო

*საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილე სოსო ნატროშვილი*

როგორც ცნობილია, ორი დღის წინ საბითუმო ბაზრის გენერალურმა დირექტორმა ალბერტო სოლისმა "ეი-ი-ეს თელასისთვის" ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე განაცხადა. ამის მიზეზი გახდა 34 მილიონი ლარის დავალიანება, რომელიც "ეი-ი-ესს საბითუმო ბაზრისა" მართებს. თავის მხრივ, "ეი-ი-ესი" საბითუმო ბაზარს 50 მილიონ ლარს ედავება, რომელიც ამ უკანასკნელს "ეი-ი-ეს მტკვრისა" მართებს. გუშინდელ მოლაპარაკებებს აღნიშნული ვალებისა და მთელი ქალაქის ელექტროენერგიით მომარაგების ბედი უნდა გადაეწყვიტა. როგორც "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, "ეი-ი-ესი" არ უარყოფს დავალიანების არსებობას, მაგრამ მის რაოდენობას სადავოს ხდის. მელაშვილის განცხადებით, ადგილი ჰქონდა 20-პროცენტიან ცდომილებას, თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანიის საზიანოდ, "ეი-ი-ესის" მიერ რეალურად ნაყიდსა და ბაზრის მიერ ოფიციალურად დაფიქსირებული ელექტროენერგიის რაოდენობას შორის.

მოლაპარაკებების პროცესი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მოულოდნელმა ვიზიტმა დააჩქარა; მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ "ეი-ი-ეს თელასი" დათანხმდა, ხელი მოაწეროს შედარების აქტს, სადაც ბაზრისთვის 26 მილიონი ლარის გადახდაზეა საუბარი. შესაბამისად, საბითუმო ბაზარი არ შეუწყვეტს ელექტროენერგიის მიწოდებას "თელასს." ხოლო რაც შეეხება საბითუმო ბაზრის 50 მილიონ ლარიან დავალიანებას "ეი-ი-ეს მტკვრისადმი", ამის თაობაზე მოლაპარაკებები ერთ თვეს გასტანს. ასე რომ, ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორ მოხდება ამ თანხის დაფარვა, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა "ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილი მეცხრე ბლოკის ასამუშავებლად და ზამთარში თბილისის ელექტროენერგიით მომარაგებისათვის.

გუშინ, აგრეთვე, ცნობილი გახდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა სემეკის მიერ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდის დადგენილებაც. უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ბრძანებულება და პირველი ოქტომბრიდან თბილისში ელექტროენერგიის ტარიფი - 13,7 თეთრამდე, ხოლო რეგიონებში - 8,5 თეთრამდე გაიზრდება.

არასამთავრობო ორგანიცაზია "ვაკის გონივრული განვითარება", რომლის წარმომადგენლები "თელასის" შენობასთან, ჟურნალისტებთან ერთად ელოდებოდნენ მოლაპარაკებების შედეგებს, აპროტესტებენ ტარიფის გაზრდას და აცხადებენ, რომ, თუ პრეზიდენტი არ გამონახავს დამატებით სახსრებს ტარიფში განსხვავების დასაფარად, ისინი მასობრივ საპროტესტო გამოსვლებს დაიწყებენ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნით.

# ენერგეტიკას ინვესტორების გარეშე დარჩენა ემუქრება

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს ხელისუფლებამ არ შეასრულა ის ვალდებულებები, რომელიც "ეი-ი-ესის" წინაშე აიღო: ვერ უზრუნველყო ამერიკული კომპანიის წარმომადგენელთა უსაფრთხოება; საქართველოს სამართალდამცველმა სამსახურებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი კრიმინალური საქმის გახსნა, რომელიც "ეი-ი-ეს თელასის" მიმართ განხორციელდა; მთავრობამ არ შეასრულა "ეი-ი-ესთან" გაფორმებული კონტრაქტის პირობა ქონების გადაცემასთან დაკავშირებით; არ შეიტანა შესწორება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც უნდა გამკაცრებულიყო სასჯელი ელექტროენერგიის ქურდობისათვის... მიკვირს, "ეი-ი-ესი" აქამდე რატომ არ წავიდა საქართველოდან",** - აღნიშნა სააკაშვილის თანამოაზრემ და მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა.

## ˝იტერას˝ ვაშინგტონი ერჩის?

"ნაციონალურ მოძრაობაში" ღიად საუბრობენ ოფიციალური ვაშინგტონის სერიოზულ მინიშნებაზე საქართველოს ხელისუფლებისთვის, რომ არასასურველია მოლაპარაკების გაგრძელება კორპორაცია "იტერასთან". მოძრაობაში აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის ადმინისტრაციასთან, რომელიც უშუალოდ აწარმოებს მოლაპარაკებას, ამ მინიშნებამ შედეგი უკვე გამოიღო. კერძოდ, "იტერასთან" ერთობლივი კომპანია აღარ ჩამოყალიბდება.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ სახელმწიფო კანცელარიაში. მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ ინფორმაციას არასერიოზულს უწოდებენ "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობაშიც. **"ამის გაგონებაზე, უბრალოდ, მეცინება. მთელი დღეები იმით ვართ დაკავებულნი, რომ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას ერთობლივი კომპანიის შექმნის შესახებ,"** – აღნიშნა "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ. თუმცა, იქვე შენიშნა, რომ მოლაპარაკების ტემპი შენელდა და **"წინასწარი ვარიანტიც კი არ მომზადებულა. თუ ასე გაგრძელდა, ერთობლივი საწარმო, შეიძლება, არც კი ჩამოყალიბდეს. საქართველოს მთავრობა პასიურობს."**

მოლაპარაკების ჩაშლას არც "იტერას" პრესმდივანი ნიკოლაი სემინენკო ადასტურებს: **"როგორ გავუკეთო კომენტარი იმას, რაც პირველად მესმის. არავითარი მოთხოვნები "იტერას" არა აქვს. მხოლოდ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ვათანხმებთ პარამეტრებს ერთობლივი საწარმოსთვის. გამოვდივართ იქიდან, რომ პირობები უნდა იყოს მისაღები როგორც ქართული, ასევე "იტერას" მხარისთვის. საწარმო შეიქმნება "იტერას" 51-პროცენტიანი და საქართველოს 49-პროცენტიანი მონაწილეობით. ქართული მხარე ასეთ პროპორციებზე თანახმაა. ვალების საკითხი ცალკე განიხილება. ცალკე მოლაპარაკებები მიდის ამ ვალების რესტრუქტურიზაციაზეც. რამდენადაც ინფორმირებული ვარ, "თბილგაზისა" და მთელი გაზმეურნეობის რეაბილიტაციისთვის საჭიროა 134 მილიონი დოლარი. ერთობლივი საწარმოს ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ამ თანხას "იტერა" ჩადებს საწარმოში, თუ მას კრედიტის სახით ერთად მოიზიდავენ მონაწილე მხარეები. ასევე არ არის დასრულებული მოლაპარაკება "აზოტთან" დაკავშირებით".**

"24 საათის" კითხვას, რამ შეიძლება ჩაშალოს "იტერასთან" მოლაპარაკება, ნიკოლაი სემინენკომ უპასუხა: **"იტერას" მხრიდან მოლაპარაკებების გაგრძელებისათვის მე ვერავითარ ბარიერს ვერ ვხედავ. ალბათ, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. ძნელი სავარაუდოა, რომ მას რაიმე ჩაშლის. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ იმაზე, რომ ამ საწარმომ იმუშაოს და შეასრულოს ის ფუნქციები, რაც დაეკისრება. "იტერას" აქვს კომერციული ინტერესები საქართველოში. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ საქართველოს გაზის ბაზარი განვითარდეს. ჩვენ დაინტერესებულნი ვართ ამ ბაზარზე ყოფნით. მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ და დავეხმაროთ საქართველოს სრულყოფილი, სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბებაში."**

ამ გაცხადებების ფონზე, ოფიციალური თბილისის პასიურობა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის მტკიცე გადაწყვეტილება – "იტერასთან" ხელშეკრულება აუცილებლად გაფორმებულიყო - ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაფიქსირდა.

თუ ქართულ მხარეს პასიურობა მართლაც დაეტყო, ეს ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული – ან უშუალოდ მოლაპარაკების პროცესში მხარეებმა პრინციპულ საკითხებზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ანდა ერთ-ერთი მხარე, რაიმე დამოუკიდებელი მიზეზის გამო, იძულებული გახდა, მოლაპარაკების პროცესი ჩაეშალა. იმის გამო, რომ პროცესი საწყის ეტაპზეა და მხარეებს ერთმანეთის მიმართ არანაირი წინასწარი ურთიერთვალდებულება არ გააჩნიათ, მისი ჩაშლა მეტნაკლებად უმტკივნეულოდ ჩაივლის. მაგრამ, თბილისს აუცილებლად მოუწევს ალტერნატიული მოლაპარაკების პროცესის გამართვა იმავე "იტერასთან" გაზმომარაგების საკითხთან დაკავშირებით, ასევე შეთანხმების ხელმოწერა "იტერასადმი" 90 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანების რესტრუქტურიზაციის თაობაზე. "იტერა" ხომ საქართველოს გაზის ბაზრისთვის კვლავ უალტერნატივოა.

## მიდის თუ არა ˝ეი-ი-ესი˝?

პანიკის ტალღა, რომელმაც ამ კითხვის გამო სახელისუფლებო ეშელონებს გადაუარა, ჯერაც არ ჩამცხრალა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუშინ "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ "ეი-ი-ესის" საქართველოდან წასვლა უკვე გადაწყვეტილია, რის მიზეზადაც მან საქართველოს ხელისუფლების საინვესტიციო პოლიტიკა და ქვეყანაში არსებული კრიმინალური მდგომარეობა დაასახელა. სააკაშვილის განცხადება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოსთვის იმ ფინანსური დახმარების შეჩერებას მოჰყვა, რომლითაც "ეი-ი-ეს თელასის" მიერ გამრიცხველიანების პროგრამის დასრულება იგეგმებოდა.

სააკაშვილის განცხადებას "ეი-ი-ესის" არლინგტონის სათავო ოფისში კომენტარს არ უკეთებენ. თუმცა, "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტი ირაკლი მელაშვილი კორპორაციის საქართველოდან წასვლის შესახებ საუბარს დეზინფორმაციად აფასებს.

"ეი-ი-ესის" საქართველოდან წასვლის განზრახვას ერთხმად უარყოფენ მთავრობაშიც. მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტროსა და სემეკში "ეი-ი-ესის" მოთხოვნების დაკმაყოფილების ტემპის ფორსირება აშკარად შეინიშნება. როგორც ჩანს, გავრცელებულმა ინფორმაციამ მთავრობაში ვნებათა ღელვა მაინც გამოიწვია. ამის დასტურია სემეკის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის დღევანდელი განცხადებაც: **"მარეგულირებელმა კომისიამ უკვე მიიღო დადგენილების საბოლოო ვარიანტი, რომელიც რამდენიმე დღეში იუსტიციის სამინისტროს გადაეგზავნება, რეესტრში გატარების შემდეგ პრესით ოფიციალურად გამოქვეყნდება, ძალაში კი, სავარაუდოდ, 1 ოქტომბრიდან შევა."**

"ეი-ი-ესის" მიერ საქართველოდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება პირველად არ გამხდარა სამთავრობო ეშელონების აფორიაქების მიზეზი. **"კრიზისული ვითარება შარშანაც შეიქმნა, როდესაც მე ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი. მაშინ "ეი-ი-ესის" ხელმძღვანელობა მოვიდა ჩემთან და საგადასახადო შეღავათები მოითხოვა. ისინი სრულ სასოწარკვეთაში იყვნენ იმის გამო, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ვერანაირ გაგებას ვერ მიაღწიეს. მაშინ, არ დაგიმალავთ, ჩემს თავზე ავიღე ეს საკითხი და ორი დღის განმავლობაში მივიღეთ ის გადაწყვეტილებები, რასაც "ეი-ი-ესი" ითხოვდა. ამ შემთხვევაში ჩემთვის მთავარი იყო არა ამ გადაწყვეტილების ნიუანსები, არამედ ის, რომ "ეი-ი-ესი" საქართველოში დარჩენილიყო და თბილისელებს კიდევ ერთი გაუსაძლისი და ჩაბნელებული ზამთარი არ ჰქონოდათ,"** – განუცხადა "24 საათს" "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერმა ზურაბ ჟვანიამ.

**"არ მინდა, გავაზვიადო მოვლენები, მაგრამ "ეი-ი-ესის" წასვლა მართლაც კატასტროფა იქნება თბილისისთვისაც და მთლიანად ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემისთვისაც. იმედი მაქვს, რომ "ეი-ი-ესი", რომელსაც საქართველოში, დაახლოებით, სამას მილიონ დოლარამდე ინვესტიცია აქვს განხორციელებული, ამ გადაწყვეტილებას ასე ადვილად არ მიიღებს,"** – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ.

# ბანკირები თავს კანონით და იარაღით დაიცავენ

## ˝ეთიკის კოდექსის˝ დარღვევის ფაქტებს ბანკირები შიდა ˝გარჩევებზე˝ განიხილავენ

გვანცა კვინიკაძე

*ქართველ ბანკირებს მათი ფინანსური და პირადი უსაფრთხოების დაცულობის ამჟამინდელი ხარისხი არ აკმაყოფილებთ. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის (რომლის თავმჯდომარე - ზაზა სიორიძე სწორედ ბანკირთა წრიდანაა გამოსული) მიერ, ბანკების ასოციაციისა და ეროვნული ბანკის მონაწილეობით, მომზადებულია კანონპროექტი "საქართველოს ბანკებისა და ბანკირების სამართლებრივი დაცვის დამატებითი გარანტიების შესახებ". კანონპროექტის თანახმად, ამ "დამატებით გარანტიებში", უპირველეს ყოვლისა, ბანკებსა და ბანკირებზე ინფორმაციის მოპოვებისა და მასმედიის საშუალებით გავრცელების გარკვეული შეზღუდვა და ბანკირებისთვის არაავტომატური იარაღის ტარების უფლების დაკანონება იგულისხმება. სავარაუდოა, რომ ამ კანონპროექტს პარლამენტი წლის ბოლომდე მიიღებს.*

კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის, ბანკების ასოციაციის თავმჯდომარის ზურაბ გვასალიას განცხადებით, დამოუკიდებელი ქართული საბანკო სისტემის ათწლიანმა ისტორიამ აჩვენა, რომ არსებული კანონმდებლობა ბანკირთა უსაფრთხოების სრულყოფილ გარანტიებს ვერ ქმნის. გვასალიას თქმით, ეს უკანასკნელ პერიოდში ქართულ პრესაში გამოქვეყნებულმა დაუსაბუთებელმა პუბლიკაციებმაც ცხადყო. საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი ამ გარემოებით ხსნის კანონპროექტის ერთ-ერთ მუხლში მასმედიის მეშვეობით ბანკირის მიმართ დაუსჯელად ბრალის დადების შესაძლებლობების შეზღუდვას. **"ჩვენ არანაირად არ ვზღუდავთ მასმედიას. უბრალოდ, ის ინფორმაცია, რომელიც გამოქვეყნდება, გადამოწმებული უნდა იყოს",** - აცხადებს გვასალია. ასეთი გადამოწმებული ინფორმაციის საუკეთესო და ბანკირთათვის ყველაზე ხელსაყრელ წყაროდ, გვასალია ეროვნულ ბანკს მიიჩნევს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ პრესის წარმომადგენლებს არაოფიციალურმა წყაროებმაც შეიძლება მიაწოდონ უტყუარი კონფიდენციალური ინფორმაცია. ასეთ შემთხვევებში, ბანკირთა პრეტენზიები მიმართული იქნება არა ჟურნალისტის, არამედ ინფორმაციის წყაროსადმი, თუ, რა თქმა უნდა, განაწყენებულმა ბანკირებმა მისი ვინაობა დაადგინეს.

ამ რვამუხლიანი კანონპროექტის ოთხ მუხლში მოცემული დანაშაულებებისთვის (ბანკირის დადანაშაულება არაკეთილსინდისიერ ან არამართლზომიერ ქმედებაში, ბანკის დისკრედიტაცია, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა, საბანკო-საფინანსო სისტემის დისკრედიტაცია) სასჯელს ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა კოდექსი თუ კანონი უკვე ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, გვასალიას თქმით, არსებულ საკანონმდებლო ბაზაში შესაბამისი შესწორებების შეტანას, ბანკირებმა ცალკე კანონის შექმნა ამჯობინეს. გვასალიას განცხადებით, საბანკო სისტემა, რომელზეც ქვეყნის მთელი ფინანსური სფეროს, მათ შორის, ეროვნული ვალუტის, სტაბილურობაც უშუალოდ არის დამოკიდებული, სპეციალური კანონის შექმნას ნამდვილად იმსახურებს.

**"ბანკი მთლიანად ნდობაზე დაფუძნებული ინსტიტუტია. ამ ნდობის მოპოვებას წლები სჭირდება, ხოლო მისი დაკარგვა ერთ წამშია შესაძლებელი",** - განაცხადა საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა. მისი თქმით, კომერციული ბანკისთვის ასეთი სახის ზიანის მიყენების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ყოფილი ფინანსთა მინისტრის მიერ "თბილკრედიტბანკის" წინააღმდეგ სახალხოდ წარმოთქმული მუქარა იყო, რამაც დიდწილად განაპირობა კიდეც ამ ბანკის გაკოტრება.

ერთადერთი, რაც აღნიშნულ კანონპროექტში სიახლეა, ეს ბანკირთათვის იარაღის ტარების უფლების დაკანონება გახლავთ. გვასალიას თქმით, ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში მოკლეს ბანკ "კრედიტის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გაიტაცეს "აგრობიზნესბანკის" მმართველი - პიტერ შოუ, თავისთავად მეტყველებს ბანკირთა ფიზიკური დაცვის გარანტიების გაძლიერების აუცილებლობაზე. კანონპროექტის ამ მუხლს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან წინააღმდეგობა შეხვდა. **"ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ მოქმედ კანონში "ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ", საბანკო სფეროს მენეჯერების უსაფრთხოების უზრუნველყოფა საერთოდ გამორჩენილია და იარაღის ტარების უფლება, კომუნისტური ფორმულირების მსგავსად, მხოლოდ მოლარესა და ინკასატორს აქვთ",** - მიიჩნევს გვასალია.

საბოლოოდ, კანონპროექტმა სრული სამართლებრივი ექსპერტიზა იუსტიციის სამინისტროში უნდა გაიაროს. ამის შემდეგ იგი პარლამეტს წარედგინება. საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ, თუ ხელისუფლებას ქვეყნის ბედი აწუხებს, ამ კანონს წლის ბოლოსთვის მიიღებენ. სავარაუდოდ, ამავე პერიოდში ამოქმედდება ბანკირთა ეთიკის კოდექსიც, რომელზეც ამჟამად საბანკო ასოციაციისა და ბანკების წარმომადგენელთა ერთობლივი ჯგუფი მუშაობს. კოდექსს ხელს ეროვნული ბანკი და საბანკო ასოციაცია მოაწერენ. მართალია, მისი დარღვევისთვის ბანკირებს არც ადმინისტრაციული და არც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, მაგრამ პროფესიული ეთიკის ნორმების გადახვევა შიდა საბანკო წრეებში მოწყობილ "გარჩევაზე" მკაცრად დაიგმობა.

# ავღანეთში ოპიუმის წარმოებამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია

ლევან ღირსიაშვილი

*ავღანეთში, ანტიტერორისტული კამპანიის შედეგად, თალიბანის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ჰეროინის წარმოებამ არნახულ ტემპებს მიაღწია და 1400 პროცენტით გაიზარდა..*

ნარკოტიკული ნივთიერებების კონტროლის გაერო-ს პროგრამის ექსპერტების პროგნოზით, ავღანეთში ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება კიდევ უფრო გაიზრდება. მათი შეფასებით, მიმდინარე წლის ბოლოს ავღანეთში აღებული ოპიუმის ყაყაჩოს მოსავალი 1,9-2,7 ათას ტონას მიაღწევს, რაც გრაფიკზე გამოსახული ციფრების მიხედვით საკმაოდ აღემატება გასულ წელს აღებული მოსავლის რაოდენობას.

აღნიშნული მონაცემები ლონდონში გაერო-ს ექსპერტთა ჯგუფმა, გამოაქვეყნა. ექსპერტთა ინფორმაციის თანახმად, დიდ ბრიტანეთში ნარკოტიკების 90 პროცენტი ავღანეთიდან არის შეტანილი. რამდენიმე ხნის წინ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მსოფლიო თანამეგობრობას ინიციატივით მიმართა, დაეხმარონ ავღანეთის მთავრობას ქვეყანაში ოპიუმის ყაყაჩოს მოსავლის შესამცირებლად გასატარებელ ღონისძიებებში.




ბრიტანეთის ხელისუფლება მზად არის, ფულადი კომპენსაციები გაიღოს, რათა ავღანელმა ფერმერებმა ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოება შეამცირონ. არსებული მონაცემების თანახმად, ავღანელ ფერმერებს ერთი ჰექტარი ყაყაჩოს განადგურებისთვის 1250 აშშ დოლარის (800 გირვანქა სტერლინგის) გადახდას ჰპირდებიან. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, გაერთიანებული სამეფო ავღანეთში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ლიდერის ფუნქციას იკისრებს.

ავღანეთში ჰეროინის წარმოების გიგანტური ტემპებით ზრდამ, დიდი ბრიტანეთის გარდა, სხვა ქვეყნების შეშფოთებაც გამოიწვია. მომავალ კვირას პარიზში დაგეგმილია ნარკობიზნესთან ბრძოლის თემაზე საერთო ევროპული კონფერენციის გახსნა. კონფერენციის სასწრაფოდ მოწვევა სწორედ გაერო-ს ექსპერტთა მონაცემების გამოქვეყნებამ გამოიწვია. ბრიტანელები, კერძოდ, ლონდონში დაფუძნებული საერთაშორისო ორგანიზაცია "Drugs Scope." შეეცდება ევროპელი კოლეგების დარწმუნებას, რომ აუცილებელია ავღანეთის დონორი ქვეყნების ძალისხმევა და ფულადი კომპენსაციების გაზრდა ავღანელი ფერმერებისათვის, რათა ოპიუმის ყაყაჩოს პლანტაციებზე სხვა სახის კულტურები გაშენდეს.

თუმცა, საეჭვოა, ამ ღონისძიებებმა დიდი შედეგი გამოიღოს, რადგან ავღანეთის მოსახლეობისათვის ოპიუმის მოშენება მთავარ საარსებო და, ამავე დროს, უიოლეს საშუალებას წარმოადგენს. ოპიუმის კულტურა საერთო ავღანური კულტურის შემადგენელ ნაწილად იქცა, რისი აღმოფხვრაც თითქმის წარმოუდგენელია.

# კოტ დ`ივუარში სამოქალაქო ომი გრძელდება

ლევან ღირსიაშვილი

*კოტ დ`ივუარში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. ამბოხებულ ჯარისკაცებს და სამთავრობო ძალებს შორის სისხლიანი შეტაკებები გრძელდება. ფრანგი და უცხოელი მოქალაქეების საშველად გაგზავნილ საფრანგეთის სპეცდანაყოფს ამერიკელი სამხედროებიც შეუერთდნენ. ამ ქვეყანაში აშშ-ს მოქალაქეების საკმაოდ დიდი რაოდენობა იმყოფება.*

გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, სამთავრობო ძალებმა ქვეყნის სამრეწველო ცენტრიდან - ქალაქ აბიჯანიდან ამბოხებულები განდევნეს. მაგრამ, აჯანყებულები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ კონტროლს ორ ქალაქზე - ბუაკსა და კოროგოზე. ბუაკი ელექტროენერგიისა და წყლის გარეშეა დარჩენილი. ამ ქალაქში აშშ-ს, დაახლოებით, 300 მოქალაქე იმყოფება, მათი უმეტესობა ბავშვია. საფრანგეთისა და აშშ-ს სამხედრო ნაწილები, ჯერჯერობით, ქალაქში არ შედიან, რადგან იქ სამთავრობო ძალებსა და ამბოხებულებს შორის ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს.




კოტ დ`ივუარი, აფრიკის კონტინენტზე სტაბილურობის ერთ-ერთ ოაზისად ითვლებოდა. აქ მსოფლიოს კაკაოს პროდუქციის 40 პროცენტი იწარმოებოდა. კოტ დ`ივუარი საჰარას რეგიონში ეკონომიკური წინსვლითა და სოციალური მდგომარეობით მესამე ადგილზე იყო. 1999 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ და 2000 წელს დიდი მსხვერპლით ჩატარებულმა არჩევნებმა ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციას დიდი დარტყმა მიაყენა, თუმცა, ხელისუფლებამ წესრიგის დამყარება მაინც შესძლო. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კი კოტ დ`იუვარის განვითარება დიდი ხნით შეაფერხა.

კოტ დ`ივუარის ხელისუფლება ქვეყნის შიგნით კრიზისის გამწვავებაში მეზობელ სახელმწიფოს - ბურკინა ფასოს ადანაშაულებს. საქმე იმაშია, რომ სამ მილიონზე მეტი ბურკინელი ემიგრანტი კოტ დ`ივუარში ცხოვრობს, რომლის 16-მილიონიანი მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს კაკაოს პლანტაციები წარმოადგენს. კოტ დ`ივუარის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის აზრით, ბურკინელები მათი პლანტაციების მიტაცებას აპირებენ. თავად ბურკინა ფასოს ხელისუფლება კოტ დ`ივუარის პრეზიდენტის ბრალდებას უარყოფს, თუმცა, ერთ-ერთი ბურკინელი მინისტრის განცხადებით, თუ საჭირო გახდება, მისი ქვეყნა ომში ჩაერთვება.

დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა რეგიონალური ბლოკის – ECOWAS-ის ლიდერებმა განაცხადეს, რომ 5 ოქტომბერს ისინი სენეგალის დედაქალაქ დაკარში შეიკრიბებიან, რათა ერთობლივად მოძებნიონ კოტ დ`ივუარის კრიზისის მოგვარების გზები.

# ამერიკა-რუსეთის დიპლომატიური დუელი - ვაშინგტონი ცდილობს, სადამ ჰუსეინს „კანონიერად" დაარტყას

პირველი გვერდიდან

დღეს ამერიკის მთავარი მიზანი უშიშროების საბჭოში ანტიერაყული რეზოლუციისათვის ხმების უმრავლესობის მოპოვებაა, რასაც, ჯერჯერობით, ხელს უშლიან რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. სამივე ქვეყანას საბჭოში ვეტოს უფლება გააჩნია, რის გამოყენებასაც მათგან მხოლოდ რუსეთი აპირებს. საფრანგეთი და ჩინეთი, ალბათ, თავს შეიკავებენ. უშიშროების საბჭოს დანარჩენი, არამუდმივი წევრებიდან ერაყი უკვე "გაწირეს" ბულგარეთმა, სინგაპურმა, კოლუმბიამ, ნორვეგიამ და ირლანდიამ. ამ ქვეყნებმა ამერიკა-ბრიტანეთის მკაცრ პოზიციას დაუჭირეს მხარი.

მათგან განსხვავებით, რუსეთი არამცთუ პოზიციას არბილებს, არამედ, პირიქით, სულ უფრო მკვეთრი განცხადებებით გამოდის. გუშინ პრეზიდენტმა პუტინმა ერაყის კრიზისის პოლიტიკურ, და არა სამხედრო, მოგვარებას დაუჭირა მხარი. თანაც, პუტინის აზრით, პოლიტიკური მოგვარება არა ახალ, არამედ უკვე არსებულ რეზოლუციებს უნდა ემყარებოდეს – პოზიცია, რომელიც პირდაპირ ემთხვევა ერაყის პოზიციას. გაერო-ს ინსპექტირების პროგრამის აღდგენა **"საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნებს პასუხობს,"** – გადაჭრით განაცხადა პუტინმა მოსკოვში ერაყის ახალ ელჩთან შეხვედრაზე. პუტინს ხმა აუწყო საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანოვმა, რომელმაც უარყო ხმები რუსეთისა და ამერიკის პოზიციების დაახლოების შესახებ.

რუსეთის დელეგაცია აქტიურობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ერაყში ომის საწინააღმდეგო რეზოლუციის მიღებისასაც. რუსეთის საპარლამენტო დელეგაციის პოზიცია, რომელსაც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი როგოზინი ხელმძღვანელობს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია – წინა დღით რუსეთის დელეგაციის წევრები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ ევროპის საბჭო, რომ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო დარტყმები სავსებით კანონიერი იქნებოდა, გუშინ კი იგივე დელეგაცია ერაყში სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ასეა თუ ისე, ევროპაში ერაყის ომის საწინააღმდეგო განწყობა მართლაც არსებობს და ამ განწყობას უკვე არა მარტო გერმანია, არამედ საფრანგეთის მთავრობაც გამოხატავს. გუშინ მათ "შეუერთდა" შეერთებული შტატების კონგრესის დემოკრატიული პარტიის ფრთის წარმომადგენელი ტომ დეშლიც, რომელმაც გააკრიტიკა ამერიკის პრეზიდენტის მცდელობა, ერაყის წინააღმდეგ ომი შიდა პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებისათვის გამოიყენოს. დეშლმა პრეზიდენტ ბუშისაგან ამერიკის შიდა პოლიტიკური "თამაშის წესების" დარღვევისათვის ბოდიშის მოხდა მოითხოვა, მაგრამ ცივი უარი მიიღო.

ბუშის ადმინისტრაცია სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმითაა დაკავებული – პრეზიდენტის მრჩევლები და თანაშემწეები ცდილობენ, საჩქაროდ გამონახონ უცილობელი სამხილები სადამ ჰუსეინისა და უსამა ბინ ლადენის ტერორისტულ ქსელ "ალ ქაიდას" შორის არსებული კავშირების დასამტკიცებლად. გუშინწინ ამ კავშირების არსებობის შესახებ განცხადება გააკეთა პრეზიდენტის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა. მისი თქმით, სადამ ჰუსეინი ბაღდადში "ალ ქაიდას" ტერორისტებს მფარველობდა და მათ ქიმიური იარაღის გამოყენებას ასწავლიდა. ეს ინფორმაცია ამერიკელებმა "ალ ქაიდას" ტყვედ ჩავარდნილი მებრძოლების დაკითხვის შედეგად მოიპოვეს. დაკითხვებმა ცხადყო, რომ სადამ ჰუსეინსა და უსამა ბინ ლადენის ტერორისტებს შორის კავშირები საკმაოდ დიდი ხნის წინ დამყარდა.

რითი გამოეხმაურება პენტაგონი თავის მიერვე აღმოჩენილ სამხილებს? გუშინ ცნობილი გახდა, რომ შეერთებული შტატები, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს ერაყის ოპოზიციის სამხედრო მომზადებისათვის. ეს ფული სადამის მოწინააღმდეგეების გასაწვრთნელად და აღსაჭურვად (მაგრამ არა შესაიარაღებლად) კონგრესმა ჯერ კიდევ 1998 წელს გამოჰყო, მაგრამ კლინტონის ადმინისტრაციამ ამ თანხიდან ერთი მილიონი დოლარიც კი არ დახარჯა. სამაგიეროდ, ბუშის ადმინისტრაციის ახლანდელი კონსერვატორი წევრები – თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი და მისი მოადგილე პოლ ვოლფოვიცი – ამ ფულს სათანადოდ გამოიყენებენ. მათ გადაწყვიტეს, მოამზადონ ათასამდე ერაყელი ოპოზიციონერი მოქალაქე, რომლებიც, საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ამერიკულ ავიაციას ერაყული სამიზნეების დადგენაში დაეხმარებიან. გარდა ამისა, ერაყელ მოქალაქეებს გაწვრთნიან, როგორც თარჯიმნებს, გამყოლებსა და მცველებს, რომლებიც ამერიკულ ჯარებს მოწინააღმდეგის დამარცხებას გაუადვილებენ. გაწვრთნილ ერაყელ ოპოზიციონერებს სადამ ჰუსეინის სამხედრო ნაწილებიდან გაქცეული პირების მეთვალყურეობა დაევალებათ.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ჩაირიცხებიან თუ არა ამ სამხედრო ჯგუფებში ქურთული წარმოშობის ერაყელები, რომლებიც სადამ ჰუსეინის მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე კარგად ორგანიზებულ და კარგად შეიარაღებულ ძალას წარმოადგენენ.

# ისრაელის სამხედრო რეიდები პალესტინაში

ისრაელის არმიის სამხედრო მოქმედება პალესტინის ტერიტორიაზე კვლავ გრძელდება, რასაც ხუთშაბათს ტრაგიკული შედეგი მოჰყვა – ჰებრონში 14 თვის გოგონა დაიღუპა. საავადმყოფოს წარმომადგენელთა ცნობით, ბავშვი ბებიასთან ერთად ბაზრის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, როდესაც ებრაელმა სამხედროებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. გაზით მოწამლული მცირეწლოვანი გოგონა საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ისრაელის წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, ისინი ამ ფაქტს გადაამოწმებენ.

იმავე დღეს ღაზას სექტორში ისრაელის სამხედროებს პალესტინელებმა ცეცხლი გაუხსნეს. ორმხრივი სროლის შედეგად ერთი თავდამსხმელი მოკლეს, ხოლო მეორემ მიმალვა მოახერხა. მოკლული პალესტინელი მოძრაობა "ჰამასის" აქტივისტი აღმოჩნდა.

გუშინვე, ისრაელის დროით 13:00-ზე ისრაელის არმიის, დაახლოებით, 30 ტანკი და ორი სამხედრო ბულდოზერი ღაზას სექტორში, ბეით-ხანუნის ტერიტორიაზე შევიდა. მათ ჰაერიდან ვერტმფრენები უმაგრებდნენ ზურგს. სააგენტო "როიტერის" ცნობით, ვერტმფრენებმა სარაკეტო დარტყმები მიაყენეს ორ ავტომანქანას, რომლებშიც ოთხი პალესტინელი მამაკაცი იმყოფებოდა. ყველა მათგანი ადგილზე დაიღუპა. მათი ვინაობა დგინდება, თუმცა, ისრაელის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ დაღუპულები მოძრაობა "ჰამასის" მაღალი რანგის ხელმძღვანელები იყვნენ. მათ გარდა, ისრაელის არმიის მიერ განხორციელებული აქციის შედეგად, დაახლოებით, 25-მდე პალესტინელი მოქალაქე მძიმედ დაიჭრა.


ისრაელის არმიის რეიდებს თან უდანაშაულო მსხვერპლიც ახლავს. REUTERS

# ჰააგაში მილოშევიჩის სასამართლო პროცესი განახლდა


სლობოდან მილოშევიჩის სასამართლო პროცესი გრძელდება. REUTERS

გუშინ, ორკვირიანი შესვენების შემდეგ, ჰააგაში იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის - სლობოდან მილოშევიჩის სასამართლო პროცესი განახლდა. მის მიმართ წაყენებული ბრალდებების მიხედვით, მილოშევიჩი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ეთნიკური წმენდის გეგმის შემუშავების ავტორია. პროკურორმა ჯეფრი ნაისმა თავის გამოსვლაში, რომელიც 80 წუთს გრძელდებოდა, მილოშევიჩს 61-ე პუნქტის თანახმად წაუყენა ბრალდებები.

საპასუხო გამოსვლაში ბრალდებულმა მილოშევიჩმა მოითხოვა ფილმის ჩვენება, სადაც სერბები ომის მსხვერპლად არიან წარმოჩენილები.

პროცესის გახსნისთანავე სასამართლოს შენობის წინ ბოსნიელები შეიკრიბნენ, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ დანარჩენი სამხედრო დამნაშავეების დაპატიმრებას.

სლობოდან მილოშევიჩის მიმართ წაყენებულ საბრალდებო დასკვნაში, რომელიც ორ 60-გვერდიან დოკუმენტს ემყარება, წარმოდგენილია ომის დროს მოკლულთა სია. დასკვნას ასევე თან ერთვის დანგრეული ქალაქებისა და სოფლების ამსახველი მასალები. საბრალდებო დასკვნის თანახმად, იუგოსლავიის სათავეში ყოფნის დროს სლობოდან მილოშევიჩმა "კრიმინალური გაერთიანება" შექმნა, რომლის მიზანსაც "არასერბი მოსახლეობის მიმართ" ძალადობის გამოყენება წარმოადგენდა.

სლობოდან მილოშევიჩს ბრალი ედება გენოციდში, ომის წარმოების წესების დარღვევაში, ეროვნების ნიშნის მიხედვით ადამიანთა დევნაში, მშვიდობიანი მოსახლეობის წამებასა და მკვლელობებში. მასთან ერთად, ბრალდება წაყენებული აქვს იუგოსლავიის 19 მაღალჩინოსან სამხედრო პირს.

როგორც ვარაუდობენ, სასამართლო საქმის მოსმენა 2003 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდება.

## მოკლედ

**თბილისი.** როგორც „საქსტანდარტის" პურპროდუქტების სამმართველოს უფროსი ომარ კვირიკაძე აცხადებს, ხორბლის, ფქვილისა და პურპროდუქტების ხარისხი ერთმა უწყებამ უნდა შეამოწმოს, რადგან სამივე პროდუქტი რეალურად მზა პროდუქციას წარმოადგენს და მათი ხარისხის შემოწმებას ყოველთვის „საქსტანდარტი" ახორციელებდა, მაგრამ ბოლო დროს ხორბლის და ფქვილის კონტროლი სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს გადაეცა. კვირიკაძის თქმით, ფუნქციების ამნაირი გამიჯვნა დამატებით პრობლემებს ქმნის.

ამჟამად „საქსტანდარტში", „სურსათისა და თამბაქოს შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტზე მუშაობენ, რომლის თანახმად, მზა პროდუქციის კონტროლი ერთმა უწყებამ უნდა განახორციელოს. ცვლილებების პროექტი, პრაქტიკულად, მზად არის და ნოემბერში საქართველოს მთავრობას განსახილველად გადაეცემა.

■ ■ ■

**რუსთავი.** ქვემო ქართლის გარემოს დაცვის სამმართველომ მხარეში არსებული რადიაციული ნივთიერებების რაოდენობის აღრიცხვა რუსთავში მოქმედი ქარხნების - „აზოტის", „მეტალურგიული კომბინატისა" და „ქიმბოჭკოს" შემოწმებით დაიწყო. სამმართველომ რამდენიმე ობიექტი უკვე შეამოწმა და მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა. გარემოს დაცვის სამმართველო მუშაობას ოქტომბრის ბოლოს დაასრულებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის მეხუთე რუსული სკოლის დირექციის მოთხოვნა რუსეთის საელჩოს ნაცვლად ქართველი პოლიტიკოსის ჰოლანდიელმა მეუღლემ სანდრა რულოვსკი-სააკაშვილმა დააკმაყოფილა. მან ჰოლანდიური ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით, სკოლისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოები იყიდა და ზუგდიდში ჩაიტანა. შეგახსენებთ, რომ წელს რუსეთის საელჩომ სახელმძღვანელოები მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსულ სკოლებს მიაწოდა, ქართული სკოლები კი უარით გამოისტუმრა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში, ცხისფერდის მიდამოებში, სოფლის მცხოვრებმა ვახტანგ კვერღელიძემ მიწის დამუშავებისას სხვადასხვა ზომის და ფორმის შრომის იარაღები-ქვისგან ნაკვეთი ხელცულები აღმოაჩინა. ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის დირექტორის ენვერ გოგუაძის განცხადებით, ქვის თორმეტი იარაღი, საკმაოდ დახელოვნებული ოსტატის ნამუშევარი ჩანს და ახალი ქვის ხანის-ნეოლითის ეპოქით თარიღდება, ე.ი. დაახლოებით 10000 წლისაა.

სოფელი გურიანთა არქეოლოგიური თვალსაზრისით კვლევის ფრიად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს. აქ ფიქსირდება გურიის მთავარი ქალაქის ვაშნარის ნაშთები. ხელცულების აღმომჩენი ვახტანგ კვერღელიძე ჯერ კიდევ 1949 წელს არქეოლოგ გერმანე გობეჯიშვილის მიერ მოწყობილ ვაშნარის გათხრებში მონაწილეობდა შავ სამუშაოებზე და არქეოლოგიური აღმოჩენისას ამ საქმეში ძველი გამოცდილება გამოადგა.

გურიანთა-ვაშნარის მიდამოებში ადამიანთა მოსახლეობის დამამტკიცებელი ცნობები უმეტესად ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან მოიპოვება, მაგრამ აქ აღმოჩენილი მდიდარი ნივთიერი არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში აქ ადამიანთა საცხოვრისი იყო.

გურიანთა-ვაშნარში უკანასკნელი საფუძვლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1963 წელს ჩატარდა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. აქ მიწისქვეშეთი ბევრ საინტერესო ცნობას ინახავს და მათი გამომზეურებისთვის ზრუნვა საშური საქმეა.

■ ■ ■

**ოზურგეთი.** გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში თვლიან, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალის ღვაწლი ადექვატურად არ არის შეფასებული და ამ საქმის გამოსწორებისათვის ენერგიულ ზრუნვას იწყებენ. შეიქმნა რეგიონული მასშტაბის ფრიად ავტორიტეტული კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი მეფის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მომზადებას. კომისიის შემადგენლობას მხარის სასულიერო და საერო წინამძღოლები მეუფე იოსები და კარლო გუჯაბიძე უდგანან სათავეში. კარლო გუჯაბიძის შეხედულებით, მხარის ადმინისტრაცია მხოლოდ პოლიტიკური ორგანო არ უნდა იყოს და ხედვის არეალის სიფართოვითა და მრავალმხრივობით უნდა გამოირჩეოდეს. ამ ხედვითი რაკურსის ცენტრში რატომღაც პირველ ნომრად გიორგი ბრწყინვალე აღმოჩნდა. გუბერნატორის აზრით, ხსოვნის დღე არა პომპეზურად, მაგრამ ერთობ მასშტაბურად აღინიშნება, იგი დარწმუნებულია, რომ ხარჯებისთვის ქველმოქმედებას არცერთი ბიზნესმენი არ დაიშურებს.

კარლო გუჯაბიძე ვარაუდობს, რომ საქართველოს გამაერთიანებელი და გამაძლიერებელი მეფის ხსოვნის პატივგება ისევ და ისევ ჩვენი სამშობლოს ერთობის საქმეს წაადგება დღეს, როცა ამის საჭიროება როგორც არასდროს, ისე არსებობს.

# ჯორბენაძე USAID-ის ბრალდებებზე თავს იმართლებს

ეთერ მამულაშვილი

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, USAID-ის დემოკრატიისა და მმართველობის შეფასების ჯგუფმა საქართველოში მუშაობა გუშინ დაასრულა. ჯგუფს, რომელიც სამი კვირის წინ ჩამოვიდა, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის შეფასების მისია ევალებოდა. 21 დღის მანძილზე ისინი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს, რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოსახლეობას შეხვდნენ. უახლოეს დღეებში ჯგუფის წევრები საქართველოში ჩატარებული გამოკვლევის სპეციალურ ანგარიშს მოამზადებენ და შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, აღმასრულებელ ხელისუფლებას წარუდგენენ.

გუშინ კანცელარიაში, დემოკრატიისა და შეფასების ჯგუფს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე შეხვდა. საქართველოში დემოკრატიის არსებობას სახელმწიფო მინისტრი USAID-ის ექსპერტებს გუშინ დიდხანს უმტკიცებდა. მისი თქმით, პოსტსაბჭოური სივრციდან საქართველო არის ერთადერთი გამონაკლისი, სადაც დემოკრატიული პროცესები საუკეთესოდ ვითარდება. "მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი კონსტიტუცია ზუსტად ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალობას. ჩვენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა უმაღლეს დონეზეა აყვანილი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას სიტყვისა და აზრის თავისუფლებას ვანიჭებთ, რომლის დაცვა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა", - განაცხადა ჯორბენაძემ.

USAID-ის ექსპერტები ქვეყნის პოლიტიკური სტრატეგიითა და თვითმართველობის განვითარებით უკმაყოფილონი არიან. ჯგუფის ხელმძღვანელი სტივ ტაკერი შიშობს, რომ საქართველოში დემოკრატიას სერიოზული საფრთხე ემუქრება, რადგან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა არ შესრულებულა, ბევრ სფეროში ჩასატარებელია სერიოზული რეფორმები. ამერიკელი ექსპერტების განცხადებით, სიტუაციას ისიც ართულებს, რომ საქართველოში კორუფციის დონე საკმაოდ მაღალია. ამის პასუხად სახელმწიფო მინისტრი ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის მართლებას მოჰყვა. ჯორბენაძის თქმით, რეფორმების განსახორციელებლად საჭიროა საზოგადოების მომზადება ამ პროცესებში ჩასართველად. "დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ხალხის მენტალიტეტის შეცვლა და სათანადო მომზადება სჭირდება. ამ ეტაპზე სწორედ ეს მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და, სხვათაშორის, ძალზე წარმატებულადაც. ძალიან ბევრი სფერო უკვე რეფორმირების პროცესშია", - აღნიშნა ავთანდილ ჯორბენაძემ.

დემოკრატიისა და მმართველობის შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი სტივ ტაკერი დაინტერესდა, თუ რატომ არ სრულდება ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შემუშავებული, კორუფციასთან ბრძოლის გეგმა. სახელმწიფო მინისტრი კვლავაც თავის მართლებას მოჰყვა. მისი თქმით, საბჭოს კორუფციასთან ბრძოლის პროგრამაზე მუშაობა ჯერ არ დაუსრულებია და, შესაბამისად, მისი განხილვაც არ მომხდარა. "გარდა ამისა, გეგმის განხორციელება ფინანსური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია, თუ არ იქნება თანხები, ის უბრალოდ ქაღალდზე დაწერილ გეგმად დარჩება", - დასძინა ჯორბენაძემ.

# ფაქტი პოლიციის სამმართველოს საყურადღებოდ

ნანა ქადაგიშვილი

ახლახან თბილისის პოლიციის სამმართველომ ძალზე საინტერესო დასახელების ოპერაციის განხორციელება წამოიწყო, "ფლორა 2002" - ასე ჰქვია ამ ღონისძიებას, რაც, ამ შემთხვევაში, ნარგავების უკანონოდ გაჩეხვის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს. ეს მართლაც ძალზე დროული, ოღონდ, არცთუ იოლად განსახორციელებელი ოპერაციაა, რადგან ნარგავების გამჩეხს ზურგს მერიის შესაბამისი სამსახურებისგან გაცემული საბუთები უმაგრებს, ტერიტორია ნაყიდი აქვთ, პროექტი - არქიტექტურის დეპარტამენტთან შეთანხმებული, რის შემდეგაც არც გარემოს დაცვითი ნებართვის მოპოვება ჭირს. ხოლო ეს ტერიტორია როგორ გაიყიდა და პროექტი როგორ დამტკიცდა, უკვე საინტერსო "აღარ არის". ასე რომ, ყველაფერი კანონიერია და დაზარალებული მოსახლეობის ჩივილ-წუწუნს რაღა ძალა აქვს.

როგორც ვხედავთ, ქალაქის პოლიციას ზემოთაღნიშნული ოპერაციის განსახორციელებლად სერიოზულ პრობლემებთან და ძალებთან შეჭიდება მოუწევს. ხოლო, თუკი უკან დაიხევას მაინც არ აპირებს, ერთ მისამართს მივასწავლით. ახლახან ამბროლაურის ქუჩაზე მდებარე მე-9 კორპუსის მცხოვრებლებმა მოგვმართეს, 14 სექტემბერს ჩვენი კორპუსის ეზოში ყაჩაღებმა 40-წლიანი ფიჭვის ხეები, ბუჩქნარი და ყვავილნარი გაგვიჩეხესო. ეს "ყაჩაღები" ამბროლაურის ქუჩის მეზობელ ქართველიშვილის ქუჩაზე მდებარე ავეჯის სახლის მფლობელები აღმოჩნდნენ. მათ აღნიშნული კორპუსის წინ, ამბროლაურისა და ქართველიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, გამწვანებული ტერიტორია ჯერ კიდევ 2001 წლის 31 იანვარს იყიდეს, ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტის ნებართვაც აიღეს და წელს ოფისის მშენებლობა წამოიწყეს. "14 სექტემბერს საღამოს რამდენიმე ახალგაზრდამ ჩვენი კორპუსის ეზოში გამწვანებულ ტერიტორიას ღობე შემოაცალა, 4-5 ფიჭვი და ხეხილის ხეები ძირიანად ამოძირკვა და ყვავილნარი მოთხარა. ჩვენს მეზობელს აქ ფარდული ედგა, გაჭირვებული ქალია, შეშას ინახავდა, ხეებს ისიც მიაყოლეს. წინააღმდეგობა რომ გავუწიეთ, დაგვემუქრნენ, ჩვენს უკან ისეთი ხალხი დგას, ვერაფერს დაგვაკლებთო", – ჩივის მოსახლეობა. "ტერიტორია ჩვენი საკუთრებაა და უკანონოდ არაფერს ვაშენებთ. რომ გენახათ იქაურობა რას გავდა, მოსახლეობას ბოსტანი გაეშენებინა, რამდენიმე ჭანჭურისა და თუთის ხე და ძველი ფარდულიც იდგა. ეს ყველაფერი მოვაშორეთ, ფიჭვის ხეებისთვის კი ხელი არ გვიხლია, მიწის მართვის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებულ საკადასტრო რუქაზე სამი ფიჭვია აღნიშნული, ეს სამი ფიჭვი ახლაც დგას", – აცხადებს მეპატრონე, რომელსაც, ზემოთჩამოთვლილი საბუთების მიუხედავად, მთლად უპრობლემოდ მაინც არ მისდის საქმე. მომჩივანი მოსახლეობის მიერ მოწვეულმა ვაკე-საბურთალოს რაიონის ეკოპოლიციამ აღმოაჩინა, რომ მას მშენებლობისთვის გარემოს დაცვითი ნებართვა არ ჰქონია (არადა, არქიტექტურის დეპარტამენტს პროექტი ამ ნებართვის გარეშე არ უნდა დაემტკიცრბინა) და საქმე ქალაქის გარემოს დაცვის კომიტეტს გადასცა. კომიტეტმა აღნიშნული ტერიტორიის მეპატრონე 429 ლარით დააჯარიმა და პოლიციაც საქმის კურსში ჩააყენა. "სანამ გარემოს დაცვის კომიტეტის ნებართვას არ წარმოადგენენ, ერთ ხესაც ვერ მოჭრიან", – კატეგორიულად აცხადებს ეკოპოლიციის უფროსი მალხაზ ბაქრაძე. გარემოს დაცვის კომიტეტი კი საქმის შესწავლამდე ვერ აკონკრეტებს, ნებართვას გასცემს თუ არა.

სტიპენდიები 2003/2004
გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD)
ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI)

გერმანული გაცვლის სამსახური (DAAD) და ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI) კურსდამთავრებულებს და სამეცნიერო ხარისხის მქონე ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლებს სთავაზობს სტიპენდიების ახალ პროგრამას. სტიპენდიები ერთობლივად გაიცემა DAAD-სა და OSI-ის მიერ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და კვლევითი მიზნების განსახორციელებლად.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:
- ბაკალავრის ოთხწლიანი დიპლომის მქონე სტუდენტებს;
- მაგისტრის ან ხუთწლიანი სწავლების დიპლომის მქონე კურსდამთავრებულებს;
- ახალგაზრდა მეცნიერებათა კანდიდატებს, დოცენტებს.

პროგრამა ეხება შემდეგ დისციპლინებს:
პოლიტოლოგია, სოციოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართალი, ეკონომიკა, ფილოსოფია, სახელმწიფო მართვა, განათლების მართვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

სტიპენდიები გაიცემა შემდეგი მიზნებისთვის:
- სამაგისტრო კურსები; ხანგრძლივობა 2 წელი
- სამეცნიერო ხარისხის მოპოვება; ხანგრძლივობა 3 წელი
- მეცნიერებათა კანდიდატებისა და დოცენტების სტაჟირება სამ-სამი თვით მომდევნო ორი წლის განმავლობაში.

ენის ცოდნა:
სასურველია გერმანული ენის კარგი ცოდნა. ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია ენის კურსები. ტესტირება გერმანულ ენაში ენის ცოდნის დონის დასადგენად შედგება 2002 წლის დეკემბერში.

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 30 ნოემბერი, 2002.

ინფორმაცია და კონსულტაციები: ინფორმაცია ამ პროგრამისა და კონკურსის მიმდინარეობის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ DAAD-სა და OSI-ს რეგიონალურ წარმომადგენლობებში მისამართებზე:

DAAD-ს რეგიონალური ბიურო, ბარბარა ვატენდორფი, ფიზიკის ინსტიტუტი, თამარაშვილის ქ. 6 380077 თბილისი, ტელ: 39 14 94, ელ-ფოსტა: Wattendorf@daad.org.ge,
მიღების საათები: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს 16.00-18.00

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", საერთ. განათლების საკონსულტაციო ცენტრი, გიორგი გიგიბერია, ჭოველიძის ქ. 10, 38 0008 თბილისი, ტელ. 93 89 99; 25 04 63
ელ-ფოსტა: gaga osgf.ge მიღების საათები: სამშაბათი, ხუთშაბათი 16.00

# მშვენიერ ადამიანთა სამყარო

ნინო რუსიაშვილი

თბილისში, ჰერმან გმაინერის ქუჩაზე, ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგებულ თანამედროვე ტიპის ორსართულიან სახლებში, ჩვეულებრივისგან ოდნავ განსხვავებული ოჯახები ცხოვრობენ.

თითოეულ ოჯახში "დედა" და შვიდი ბავშვია. ღვიძლი დედების მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის ეს სოფელი უმწეო ბავშვთა თავშესაფარი კი არა, მყუდრო ოჯახური გარემოა.

საერთაშორისო ორგანიზაცია SOS - ბავშვთა სოფლის მსოფლიო ოჯახი, 52 წლის წინ ავსტრიელი ჰერმან გმაინერის ინიციატივით შეიქმნა. დღეს მსოფლიოს 130 ქვეყანაში 385 SOS - ბავშვთა სოფელია.

SOS - ბავშვთა სოფელი "თბილისი" ექვსი წელია არსებობს. მასში თორმეტი სახლი და, შესაბამისად, თორმეტი ოჯახია. ბავშვთა სოფლის ხელმძღვანელია ბატონი ოთარ ნინუა, რომელიც თავის ოჯახთან ერთად ადმინისტრაციულ შენობაში ცხოვრობს. "დედებს" ბავშვების აღზრდაში "დეიდები" ეხმარებიან. ისინი დედებს შვებულების ან ავადმყოფობის დროს ცვლიან.

თექვსმეტ წლამდე ბავშვები სოფელში ცხოვრობენ, შემდეგ გადადიან ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე ახალგაზრდულ ცენტრში, სადაც ოთხი წლის განმავლობაში დამოუკიდებლად ცხოვრებას სწავლობენ.

ბავშვთა სოფელში, ძირითადად, ობოლი ბავშვები არიან. მათ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ორგანიზაციის ყველა წევრი მაქსიმალურად ცდილობს, მათ მყუდრო ოჯახური ატმოსფერო შეუქმნას. ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება არაფრით განსხვავდება თბილისში მცხოვრები ოჯახებისგან. ისინი საშუალო განათლებას 170-ე სკოლაში იღებენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახის წევრები მოზარდებს არჩევანის გაკეთებაში ეხმარებიან, ხელს უწყობენ სწავლის გაგრძელებაში.



ბავშვთა სოფელი

სხვადასხვა ქვეყანაში SOS - ბავშვთა სოფლებს, უმეტესად, ხელშემწყობი ორგანიზაციები აფინანსებენ. თანხების მიზნობრივად ხარჯვა რეგულარულად მოწმდება.

ბავშვთა სოფელში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ფუნქცია "დედობაა". "დედა" აუცილებლად გაუთხოვარია. მას კვირაში ერთი გამოსასვლელი დღე აქვს. "დედა" დადის ბაზარში, ოჯახის სხვა წევრებისთვის ამზადებს სადილს, ბავშვებს ეხმარება გაკვეთილების მომზადებაში. იგი ყველა დედობრივ ფუნქციას ასრულებს და ბიოლოგიური დედებისგან არაფრით განსხვავდება.

ხანდახან ისეც ხდება, რომ საკუთარი მშობლების მიმართ გაჩენილი აგრესია ბავშვებს ახალ დედებზეც გადმოაქვთ.

SOS - ბავშვთა სოფლის დედა, ქალბატონი ნანა ჯანჯღავა: "ჩემი პროფესია უდიდეს პასუხისმგებლობას გულისხმობს. რთულია შვიდი სხვადასხვა ხასიათის მოზარდის აღზრდა და მათ შორის ურთიერთობის დარეგულირება. აქ ყველა ბავშვი ცხოვრებისეული პრობლემებით გაღიზიანებული მოდის. ზოგს დიდი აგრესიაც მოაქვს. ბავშვთა სახლიდან ძმები გადმოვიდნენ. იმდენად გაღიზიანებულები იყვნენ, მათთან ურთიერთობა შეუძლებელი იყო. მეჩვენებოდა, რომ ან მე უნდა წავსულიყავი, ან ისინი. მაგრამ დროთა განმავლობაში შეგვეჩვივნენ, შევუყვარდით. ახლა უკვე სანახავად მოსულ დედას ემალებიან. ვცდილობ, დედისადმი სიყვარული ჩავუნერგო ბავშვებს. ერთი გოგონა, როგორც იქნა, დედასთან შეხვედრაზე დავითანხმე. ჩვენთან არიან და-ძმა, რომლებიც მშობლებს არ იცნობენ. ისინი ხუთი წლის წინ ბებიამ მოიყვანა. ბავშვები საშინელ სტრესულ მდგომარეობაში იყვნენ.

ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ზოგიერთი ბავშვის მშობლებთან და ნათესავებთან - დღესასწაულებზე შვიდივე ბავშვით მივდივარ მათთან".

ოთხი საძინებელი ოთახიდან ერთ-ერთი ქალბატონ ნანას ეკუთვნის. მასთან ერთად სძინავს სოფლის ყველაზე პატარა მცხოვრებს, სამი წლის ანის.

ქალბატონი ნანა: "ხანდახან ბავშვების დასჯაც გვიწევს, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასეირნოდ არ წავიყვანთ, ტელევიზორს ვერ უყურებს, ან საყვარელ ნივთს ვერ შეიძენს.

დასასვენებელ ადგილს ჩვენ თავად ვარჩევთ, რა თქმა უნდა, ბიუჯეტის გათვალისწინებით.

ბავშვებს არაფრით ვზღუდავთ - ხატავენ, ქარგავენ, მღერიან, ცეკვავენ, სურვილისამებრ, დადიან ეკლესიაში. რამდენიმე ბავშვი აქ მოინათლა.

ხანდახან ისე ვიღლები, რომ წასვლაზეც კი ვფიქრობ. იყო შემთხვევა, როცა, გაბრაზებულმა, ჩავიცვი და წასვლა დავაპირე. ბავშვებმა კარი ჩაკეტეს და დარჩენას მთხოვდნენ, თუმცა, არსადაც არ წავიდოდი. ჩემში იმდენად ძლიერია დედობრივი გრძნობა, რომ, მგონია, ბავშვების აღზრდის გარდა, არაფერი მიკეთებია".

"და-ძმებს" შორის საკმაოდ თბილი ურთიერთობაა. უფროსი გოგონები დედას პატარების აღზრდაში ეხმარებიან. ბიჭები გოგონებს უყურადღებოდ არ ტოვებენ, არც სოფელში და არც სოფლის გარეთ.

ბავშვთა სოფლის ყველა მცხოვრებს თავისი ოცნება აქვს - მეხუთეკლასელი მარი მომღერლობაზე ოცნებობს. მისი საყვარელი მომღერალი ლელა წურწუმიაა. მარის სწამს ღმერთი და წმინდა მარიამი. მარი SOS - ბავშვთა სოფელს მშვენიერ ადამიანთა სამყაროს უწოდებს.



გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" ატარებენ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

კანდიდატების ფოტოები გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში" 6 დღის განმავლობაში და კვირის ბოლოს ხმათა უმრავლესობით შეირჩევა კვირის გამარჯვებული ანუ ნახევარფინალისტი. შემდეგ ნახევარფინალისტებიდან გამოვლინდება გამარჯვებული "მის ფოტო მოდელი 2002". კონკურსში გათვალისწინებულია შემდეგი ნომინაციები:

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო საცურაო კოსტუმი

გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფასეული პრიზებით და მათ ელით უამრავი სიურპრიზი. კონკურსის ჟიურის წევრები იქნებიან თავად გაზეთის მკითხველები. იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენთვის სასურველ კანდიდატურას, აუცილებელია შეიძინოთ გაზეთი "24 საათი", ამოჭრათ მასში მოთავსებული ხმის მისაცემი ბარათი, მონიშნოთ მასზე თქვენთვის სასურველი კანდიდატურა (ერთ ბარათზე მხოლოდ ერთი კანდიდატურის მონიშვნაა შესაძლებელი. იმ ბარათზე, რომელზეც ერთზე მეტი კანდიდატურა იქნება მონიშნული – ანულირდება.) შევსებული ბარათი მოიტანეთ გაზეთ "24 საათის" რედაქციაში (ვაჟა ფშაველას 45, მე-14 სართული) ან ჩააგდეთ გაზეთ "24 საათის" საფოსტო ყუთში ვაჟა (ფშაველას 45, პირველი სართული)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ვაჟა ფშაველას 45, მე-15 სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი". ტელ. 53 69 11

# ხელისუფლების ზოგიერთი წევრი საქართველოს მტერია

## აცხადებს უშიშროების მინისტრის მოადგილე

პირველი გვერდიდან

უშიშროების სამინისტროს განაწყენება და მოსალოდნელ საფრთხეზე ხმამაღლა საუბარი იმ კრიტიკულმა გამოსვლებმა გამოიწვია, რომელშიც უშიშროების სამინისტრო უმოქმედობაში დაადანაშაულეს, ხოლო პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალურ ოპერაციას კი მოჩვენებითი უწოდეს. **“უშიშროების სამინისტროს მისამართით ასეთი განცხადებების გაკეთება ხდება სპეციალურად, უწყების დისკრედიტაციის მიზნით. სამინისტრო მუშაობს და სერიოზული შედეგებიც გვაქვს. პანკისის ხეობაში მიღწეული სერიოზული შედეგების შესახებ ახლა საუბარს არ დავიწყებ. რაც შეეხება პიტერ შოუს საქმის გამოძიებას, ის ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ რაც ჩვენ გვეხება, იმ სფეროში სერიოზული წარმატებები გვაქვს და შედეგს მალე ნახავთ,”** – ამბობს ლაშა ნაცვლიშვილი. "მოსალოდნელ საფრთხეს მოღალატე შადიმანები ქმნიან", - აცხადებს ბრალმდებლის როლში მყოფი მინისტრის მოადგილე, რომელიც შადიმანთა შორის ხელისუფლების წარმომადგენელთა არსებობასაც ადასტურებს. თუმცა, ლაშა ნაცვლიშვილმა არ დააკონკრეტა არც მოღალატე ხელისუფალთა ვინაობა და არც ის, თუ რა სერიოზული საშიშროება ელის ქვეყანას. **“მე ახლა დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, ყველაფერს დავასახელებთ ღია ეთერით,”** – ასეთი პირობა დადო ლაშა ნაცვლიშვილმა და ცენტრალური ტელევიზიის ხელმძღვანელს საგანგაშო ოპერატიული ინფორმაციების საჯაროდ გაცხადებისთვის საეთერო



ლაშა ნაცვლიშვილი

მარიკა ამურველაშვილის ფოტო

დრო მოსთხოვა. **„დღეს აშკარად ჩანს,რომ მტრები არა მარტო ქვეყნის გარეთ, არამედ ქვეყნის შიგნითაც არიან. უშიშროების სამინისტრო, პირველად თავისი არსებობის მანძილზე, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით ფარდას ახდის ყველა იმ პირს, ვინც დამნაშავეა. სიტუაცია არაორდინარულია და უშიშროების სამინისტროს რეაქციაც არაორდინარული იქნება“,** — განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა. მისივე მტკიცებით, სამინისტროს არაორდინარულ გადაწყვეტილებას, დაასახელოს დამნაშავეთა კონკრეტული გვარები, საერთო არაფერი აქვს სახელმწიფო კანცელარიის საიდუმლო დოკუმენტსა და მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟთან. **„უშიშროების სამინისტრო არ შეასრულებს პოლიტიკური პოლიციისა და ჟანდარმერიის როლს. არ დახლართავს ბინძურ ინტრიგებს და არ დაარღვევს ადამიანის უფლებებს, არ ჩაერევა სხვის პირად ცხოვრებაში“,** - ასეთია უშიშროების სამინისტროს პოზიცია.

მინისტრის მოადგილემ ასევე დაადასტურა, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია რუსლან გელაევისა და მისი რაზმის საქართველოდან ჩეჩნეთში გადასვლის შესახებ. **“საქართველო მიზანმიმართულად იცილებს თავიდან დაუპატიჟებელ შეიარაღებულ სტუმრებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოვიდნენ. ჩვენ ხელს არ შევუშლით მათ სურვილს - დაბრუნდნენ სამშობლოში”,** - განაცხადა მან. მისი თქმით, თუ გელაევის რაზმის წევრებმა საქართველო-რუსეთის საზღვარი გადაკვეთეს, ეს უკვე რუსეთის პრობლემაა. **“ჩვენ მზად ვართ, რუსეთთან თანამშრომლობისათვის. საქართველომ და რუსეთმა საზღვრები უნდა გაამაგრონ, რათა არ მოხდეს ბოევიკებისთვის დერეფნის გახსნა და მათი საქართველოში გამოდევნა,”** – განაცხადა ლაშა ნაცვლიშვილმა.

p.s. უშიშროების მინისტრის მოადგილის ლაშა ნაცვლიშვილისა და პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის სატელევიზიო დუელი ტელევიზიის პირველი არხის ეთერში სეკუნდანტ ვახტანგ რჩეულიშვილისა და კოტე კემულარიას თანხლებით შედგა. თუმცა, ნაცვლიშვილმა დაპირება ბოლომდე არ შეასრულა და, მოღალატე შადიმანების კონკრეტული გვარების დასახელების ნაცვლად, იგორ გიორგაძისა და ერთ-ერთი პარლამენტარის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის მოსმენით დაკმაყოფილდა. მინისტრის მოადგილის განმარტებით, ჩანაწერში საუბარია რუსული ძალების დახმარებით საქართველოს პრეზიდენტის ძალისმიერი გზებით გადაყენებასა და ქვეყანაში დემოკრატიის დასრულებაზე.

# პანკისის ხეობაში პოლიციამ რვა მოპარული ავტომობილი იპოვა

სოფიკო ჩხაიძე

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი გუშინ ნატო-ს წევრი ქვეყნების სამხედრო უწყებათა ხელმძღვანელებს უმტკიცებდა, - "პანკისის ხეობაში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია საჩვენებელი ხასიათისაა, ბანდიტები ადრევე იყვნენ გაფრთხილებული ოპერაციის დაწყების შესახებ და მათ ტერიტორია დატოვესო", - პანკისში ბოლო ხანებში დღე არ გადის, სამართალდამცველებმა მორიგი ძებნილი არ დააკავონ. გუშინწინ, ღამით, მორიგი სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს ორი პირი. ერთ-ერთი მათგანი ქისტი ეროვნების, 30 წლის რუსლან ქუშანაშვილია, რომელიც ყალბი საბუთების დამზადებაშია ეჭვმიტანილი. მისი სახლიდან ამოღებულია ყალბი საბუთების დასამზადებელი მოწყობილობა, დიდი რაოდენობით ყალბი ბეჭდები, მათ შორის, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსი. იქვე იპოვეს დიდი რაოდენობით ყალბი პასპორტები, დიპლომები, საშუალო განათლების ატესტატები, ჩეჩნეთის უშიშროების სამსახურისა და რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი ცნობები და ბლანკები, აგრეთვე სურათები და, სავარაუდოდ, იმ პირთა სიები, რომლებზეც შესაბამისი დოკუმენტები ჰქონდა გაცემული ან გაცემას აპირებდა. ამოღებული დოკუმენტებიდან ნაწილი - შევსებული, ხოლო ნაწილი შეუვსებელი იყო ამჟამად სამართალდამცველები ადგენენ, ჰქონდა თუ არა დაკავებულს კავშირი ტერორისტებთან. კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშურის თქმით, ქუშანაშვილმა პასპორტი რამდენიმე წლის წინ ჩეჩნეთში აიღო.

რაც შეეხება მეორე დაკავებულს, ანტიკრიმინალური ოპერაციის ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა მინისტრის ჩათვლით, მის ვინაობას მკაცრად ასაიდუმლოებენ, თუმცა, არ მალავენ, რომ იგი პოლიციის მიერ აქამდეც იძებნებოდა.

კახეთის პოლიციის უფროსის ზურაბ ტუშური დამნაშავის გასაიდუმლოების მიზეზს შემდეგი გარემოებით ხსნის: **"რამდენი დამნაშავეც დავაკავეთ და მისი ვინაობა დავასახელეთ, მაშინვე ყველა საქმემ სასამართლო პერსპექტივა დაკარგა, რადგან სხვადასხვა გზებით ხდება მოწმეებისა და დანაშაულში თანამონაწილეების გაფრთხილება”.**

ასე დასრულდა გუშინდელი ანტიკრიმინალური ოპერაცია, სადაც თავისი სიტყვა საგზაო პოლიციამაც თქვა. დუისში ჩატარებული ავტოსატრანსპორტო შემოწმებისას სამი საეჭვო მანქანა გამოვლინდა, რომლებსაც საბუთები არ აღმოაჩნდა. დღეისათვის კახეთის პოლიციის სამმართველოს ეზოში უკვე რვა ასეთი ავტომობილი დგას და ნამდვილ პატრონებს ელოდება, რომელთა ვინაობასაც პოლიცია ამჟამად ადგენს.

# საზღვარზე დაკავებულ ოთხეულს სამთვიან პატიმრობას მიუსჯიან

ინგა ალავიძე

საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე, ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული ოთხკაციანი შეიარაღებული ჯგუფის საქმის მოკვლევა საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა დაამთავრა და საქმე გამოსაძიებლად უშიშროების სამინისტროს გადაეცა.

დაკავებულებს ბრალი ედებათ საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების უკანონო ტარებაში. დაკავებულები “კალაშნიკოვის” სისტემის ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი. წინასწარი მონაცემებით, დაკავებულთაგან ერთი რუსეთის მოქალაქეა, ერთი - სირიის, ორი, სავარაუდოდ, არაბი ეროვნების საფრანგეთის მოქალაქე. თუმცა, საზღვრის დამრღვევი ოთხეულის ვინაობის სრული იდენტიფიკაცია ჯერ არ ჩატარებულა. ალბათ, ამიტომაც დაკავებულთა ვინაობას უშიშროების სამინისტრო, ჯერჯერობით, არ აკონკრეტებს. **“რადგანაც დაკავებულთა ვინაობის დამადასტურებელი ზუსტი დოკუმენტები, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება, რაიმეს დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, "** – ასე ახსნა დაკავებულთა ვინაობის გასაიდუმლოების ფაქტი უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა.

დღეს უშიშროების სამინისტრო სასამართლოს მიმართავს და დაკავებული ოთხი უცხოელისთვის სამთვიან პატიმრობას მოითხოვს.

# გაქცევა არ შედგა

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ, დილით სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მორიგი მცდელობა აღიკვეთა. ამჯერად ციხის კედლებიდან თავის დაღწევა 30-მა არასრულწლოვანმა პატიმარმა სცადა. გაქცევის მცდელობა გამთენიისას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 საპყრობილეში დაფიქსირდა. პატიმრები გაქცევას იმ საკნიდან ცდილობდნენ, რომლის იატაკის დაზიანებაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის კარგადაა ცნობილი და იქიდან ერთხელ უკვე მომხდარ გაქცევას, თავის დროზე, საპყრობილის დირექტორის, ჯუმბერ ბაწაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლება მოჰყვა.

გვიან ღამით საპყრობილის მორიგე კონტროლიორმა დიმიტრი შუბითიძემ მორიგეს შეატყობინა, რომ 105-ე საკანში, სადაც ეგრეთ წოდებული "მაყურებლები" იყვნენ მოთავსებულნი, შესაკეთებელი იყო კანალიზაციის მილი. მთავარი კონტროლიორის თანხლებით, საკანში სანტექნიკოსი შეიყვანეს. როგორც ჩანს, სწორედ ამ მომენტში მოახერხა საკნიდან შეუმჩნევლად გასვლა პატიმარმა მუღლოიანმა და თავი შეაფარა საერთო საპირფარეშოს. ხელოსნის გასვლის შემდეგ კი მან დანით გახსნა საკნის კლიტე და იქ მყოფი სამი პატიმარი დერეფანში გამოიყვანა. დერეფანში გამოსულები მორიგე კონტროლიორმა შუბითიძემ შენიშნა. პატიმრებმა იგი 112-ე საკანში შეიტყუეს და იქ მყოფი პატიმრების ნაცვლად ჩაკეტეს. ჩოჩქოლზე დერეფანში საპყრობილის ორი თანამშრომელი - გია ჭიჭიკაშვილი და ავთანდილ დალაქიშვილი გამოვიდნენ. პატიმრებმა მათი გაუვნებელყოფაც შეძლეს - ორივე მათგანი სასტიკად ნაცემია. მაგრამ ერთ-ერთმა – დალაქიშვილმა გაქცევა მოახერხა და პატიმრების მხრიდან ძალადობის თაობაზე მორიგე ჯგუფს შეატყობინა.



გაქცევის მორიგი მცდელობა აღკვეთეს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მორიგე ჯგუფმა პატიმრებს სწორედ იმ დროს მიუსწრო, როდესაც მათ ნგრევითი სამუშაოები თითქმის დასრულებული ჰქონდათ. გაქცევა ვერც ერთმა პატიმარმა ვერ მოახერხა. საპყრობილეში სიტუაცია ახლა უკვე კონტროლს ექვემდებარება. გაქცევის ფაქტზე უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება გაქცევის მსურველებს სამი სახის დანაშაულში ამხელს. ერთი აქედან უშუალოდ გაქცევის მცდელობაა, მეორე – შუბითიძისთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა და ბოლოს - სასჯელაღსრულების დაწესებულების დეზორგანიზაცია. ამასთან, დადგება მორიგე კონტროლიორის - შუბითიძის პასუხისმგებლობის საკითხიც. მას ამ ეტაპზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ბრალდება.

ცხადია, ძნელია არშემჩნევა იმისა, რომ საპატიმრო ადგილებიდან გაქცევები და გაქცევის მცდელობები გახშირდა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ამის მიზეზად არაერთ ფაქტორს ასახელებს, მათ შორისაა, რა თქმა უნდა, მწირი დაფინანსება და კადრების სიმცირე. ჩვენთან საუბარში პაატა მხეიძემ განაცხადა:

**"რა დაცვაზე უნდა ვილაპარაკო, როცა დაცვის გუშაგები ელიავას ბაზრობიდან არიან მოყვანილები. ვის არ შეხვდებით მათ შორის – ყოფილ დალაქებს, ვაჭრებს. ადრე თუ შინაგანი ჯარი იცავდა საპატიმრო ადგილებს, ახლა პატიმართა დაცვა სრულიად მოუმზადებელი ხალხის ხელშია. 75-ლარიანი ხელფასით, ცხადია, ოჯახს ვერ არჩენენ. სამსახურში მისვლის ერთადერთი მიზანიც ის არის, რომ, სულ ცოტა, 10 ლიტრი სპირტი მაინც გაყიდონ, ნარკოტიკებზე და სხვა აკრძალულ რამეებზე აღარ ვლაპარაკობ. ამ დროს კი მათ შორისაც ხომ არის წესიერი ხალხი. აგერ, ამას წინათ ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა თავისი საზრიანობითა და მონდომებით საგარეჯოს კოლონიის დაცლას გადაგვარჩინა. მერე რა, მაჯის საათის ჩუქებისა და ერთი ხელფასის ოდენობის თანხის მიცემის მეტი ვერაფერი რომ ვერ შევძელით. გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან ძალიან ძნელი მოსაძებნია. თუ რამე შეიცვლება, ცვლილება კომპლექსურად უნდა მოხდეს. მე მაინც მგონია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას 28-ჰექტარიანი კოლონიების არსებობაზე და, მთელი ცივილიზებული მსოფლიოს მსგავსად, გადავიდეს ღია სასაკნო ტიპის საპყრობილეებზე. ამასთან, რაც მთავარია, სასჯელაღსრულების სისტემის დაფინანსება სამომხმარებლო კალათის შევსების დონეზე მაინც უნდა მოხდეს".**

და ბოლოს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ზამთრის მოახლოვებასთან და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ელექტროენერგიის გამორთვასთან ერთად, გაქცევის მცდელობების მატებასაც კი ელოდება. მისი თქმით, ელექტროენერგია ამჟამად უკვე არ მიეწოდება ზუგდიდის მე-4 საპყრობილეს, გეგუთის კოლონიას. **"შარშან, ზამთარში დაწესებულებების მთელ პერიმეტრს ცეცხლმოკიდებული საბურავებით ვანათებდით. ელექტროენერგიის გამორთვა უშუალოდ უკავშირდება სიგნალიზაციის მუშაობას. ასეთ პირობებში, წარმოიდგინეთ, რა ძალისხმევასთან არის დაკავშირებული გაქცევის მცდელობების აღკვეთა,"** - ამბობს პაატა მხეიძე.

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს უზენაეს სასამართლოში მშობლების მკვლელობაში ბრალდებული არჩილ ძეგველიშვილის საკასაციო სარჩელის განხილვა გადაიდო. ეს ბრალდებულის ადვოკატმა სევდია უგრეხელიძემ მოითხოვა; როგორც მან აღნიშნა, ჯერ საქმეს კარგად არ გასცნობია.

უზენაეს სასამართლოს უნდა განეხილა არჩილ ძეგველიშვილის საკასაციო სარჩელი, რომელსაც დამამძიმებელ გარემოებებში მშობლების განზრახ მკვლელობისათვის მიმდინარე წლის 8 ივლისს სასამართლომ ოცწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. არჩილ ძეგველიშვილი მოითხოვს ბრალდების გადაკვალიფიცირებას და სასჯელის შემსუბუქებას, რადგანაც თვლის, რომ მკვლელობა ჩაიდინა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

მოსამართლე მერაბ ტურავა დაეთანხმა ადვოკატის მოთხოვნას და სასამართლო პროცესი 10 ოქტომბრამდე გადადო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** კიდევ ერთი ოპერაციის, “ძებნა 2002”-ს ჩატარებისას ვაკე-საბურთალოს პოლიციამ დააკავა განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბორის ჯაჭვლიანი. შსს-ს ინფორმაციით, ჯაჭვლიანი ეჭვმიტანილია 1997 წლის 27 სექტემბერს მომხდარ დანაშაულში, როცა სოფელ ომარიშაში მოკლეს ძმები - ჯემალ და ჯეირან გუჯეჯიანები.

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების მიერ ხუმუშქურში ქართველების მძევლად აყვანის ფაქტს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ კონფლიქტის ზონაში მოქმედი გაერო-ს დამკვირვებლები და რუსი სამშვიდობოები.

ქართული მხარის მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გალის რაიონის სოფელ ხუმუშქურში შესულმა 15-კაციანმა აფხაზურმა შეიარაღებულმა ჯგუფმა (აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის მოადგილის დიმა კაციას ხელმძღვანელობით) მძევლად აიყვანა ოთხი ქართველი, რომელთა ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია.

ქართულმა მხარემ დღეს მომხდარის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა ჭუბურხინჯში გამართული მორიგი ოთხმხრივი შეხვედრის მონაწილეებს. ეს საკითხი შეხვედრაზე დღის მეორე ნახევარში იქნება განხილული.

სავარაუდოდ, ხვალ გალის რაიონში მოქმედი გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლები ინფორმაციის დასაზუსტებლად ჩავლენ შემთხვევის ადგილზე, ხუმუშქურში. **ინტერპრესი.**

■ ■ ■

**სენაკი.** სენაკის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობასა და მანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილი კახა დიხამინჯია, რომელსაც კანონდამცველები 8 თვეა, ეძებენ. 5 თებერვალს ირაკლი ნაჭყებია და კახა დიხამინჯია თავს დაესხნენ სენაკელ მალხაზ კინწურაშვილს და ხელკეტის მუქარით წაართვეს მანქანა ვაზ-2107.

ირაკლი ნაჭყებიას დაკავება პოლიციამ რამდენიმე თვის წინ მოახერხა.

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდში უმძიმესი დანაშაულების ჩადენის ბრალდებით ადგილობრივმა სამართალდამცველებმა დააკავეს დამნაშავეთა სამკაციანი ჯგუფი. როგორც ``კავკასპრესს`` სამეგრელო-ზემო სვანეთის შს მთავარი სამმართველოდან აცნობეს, ჯგუფის შემადგენლობაში არის ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის მკვიდრი, 37 წლის გიორგი ჭურღულია, რომლის საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს AKC-ის სისტემის ავტომატური იარაღი, 16 გრამი ოპიუმი და 8,7 გრამი მარიხუანა; მეორე დაკავებულს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულიშკარში მცხოვრებ 27 წლის ელვარდ ლაგვილავას, AKC-ის სისტემის იარაღი და 17,1 გრამი მარიხუანა აღმოაჩნდა. მესამე დაკავებულისგან, ზუგდიდში მცხოვრები ნუგზარ ჩაგანავასგან, 1 გრამი ჰეროინი ამოიღეს. მიმდინარეობს მოკვლევა. **კავკას-პრესი.**

## უცხოეთი

# სამუდამო პატიმრობა აჯანყების მზადებისთვის

გუშინ პიატიგორსკის სასამართლომ სამ ბრალდებულს ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალკარეთში შეიარაღებული აჯანყების მზადებისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის მკვიდრთ - ხიზირ სალპაგაროვს, ედუარდ ხარატოკოვს და რამაზან გოჩიაევს - ბრალდებათ დანაშაულებრივი ორგანიზაციის “ჯამაათის” შექმნა, რომლის წევრებმაც 2000-2001 წლებში, სტავროპოლში განახორციელეს რამდენიმე ტერორისტული აქტი. მაშინ ავტომანქანებისა და სხვადასხვა ადგილებში ასაფეთქებელი ნივთიერებების აფეთქებისას დაიღუპა 30 ადამიანი, 150 კი მძიმედ დაიჭრა. “ჯამაათის” წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ჩეჩნეთის ომშიც.

მსჯავრდებულების საბრალდებო დასკვნაში ხაზგასმით აღინიშნება, რომ ისინი აღვივებდნენ რასობრივ, ეროვნულ და რელიგიურ შუღლს და მოსახლეობას კონსტიტუციური წყობის იარაღით დამხობისკენ მოუწოდებდნენ.

# „მერიოტში” ფარული კამერა აღმოაჩინეს

ოჰაიოს შტატის მცხოვრებმა ქალაქ ნოკსვილში, სასტუმრო “Marriott”-ში, თავისი ნომრის სააბაზანო ოთახში ფარული ვიდეოკამერა აღმოაჩინა და კომპანია “Marriott International Inc”-ს სასამართლოში უჩივლა. მთელ მსოფლიოში სასტუმროების ქსელის მფლობელ კომპანიას მომჩივანი სულ რაღაც 1,5 მლნ დოლარს სთხოვს. ნოკსვილის ოლქის შერიფი საქმის გამოძიებას შეუდგა. თვით კომპანიის წარმომადგენლები კი კომენტარისგან თავს იკავებენ.

მომჩივანის ადვოკატის თქმით, მისმა კლიენტმა 11 ივლისს სასტუმროს ნომერში შხაპის მიღებისას სანათურზე შავი წერტილი შენიშნა. თავდაპირველად წერტილი მწერი ეგონა და მისი მოკვლა სცადა. მცდელობა სანათურის გატეხვით დასრულდა. სასტუმროს სტუმარმა სართულის მორიგეს მიმართა და შესაბამისი ანაზღაურების საფასურად სანათურის შეკეთება სთხოვა. სანამ ქალი ელექტრიკოსებს დაუკავშირდებოდა, მან ყურადღება მიაქცია გატეხილი სანათურიდან გამოვარდნილ მავთულებს. როგორც საბოლოოდ გაირკვა, ეს მავთულები მინიატურულ ვიდეოკამერაზე იყო მიერთებული. მოგვიანებით, ვიდეოკამერაზე ჩაწერილი ფირები შერიფს გადაეცა. მომჩივანის დაცვა ირწმუნება, რომ სასტუმროს სააბაზანო ოთახში მომხდარმა ინციდენტმა ცუდი გავლენა იქონია მისი კლიენტის საქმიან რეპუტაციასა და კეთილდღეობაზე. 1,5 მილიონის გარდა, სასტუმროების საერთაშორისო ქსელის ხელმძღვანელობისგან ყველა იმ ჩანაწერის ასლს ითხოვენ, რომლებიც ფარული ვიდეოკამერით გაკეთდა.

# პატიმრებმა 250 მძევალი აიყვანეს

250 მნახველი აიყვანეს მძევლად კოლუმბიის დედაქალაქის ერთ-ერთი უმსხვილესი საპატიმროს, “ლა პიკოტას,” პატიმრებმა. ოფიციალურ პირთა ცნობით, პატიმრებმა ამგვარად გამოხატეს პროტესტი შიდა რეჟიმის გამკაცრების გამო. მძევლები მეტწილად არიან ნათესავების მოსანახულებლად მისული ქალები და ბავშვები. მნახველთა ასეთი დიდი რაოდენობა კი იმით აიხსნება, რომ გუშინ, კოლუმბიაში, რელიგიური დღესასწაული აღინიშნა - პატიმართა მფარველი ქალწულის, მერსედესის, დღე. კოლუმბიის სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელის რიკარდო სიფუენტესის თქმით, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

# მოიპარეს სამი მილიონი დოლარის ბრილიანტები

ჩინეთში, სინგანში მდებარე საერთაშორისო კონფერენციებისა და გამოფენების ცენტრიდან, სადაც საიუველირო ნაწარმის დიდი ბაზრობა მიმდინარეობს, ბრილიანტების სამი პარტია მოიპარეს. ნაძარცვი მთლიანობაში სამ მილიონ დოლარადაა შეფასებული. ყველაზე მსხვილი პარტია ოთხშაბათს, ღამით, 34 წლის ბელგიელი დილერის სეიფიდან გაქრა. ბრილიანტების საერთო ღირებულება ორ მილიონს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ სეიფს გატეხვის არანაირი კვალი არ ეტყობა. ქურდობა მეორე დღესაც მოხდა; დილერი იქვე იდგა და ყურადღება მხოლოდ ერთი წუთით მოადუნა, როცა მყიდველ ქალბატონს ექსპონატს უჩვენებდა.

ბრილიანტების მესამე, 930 ათას დოლარად შეფასებული პარტია, როგორც სამართალდამცველები მიიჩნევენ, საგამოფენო ცენტრში მიტანისთანავე მოიპარეს.

თურმე, ეს სულაც არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა სინგანის საიუველირო ნაწარმის ბაზრობაზე ბრილიანტებს იპარავენ. შარშან დააპატიმრეს კიდეც 42 წლის ნარვაიზ ვალდერმირ ტრეჟოსი, რომელიც რვა მილიონის ღირებულების ბრილიანტებით სავსე ყუთის მოპარვას ცდილობდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღეში ქურდებმა მაინც მოიპარეს 640 ათასი დოლარის ღირებულების 60 ბრილიანტი.

# კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრის პრობლემა და მისი განვითარების დინამიკა

ლიანა ჭერვალიძე

*კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრის პრობლემა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როდესაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის განხორციელებამ რეალური კონტურები შეიძინა. 10 წელი გავიდა, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და კასპიისპირეთის რეგიონში უცხოურმა კაპიტალმა იწყო დენა, საკითხი კი კვლავ ღიად რჩება. რუსეთი პრობლემის გადაწყვეტას რიგ მიზეზთა გამო აღარ ბლოკავს. სამაგიეროდ, აქტიურ მოწინააღმდეგედ გამოდის რეგიონის მეორე დიდი სახელმწიფო - ირანი. რას ეფუძნება ინტერესთა კონფლიქტი და რატომ გამწვავდა ეს საკითხი განსაკუთრებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანთან მიმართებაში?*

თავის დროზე, საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის დადებული ხელშეკრულებები კასპიის ზღვის საკითხის მოწესრიგებასაც ითვალისწინებდა. ამგვარ ხელშეკრულებათა შორის ექსპერტები გამოჰყოფენ 1921 წლის ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ და 1940 წლის კონვენციას კასპიის ზღვაზე ვაჭრობისა და ნავიგაციის შესახებ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხარეებმა კასპიის ზღვა გაიყვეს კიდეც. გამყოფ ზღვრად აღიარეს აზერბაიჯანის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ასტარასა და თურქმენეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჰოსეინგოლის შემაერთებელი ხაზი. ასტარა-ჰოსეინგოლის ხაზის მიხედვით, ირანს ერგო კასპიის ზღვის 11 პროცენტი, დანარჩენი კი საბჭოთა კავშირს დარჩა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის სამართალმემკვიდრეებსა და ირანს შორის ახალი ხელშეკრულება კასპიის ზღვასთან დაკავშირებით აღარ დადებულა. ვითარება გამწვავდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ნავთობკომპანიებმა დაიწყეს გარიგებების დადება კასპიის ოფშორულ ზონაში რესურსების მოპოვების უფლებაზე. შეთანხმების მიღწევას აფერხებს ის გარემოება, რომ მოსაზღვრე ქვეყნები დიდხანს ვერ თანხმდებოდნენ, კასპია ზღვა არის თუ ტბა. ბოლოსდაბოლოს, რუსეთის ინიციატივით, თითქოს შეთანხმდნენ ზღვისა და ტბის შერეულ სტატუსზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსაზღვრე ქვეყნები ზღვის შელფს გაიყოფენ იმ იურიდიული მექანიზმების მიხედვით რომელიც ტბას შეესაბამება, ცენტრიდან მათი სანაპირო ზოლის გასწვრივ, ხოლო საზღვაო სივრცეს (გარდა სანაპირო ზოლისა) დატოვებენ ერთობლივი იურისდიქციის ქვეშ (როგორც ზღვის შემთხვევაში).

საკითხის ამგვარ გადაწყვეტასაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები ირანისა და თურქმენეთის სახით, რომლებიც ზღვის შელფის თავიანთი სექტორებით კმაყოფილნი არ არიან და წილის გაზრდას ითხოვენ. საინტერესოა თვითონ პრობლემის განვითარების დინამიკა და ოპონენტების მოტივაცია - საკითხის ამა თუ იმ კუთხით დასმასა და გადაჭრასთან დაკავშირებით.

## კასპიისპირეთის სტატუსის რუსული ხედვა 1991-1997 წლებში

ამ პერიოდში რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერდა კასპიის პრობლემის გადაწყვეტას ზღვის სტატუსის ფარგლებში. რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერას ზღვის სტატუსის მიმართ განაპირობებდა ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: 1. ქვეყნის მძიმე შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა; 2. კასპიის ზღვის რუსეთის ზოლში რესურსების დადასტურებული რეზერვების არარსებობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. დაიწყო დეზინტეგრაციული პროცესები თავად ქვეყნის შიგნით. რუსეთის ფედერაციის სუბიექტები ერთი მეორის მიყოლებით სუვერენიტეტს აცხადებდნენ. მათ შორის პირველები იყვნენ ჩეჩნეთის, თათრეთისა და ბაშკირეთის რესპუბლიკები. მათგან სამივე ეროვნული ერთეულია და სამივეში ნავთობის მოპოვება-გადამუშავება ეკონომიკის ტრადიციული დარგებია, სამივე თავისი დამოუკიდებლობისა და სტაბილური ეკონომიკური განვითარების საფუძვლად ამ ტრადიციულ დარგს მიიჩნევდა. ჩეჩნეთი კი, დამატებით, კასპიისპირეთის დასავლეთის სატრანზიტო მარშრუტის გზაზე მდებარეობს.

დეზინტეგრაციული პროცესები მიდიოდა ეკონომიკური დაქვეითების, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გადასვლის, საზოგადოებრივი ქონების ველური გადანაწილების ფონზე. 1991-1996 წლებში ვითარება იმდენად კრიტიკული იყო, რომ ხშირად ისმოდა კითხვა, თუ რა საზღვრებში დარჩებოდა რუსეთი დეზინტეგრაციული პროცესების დასრულების შემდეგ. რუსული საზოგადოებრივი აზრის სრული დემორალიზება გამოიწვია პირველი ჩეჩნური კამპანიის კრახით დასრულებამ 1996 წელს. საზღვარგარეთ, მათ შორის, საქართველოშიც, ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა, რომ რუსეთი ოდესმე კიდევ გაიმართებოდა წელში.




ირან -საბჭოთა კავშირს შორის კასპიის ზღვის გაყოფის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული გამყოფი ხაზი (ზღვის 11 პროცენტი ირანს ეკუთვნოდა) , ასტარა (აზერბაიჯანის მხარეს) , ჰოსეინგოლი (თურქმენეთის მხარეს).

კასპიის ზღვის ის მონაკვეთი, რომელსაც მოითხოვს ირანი ( ზღვის შელფის 20 პროცენტი).

რუსეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი კოზირევის მცდელობა, რუსულ-ამერიკული ურთიერთობები თანასწორუფლებიანობის კალაპოტში წარემართა, არ ხერხდებოდა. განვითარებული სამყარო რუსეთს აღიქვამდა ბირთვული იარაღით აღჭურვილ ირაციონალურ, არაპროგნოზირებად სახელმწიფოდ, რომლის სტაბილურობასაც, მიუხედავად ყველაფრისა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთისათვის. რუსეთის უკონტროლო დეზინტეგრაცია დამღუპველი იქნებოდა განვითარებული სამყაროსათვის, ამიტომ საჭირო იყო მისი ფეხზე დაყენება. ასეთი გახლდათ პრეზიდენტ კლინტონისა და ევროპის დანარჩენი ლიდერების დამოკიდებულება ელცინის ადმინისტრაციისა და, მთლიანობაში, რუსეთის მიმართ.

რუსეთის მმართველი წრეებისა და ანალიტიკური ჯგუფების ერთ ნაწილს, რომელთა ლიდერად ანდრეი კოზირევი მიიჩნეოდა, ქვეყნის სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესებისათვის დამღუპველად მიაჩნდა კასპიისპირეთში საერთაშორისო კაპიტალის შეშვება. მაშინდელ ეკონომიკურ ვითარებაში კი რუსეთს არ გააჩნდა საიმისო სახსრები, რომ კასპიისპირეთის პროექტებში დასავლეთის თანასწორად მიეღო მონაწილეობა.

მაშინდელი მონაცემებით, კასპიისპირეთის სანაპიროს რუსულ და ირანის ზოლში ნავთობისა და გაზის დადასტურებული რეზერვები არ იყო, ამასთან რუსეთიც და ირანიც ნავთობისა და გაზის ტრადიციული ექსპორტიორები იყვნენ. კასპიისპირეთში დასავლური კაპიტალის დაბანდება კონკურენტული რესურსების აღზევებას მოასწავებდა, მაშინ, როდესაც ბაზარი ისედაც გაჯერებული იყო იაფი რესურსით. ასეთ ვითარებაში ირანსაც და რუსეთსაც ხელს აძლევდათ, კასპიისპირეთი ჩაკეტილი, რაც შეიძლება, დიდხანს დარჩენილიყო. ამ კარჩაკეტილობას იდეალურად უზრუნველყოფდა რეგიონის სიშორე საერთაშორისო საზღვაო ტრასებიდან.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, იმ პერიოდში რუსეთიცა და ირანიც კასპიისთვის ზღვის სტატუსის მინიჭებას ემხრობოდნენ. ზღვები, საზოგადოდ, რეგულირდება საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმებით და მოსაზღვრე ქვეყნები მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აწარმოებენ თევზის რეწვას და ა.შ. მაშინ, როდესაც ტბები იყოფა მოსაზღვრე ქვეყნებს შორის სექტორებად და თითოეული მათგანი თავად განკარგავს მას, ისევე, როგორც თავის დანარჩენ ტერიტორიას.

ზღვად აღიარება ნიშნავდა იმას, რომ კასპიის რეზერვებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებაზე ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებდა ვერც ერთი მოსაზღვრე მხარე დანარჩენების თანხმობის გარეშე. ეს კი, თავის მხრივ, თუ მთლად არ გამორიცხავდა, დააბრკოლებდა საერთაშორისო კაპიტალის მონაწილეობას რეგიონის რესურსების ათვისებაში.

ზღვის სტატუსის რუს მომხრეებს კიდევ ერთი ძალზე სერიოზული არგუმენტი ჰქონდათ, რომელიც საკმაოდ საფუძვლიანი ჩანდა რუსეთში მიმდინარე დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე. **ამ არგუმენტს ახმოვანებდა ცნობილი პოლიტოლოგი ანდრანიკ მიგრანიანი და მისი ჯგუფი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კასპიის ტბად აღიარება და საერთაშორისო კაპიტალის დაშვება მოსაზღვრე ქვეყნების ენერგეტიკულ სექტორებში აუცილებლად გამოიწვევდა მოპოვებული რესურსების ტრანსპორტირების გზების ინტერნაციონალიზაციას (საერთაშორისო არხებად გადაქცევას).** იგულისხმებოდა ვოლგა-დონის არხი შავი ზღვისაკენ და ვოლგა-თეთრი ზღვის დამაკავშირებელი სამდინარო არხები.

ამ გზებით ჯერ კიდევ ნობელების დროს გაჰქონდათ ბაქოს ნავთობის ნაწილი ჩრდილოეთის მიმართულებით. საბჭოთა პერიოდშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ სამდინარო არტერიას, რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელობაზე. მაგალითისათვის, 2001 წელს ამ სამდინარო არტერიით იქნა გატანილი 10 მილიონი ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები შავი და ბალტიის ზღვების პორტებისაკენ. ვოლგა-დონის არხით შეაქვთ კასპიის ზღვაში საძიებო სამუშაობისათვის საჭირო საბურღი მოწყობილობები და პლატფორმები, რომლებიც არ იშლება და კონსტრუქციები ზღვით გადააქვთ ხოლმე.

ანდრანიკ მიგრანიანისა და მისი თანამოაზრეების აზრით, **ამ სამდინარო არტერიის ინტერნაციონალიზაცია რუსეთის ევროპულ ნაწილს (ისტორიულ რუსეთს) მოწყვეტდა დანარჩენი რუსეთისაგან და სამომავლოდ ბუნებრივად გასცემდა პასუხს კითხვაზე, რა საზღვრებში უნდა დარჩენილიყო რუსეთი**.

რუსულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში საკითხის ამგვარი ხედვა უალტერნატივო არ ყოფილა. არსებობდა პოლიტიკოსთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა მეორე ჯგუფი, რომელიც მიიჩნევდა, რომ გარდამავალ ეტაპზე მყოფი გაღატაკებული რუსეთისათვის საერთაშორისო საფინანსო ბაზრიდან კრედიტებისა და ინვესტიციების მიღება და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კასპიისპირეთის ბლოკირება. ისინი აცნობიერებდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა შეუქცევადი რეალობა გახლდათ. დროთა ვითარებაში კასპიისპირეთის რეგიონის ქვეყნები და ენერგიის ალტერნატიული წყაროებით დაინტერესებული მათი დასავლელი პარტნიორები რუსეთის გარეშეც გამოძებნიდნენ გამოსავალს. რუსეთი კი გაიფუჭებდა ურთიერთობებს დასავლეთთან, რომელზეც ფინანსურადაც იყო დამოკიდებული და თანამედროვე ტექნოლოგიების მიღების თვალსაზრისითაც.

ამასთან ერთად, თუ რუსეთს სურდა, შეენარჩუნებინა რეგიონში მიმდინარე პროცესებზე გავლენა და სამომავლოდ სრულფასოვანი დაბრუნება კასპიისპირეთის ასპარეზზე, მაშინ მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც მოლაპარაკებებში, ისე საერთაშორისო პროექტებში (თავდაპირველად, თუნდაც, უმნიშვნელო წილებით მაინც). მით უმეტეს, დასავლეთი არათუ არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა რუსეთის ჩაბმას გარიგებებში (მისი წინააღმდეგობის მოხსნის ან პოზიციის შერბილების მიზნით).

საკითხს ამ პოზიციიდან უდგებოდა პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, სერიოზული ინტერესები ჰქონდა "გაზპრომში". მან, გორ-ჩერნომირდინის ეკონომიკურ კომისიასთან ერთად, უდიდესი როლი ითამაშა კასპიის სტატუსის მიმართ რუსეთის პოზიციის შერბილებაში. ვიქტორ ჩერნომირდინისა და მისი დაჯგუფების ფარული ხელშეწყობით მოხდა "თენგიზშევროილის" პროექტის ხელმოწერა 1993 წელს, კასპიისპირეთის კონსორციუმის ნავთობსადენის პროექტის ლობირება და 1994 წელს აზერბაიჯანში ე.წ. "საუკუნის კონტრაქტის" ხელმოწერა, სადაც ახლადჩამოყალიბებული რუსული ნავთობკომპანია "ლუკოილი" 10-პროცენტიანი წილით შევიდა.

"ლუკოილის" მონაწილეობა აზერბაიჯანის ოფშორული ზოლის პროექტში მიუთითებდა, რომ, მიუხედავად კოზირევის დაჯგუფებისა და სამხედროების წინააღმდეგობისა, 1994 წელს ძალზე სერიოზული ძვრა მოხდა რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის დამოკიდებულებაში კასპიის ზღვის სტატუსის განსაზღვრისა და ენერგეტიკულ პროექტებში საერთაშორისო კაპიტალის მონაწილეობის მიმართ.

## კასპიის პრობლემის რუსული ხედვა 1997 წლიდან დღემდე

რუსეთის ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობდა. 1997 წელს უკვე პრივატიზებული იყო რუსეთის ნავთობმომპოვებელი სექტორი, ნაწილობრივ დამთავრებული გახლდათ საზოგადოებრივი ქონების განკერძოების რთული და უმძიმესი პროცესი, დასასრულისკენ მიდიოდა ველური კაპიტალიზმის ეპოქა, ძირითადად ჩამოყალიბებული იყო და საერთაშორისო ასპარეზზე იწყებდნენ გასვლას გიგანტური რუსული ნავთობკომპანიები "ლუკოილი", "იუკოსი", TNK, Sibneft-ი, Slavneft-ი, Tatneft-ი. ეს კომპანიები მონაწილეობდნენ კასპიისპირეთის სხვადასხვა გარიგებებშიც.

და მაინც, გადამწყვეტ მომენტად რუსეთის ხელისუფლების შემობრუნებისა კასპიის ზღვის სტატუსის საკითხის გადაჭრის მიმართ, შეიძლება ჩაითვალოს 1997 წლის ზაფხული, როდესაც ოფიციალურად გაცხადდა კასპიისპირეთის რუსულ ზოლში ნავთობისა და გაზის კონდენსატის არსებობის შესახებ. იმავე ზაფხულს რუსეთმა და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას კასპიის ზღვის შელფის გაყოფის შესახებ. 2002 წელს რუსეთმა და ყაზახეთმა ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას ზღვის შელფის გაყოფისა და საზღვაო სივრცის ერთობლივი ფლობის შესახებ. სასაზღვრო ზოლში მდებარე საბადოები კი 50/50 გაიყვეს.

ასეთსავე შეთანხმებას მოეწერა ხელი რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის. ერთი სიტყვით, მიღწეულია კონსენსუსი კასპიისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილის შელფის გაყოფისა და საზღვაო სივრცის ერთობლივი ფლობის შესახებ რუსეთს, ყაზახეთსა და აზერბაიჯანს შორის.

სხვათა შორის, კასპიის სტატუსის ამგვარმა ინტერპრეტაციამ დარტყმის ქვეშ დააყენა ტრანსკასპიური ნავთობისა (ყაზახეთიდან ბაქომდე) და გაზის (თურქმენეთიდან ბაქომდე) მილსადენების პროექტები. ამ საკითხის გადაწყვეტა ყველა მოსაზღვრე ქვეყნის მხრიდან კონსენსუსს მოითხოვს. ჩრდილოეთის სქემით კასპიის ზღვის შელფის სამხრეთ ნაწილის გაყოფასთან დაკავშირებით, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ირანს და თურქმენეთს. ორივენი რუსეთის ტრადიციული მოკავშირეები არიან.

კასპიის სტატუსთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლების პოზიციის ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა ირანის პოზიციაც. ეს ცვლილება, ფაქტობრივად, დადასტურდა 2000 წლის ზაფხულში, როდესაც კასპიის ნავთობკომპანიამ მიიღო ირანის ხელისუფლების დაკვეთა კასპიის ზღვის ირანის შელფზე საძიებო სამუშაოების წარმოების შესახებ (რითაც ირანის ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ემხრობოდა შელფის განაწილებას). ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც გაკეთდა 2000 წლის 25 ივლისს რუსული ტელეარხ OPT-ს საინფორმაციო გამოშვებაში, ითქვა, რომ ირანის სექტორში რესურსების საკმაო რაოდენობა იყო და მისი ერთი ბარელის მოპოვება ერთი აშშ დოლარი დაჯდებოდა. ამგვარად, კასპიის ნავთობკომპანია, რომელშიც შედიან რუსული ენერგეტიკის გიგანტები - "ლუკოილი", "იუკოსი" და "გაზპრომი", საძიებო სამუშაოებს აწარმოებს კასპიის ზღვის როგორც რუსულ, ისე ირანულ სექტორში.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ირანის ხელისუფლება შელფის ეროვნულ სექტორებად დანაწილების წინააღმდეგი არ არის. იგი აპროტესტებს შელფის იმ 11 პროცენტს, რომელიც საბჭოთა პერიოდში დადებული ხელშეკრულებით მიიღო მემკვიდრეობით და რომლის შემცვლელი იურიდიული დოკუმენტი მოსაზღვრე ქვეყნებს შორის ჯერ არ დადებულა. აზერბაიჯანი, ყაზახეთი და რუსეთი თანახმანი არიან საზღვრების მცირე გადასინჯვაზე, რის შემდეგაც ირანს ექნებოდა ზღვის შელფის 14 პროცენტი, თურქმენეთს - 18-20 პროცენტი, ყაზახეთს - 29 პროცენტი, აზერბაიჯანს - 20 პროცენტი, დანარჩენი 17-19 პროცენტი კი რუსეთს დარჩებოდა. განაწილების ამ სქემით არც ირანისა და არც თურქმენეთის ზოლში არ ხვდება დამატებით საბადოები. განაწილების ის სქემა კი, რომელსაც ირანი (ზღვის შელფის 20 პროცენტი) და თურქმენეთი მოითხოვენ, სადავოს ხდის აზერბაიჯანის ოფშორული საბადოს აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის კუთვნილებას, რომლის ოპერატორიც არის British Petroleum და რომელში წარმოებული რესურსიც უნდა გავიდეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გზით. იმავდროულად, ირანი და თურქმენეთი პრეტენზიას აცხადებენ აზერბაიჯანის ოფშორულ ზონაში მდებარე ერთსა და იმავე საბადოზე, რაც დაძაბულობას უკვე ამ ქვეყნებს შორის წარმოშობს.

ირანის ხელისუფლებამ, თავისი პოზიციის გასამყარებლად, ძალის დემონსტრირებასაც მიმართა. კერძოდ, 2001 წლის 23 ივლისს ირანის სამხედრო სასაზღვრო კატარღამ გამაფრთხილებელი ცეცხლი გაუხსნა აზერბაიჯანის საძიებო გემ "გეოფიზიკ-3"-ს, რომელიც აზერბაიჯანის ოფშორულ ზონაში მუშაობდა.

წელს, აპრილის თვეში, კასპიის სამიტის უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ირანის პრეზიდენტმა ჰათამიმ ვიზიტით მოიარა ცენტრალური აზიის ქვეყნები, კასპიის გაყოფასთან დაკავშირებით პოზიციების შეჯერების მიზნით. ყაზახეთში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ჰათამიმ კასპიის ზღვა "მაზანდარანის ტბად" (ირანის ჩრდილოეთი პროვინცია, რომელიც კასპიის ზღვას სამხრეთიდან ესაზღვრება) მოიხსენია, რასაც პრეზიდენტებს შორის სრული გაუგებრობა მოჰყვა. მოგვიანებით, ირანს ესტუმრა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. ვიზიტების გაცვლას ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია. კასპიის ზღვის აკვატორიაში კი სამხედრო დაპირისპირება ისევ მოხდა, ამჯერად უკვე ყაზახეთისა და ირანის კატარღლებს შორის. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1997 წელს კასპიისპირეთის რუსულ სექტორში საბადოების აღმოჩენამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა რუსეთის ხელისუფლების პოზიციის შეცვლა კასპიის სტატუსის საკითხის მიმართ, რასაც რუსეთსა და ყაზახეთს შორის შელფის გაყოფის შესახებ პირველი ხელშეკრულების დადება მოჰყვა. ირანის შემთხვევაში, ცნობას იმის შესახებ, რომ ირანის სექტორშიც უნდა იყოს საბადოები, პოზიციის არანაირი შერბილება არ მოჰყოლია. პირიქით, პროცესის ესკალაციაც კი დაიწყო. ზოგიერთი პოლიტიკოსი - ირანშიც და რუსეთშიც - უფრო სამართლიანად მიიჩნევდა, კასპიის შელფი თანაბრად გაყოფილიყო სწორედ ამ ორ ქვეყანას (როგორც საბჭოთა კავშირ-ირანს შორის ერთ დროს დადებული ხელშეკრულებების სამართალმემკვიდრეებს) შორის, რაც დღევანდელ ვითარებაში სრული აბსურდია.

ირანი პატარა და ხელწამოსაკრავი ქვეყანა არ არის. არც ირანის ხელისუფლება უნდა მიმართავდეს ძალის დემონსტრირების ამგვარ ხერხებს, სერიოზული გათვლების გარეშე. ასე რომ, ირანის მიერ კასპიის ზღვაში ძალის დემონსტრირებას მოტივაციაც უნდა ჰქონდეს და რაიმე კონკრეტულ შედეგზეც უნდა იყოს ორიენტირებული. ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რა მიზანს უნდა ისახავდეს ირანის ხელისუფლება.

ირანის არც დღევანდელ და არც წინა ხელისუფლებას არ დაუმალავს, რომ ეს ქვეყანა სისხლხორცეულად არის დაინტერესებული კასპიისპირეთის ენერგორესურსების თავისი ტერიტორიის გავლით ტრანზიტით. მართლაც, ირანის მარშრუტი სამხრეთით უმოკლესია და ეკონომიკურად გამართლებულიც, რის გამოც არა მარტო ირანელი, არამედ ბევრი დასავლელი ექსპერტიც რამდენიმე წლის განმავლობაში ერთგულად ლობირებს ამ მარშრუტს.

მაგრამ აქ დასაზუსტებელია ორი მომენტი. ჯერ ერთი, ეს მარშრუტები ერთმანეთს არ გამორიცხავს და მეორეც, ირანის მარშრუტი გულისხმობს აღმოსავლეთის ბაზარზე ორიენტაციას. ირანიდან დასავლეთის ბაზრისაკენ კასპიისპირეთის ნავთობის მოძრაობა ნიშნავს ახლა უკვე სუეცის არხის გადატვირთვას რამდენიმე ასეულ ათასობით ტონაჟიანი ტანკერებით. (1956 წელს, ნაციონალიზაციის შემდეგ სუეცის არხის ძირეული რეკონსტრუქცია არ მომხდარა. ეგვიპტის ხელისუფლებას საამისო სახსარი არ გააჩნია, საერთაშორისო კაპიტალი კი სახელმწიფოს კომპეტენციაში შეჭრას არ ჩქარობს).

თანაც, კასპიის ზღვის რესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ათწლიანი ოდისეა მიუთითებს იმაზე, რომ აშშ მტკიცედ ლობირებს ტრანსპორტირების ალტერნატიულ მარშრუტს - თურქეთის გავლით (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი). ამიტომ ძნელი წარმოსადგენია, ირანის ხელისუფლებას იმის იმედი ჰქონდეს, რომ დასავლეთის მარშრუტს მიმართულებას შეაცვლევინებს და გეზს ირანის პორტებისაკენ აალებინებს.

სამაგიეროდ, ირანის ხელსუფლებას ესმის კასპიის რესურსების მნიშვნელობა დასავლეთისათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ, დასავლეთის მარშრუტზე (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) ორიენტირებულ აზერბაიჯანის ოფშორულ საბადოებზე (აზერი-ჩირაგი-გიუნეშლი) დავის წამოჭრით ცდილობს, აიძულოს აშშ-ს ხელისუფლება, შეარბილოს თავისი პოზიცია ირანის მიმართ რამდენიმე მიმართულებით: მოხსნას ან შეარბილოს ეკონომიკური სანქციები, რაც აფერხებს ირანის დანგრეულ ენერგეტიკულ სექტორში საერთაშორისო კაპიტალის შედინებას; შეცვალოს ან შეარბილოს აგრესიული რიტორიკა, რომელიც ირანს "ბოროტების ღერძის" ქვეყნებს შორის განათავსებს - მისი ყველა თანმდევი შედეგით (ფინანსური, ტექნოლოგიური, სავაჭრო შეზღუდვები); და ბოლოს, გახსნას რევოლუციის (1979 წელი) შემდეგ დასავლეთის ბანკებში გაყინული ირანის სახელმწიფოს აქტივები, რათა ირანის ხელისუფლებამ შეძლოს ამ დაკონსერვებული სახსრების გამოყენება ქვეყნის საჭიროებისათვის. აშშ-ს პოზიციის შერბილება ან ნებისმიერი გარღვევა, ჩამოთვლილი საკითხების გადაჭრის მიმართულებით, ეკონომიკური ბლოკადიდან გამოიყვანდა ირანს და განამტკიცებდა ქვეყნის ამჟამინდელი ზომიერი ლიდერის - მოჰამად ჰათამის პოზიციებს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, მაჰმადიანურ სამყაროში.

ირანის შემდგომი დემოკრატიზაცია და რადიკალური ისლამის ორბიტიდან გამოყვანა თავისთავად შედის დასავლეთის, განსაკუთრებით, აშშ-ს, სასიცოცხლო ინტერესებში. ასე რომ, აშშ-სა და ირანს საკმაოდ ვრცელი არეალი აქვთ დიპლომატიური მანევრების, ვაჭრობის, დათმობის, პოზიციების შეჯერებისა და საკითხების მთელი სპექტრის მოგვარებისათვის. ამ ქვეყნებს შორის დაგროვილ პრობლემათა ჯაჭვში აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის საბადო და კასპიის ზღვის სამხრეთ აკვატორია პატარა, მაგრამ მეტად საჭირო რგოლია დიპლომატიურ მოლაპარაკებებში (ვაჭრობაში), ირანის პოზიციების განმტკიცების თვალსაზრისით, ვინაიდან ირანს სხვა ქმედითი ბერკეტები აშშ-ს ხელისუფლებაზე ზეწოლისათვის არ გააჩნია.

კასპიის ზღვაზე ირანის თამაშიდან ხეირს ნახულობს რუსეთიც. ირანისა და თურქმენეთის პრეტენზია აზერბაიჯანის ოფშორულ საბადოებზე ბლოკავს რუსეთისთვის ალტერნატიული და კონკურენტული პროექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-ერზრუმის) განხორციელებას.

ამასთან ერთად, რუსეთი სარგებლობს ირანის აგრესიული გამოხტომებით იმისათვის, რომ მოახდინოს თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეორგანიზაცია კასპიის ზღვაზე (რაც გულისხმობს სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდას 10 ათას კაცამდე, ფლოტის აღჭურვას რამდენიმე ასეული თანამედროვე სამხედრო ხომალდით, მათი მხარდამჭერი სახმელეთო და საჰაერო დანაყოფებით), სადაც მისი პოტენციური მოწინააღმდეგეები, ჯერჯერობით, სულ რამდენიმე ამორტიზებულ სამხედრო-სასაზღვრო კატარღით არიან შეიარაღებულნი.

www.24hours.ge 24 B

# ომის წლებში ხორვატიის ელჩები სპორტსმენები იყვნენ

მიხეილ აბაიშვილი

*ივო შუშაკი – კაცი, რომელიც საქართველოს საფეხბურთო თავმოყვარეობას, ხოლო ქართველ გულშემატკივარს მომავლის იმედს უბრუნებს.*

*ივო შუშაკი – კაცი, რომელმაც ეს ყველაფერი არასრულ რვა თვეში გააკეთა.*

*და მაინც, ვინ არის ივო შუშაკი?*

*ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი რომ მიგვეღო, "დინამოს" ხორვატი მთავარი მწვრთნელი "24 საათის" რედაქციაში მოვიწვიეთ.*


ივო შუშაკი "24 საათის" რედაქციაში
ლევან ხერხეულიძის ფოტო

## ავტობიოგრაფიის მაგიერ

ბატონ შუშაკს არ უყვარს საკუთარ წარსულზე ლაპარაკი.

"საკმაოდ დიდი ხნის წინ – 1945 წელს დავიბადე. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ ხანდაზმული ვარ. საკმარისი ენერგია მაქვს იმისთვის, რომ საყვარელ საქმეს ვემსახურო", - ამბობს შუშაკი.

"დინამოს" მთავარი მწვრთნელი ხორვატიის პატარა ქალაქ შიროკი ბრეგში დაიბადა. ამავე ქალაქში დაამთავრა გიმნაზია. ადრეულ ასაკშივე დაიწყო ფიქრი მწვრთნელობაზე, რასაც წინ უსწრებდა არცთუ შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა. შუშაკი თამაშობდა მშობლიური ქალაქის გუნდში "შიროკი ბრეგში", რომელიც იუგოსლავიის მესამე ლიგაში გამოდიოდა. 70-ან წლებში შუშაკმა დაამთავრა სამწვრთნელო აკადემია, მწვრთნელის ლიცენზია მიიღო და 1975 წელს ზაგრების "დინამოს" ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო მუშაობა. მალე მას ზაგრების "დინამოს" მეორე გუნდის მთავარი მწვრთნელის ფუნქციაც შეუთავსეს. 1988 წლიდან იწყება ივო შუშაკის დამოუკიდებელი და წარმატებული სამწვრთნელო კარიერა. ამ წელს მან მუშაობა დაიწყო მესამე ლიგის გუნდ "ციბალიაში". მალე იმავე ლიგის "ზაგრებში" მიიწვიეს. აქ შუშაკმა ფანტასტიკურ შედეგს მიაღწია – მესამე ლიგის გუნდი სამ წელიწადში უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა!

ამ პერიოდს დაემთხვა იუგოსლავიის დაშლა და შუშაკმა, "ზაგრებთან" ერთად, ხორვატიის ჩემპიონატში გადაინაცვლა. პირველივე წელიწადს მისი "ზაგრები" ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი გახდა და უეფა-ს თასის საგზურსაც დაეუფლა, მაგრამ ამ ტურნირში გუნდის გაყვანა ველარ მოახერხა, რადგან ხორვატიას უეფა-მ მისი ეგიდით გამართულ ტურნირებში მონაწილეობა აუკრძალა. ხორვატიაში ომი დაიწყო და შუშაკი იძულებული გახდა, სამუშაოდ სლოვენიაში გადასულიყო. სლოვენიის "ოსიეკში" შუშაკმა ერთი წელი დაჰყო და ამ გუნდს, თავის არსებობის ისტორიაში პირველად, უეფა-ს თასის საგზური მოაპოვებინა. შემდეგ შუშაკმა თავისი ქვეყნის ნაკრებში იმუშავა ისეთ მწვრთნელებთან ერთად, როგორებიც არიან ბლაჟევიჩი, მარკოვიჩი და ივიჩი. თუ რა შედეგს მიაღწია ხორვატიის ნაკრებმა 1998 წელს, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამ წარმატებაში შუშაკსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი. შემდეგ შუშაკმა სამი წლის განმავლობაში იმუშავა ხორვატიის 21 წლამდელთა ნაკრებში და მას ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოაპოვებინა. საქართველოში ჩამოსვლამდე შუშაკმა სლოვენიის "მარიბორი" ქვეყნის ჩემპიონი გახადა.

ჰყავს მეუღლე და დაოჯახებული ქალ-ვაჟი. სამი შვილიშვილის ფოტოს მუდამ თან ატარებს.

## კვალიფიკაცია

"იმისთვის, რომ ხორვატიაში მწვრთნელად იმუშაო, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდე. უმაღლესი ან პირველი ლიგის გუნდში მთავარ მწვრთნელად მუშაობის უფლება მხოლოდ მაშინ მოგეცემა, თუ უმაღლეს სამწვრთნელო აკადემიას წარმატებით დაამთავრებ და შესაბამის ლიცენზიას მიიღებ. ამ ლიცენზიის გარეშე ვერც ახალგაზრდულ და ჭაბუკთა გუნდებში იმუშავებ. ბავშვთა ფეხბურთში შედარებით დაბალი კვალიფიკაციაც საკმარისია.

იმისთვის, რომ უმაღლესი სამწვრთნელო კვალიფიკაცია მიიღო, ზემოხსენებულ აკადემიაში ორი წელი უნდა ისწავლო. სასწავლო პროცესი ოთხ სემესტრად არის დაყოფილი. თითოეული სემესტრის დასრულების შემდეგ გამოცდები უნდა ჩააბარო. ამ დროს სულ არა აქვს მნიშვნელობა, შუკერი ხარ თუ შუშაკი. ყველას ერთნაირად მოეთხოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიცენზიას ვერ მიიღებ. ამას გარდა, ყველა კატეგორიის მწვრთნელს, წელიწადში ორჯერ, 3-7-დღიანი სემინარის გავლა უწევს. თუ ამ სემინარს გააცდენ, ბლაჟევიჩიც რომ იყო, სამწვრთნელო ლიცენზია ჩამოგერთმევა."

გაგრძელება B7 გვერდზე

# კახა კალაძე რუსული ისტერიის წინააღმდეგ


კახა კალაძე

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა კახა კალაძემ გუშინ რუსეთის სპორტულ საიტზე – "სპორტ სეგოდნია" – გაავრცელა სპეციალური მიმართვა რუსი ფეხბურთის გულშემატკივრებისადმი, რომელშიც რუსებს მოუწოდა, არ აჰყვნენ ანტიქართულ ისტერიას.

**"უაღრესად აღშფოთებული ვარ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების გამო. როგორც ხშირად ხდება, ახლაც ვისმენთ საყვედურებით აღსავსე, ხმამაღალ, მაგრამ უარგუმენტო განცხადებებს. პირადად მე ეს მდგომარეობა მაგონებს არაფრის მთქმელ მიტინგს, ლოზუნგით – "აბა, ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს"! რუსი და ქართველი ხალხების გრძნობებით სპეკულირებენ და სურთ, ისინი ვიღაცის პოლიტიკურ თამაშში ჩაითრიონ.**

**მე შორს ვარ სურვილისგან, გავარკვიო დაფარული თუ საიდუმლო მოტივაციები, მაგრამ, როგორც ფეხბურთელს, მწყინს, რომ სწორედ ფეხბურთი გახდა სპეკულაციის საგანი. ამიტომ მსურს, პირველ რიგში, გულშემატკივრებს მივმართო: ნურავის მისცემთ უფლებას, ჩვენი საყვარელი თამაში, ჩვენი სისუსტე ვიღაცამ პოლიტიკურ ჩარჩოებში მოაქციოს.**

**რუსეთში ბევრი მეგობარი მყავს და, დარწმუნებული ვარ, ქართველთა მიმართ მათ არავითარი მტრობა არა აქვთ. მახსოვს, ბავშვი ვიყავი, როცა თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "სპარტაკის" თამაშს ვუყურებდი. ეს ნამდვილი დღესასწაული იყო. არ მესმის, რატომ უნდა შეიცვალოს ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება, მით უმეტეს, უარესობისკენ.**

**ამასთან, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველოსა და რუსეთის ნაკრებთა შორის 12 ოქტომბერს დაგეგმილი მატჩი აუცილებლად თბილისში უნდა გაიმართოს, რადგან ამ შეხვედრის გადატანა ან მისი ჩატარების ადგილის შეცვლა კიდევ უფრო გაამწვავებს ისედაც არაჯანსაღ აჟიოტაჟს, რომელიც ამ მატჩის ირგვლივ შეიქმნა. თამაში დანიშნულ დროს უნდა გაიმართოს, მიუხედავად იმისა, აწყობთ ეს ვიღაც-ვიღაცებს თუ არა.**

**მე საქართველოს მოქალაქე ვარ, მაგრამ, მსურს, ობიექტური დავრჩე და არ მინდა, ვინმეს მხარეზე მიგულისხმოთ. საერთოდ, არ მჯერა, რომ აგრესია შეიძლება გამართლებული იყოს. ამიტომ მოვუწოდებ რუსეთის მოქალაქეებსა და ჩემს თანამემამულეებს, მოთმინება და ადამიანობა გამოიჩინონ.**

**საქართველოსა და რუსეთს ბევრი ომი უნახავთ, მაგრამ ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომლისთვისაც ომს ბედნიერება ან ნათელი გრძნობა, განცდა მოეტანოს. ომის გაფიქრებაზეც კი მაჟრიალებს. ამიტომ, მეგობრებო, თავი შევიკავოთ ისტერიისგან, თუნდაც იმიტომ, რომ ომის მიზანი მშვიდობაა, რომლის დაკარგვაც, როგორც ვხედავთ, ძალიან ადვილია".**

რაც შეეხება 12 ოქტომბრის მატჩს, გაირკვა, რომ დაგეგმილი შეხვედრა დანიშნულ დროს თბილისში გაიმართება. "ვერ ვხედავ მიზეზს, რომლის გამოც თბილისში არ უნდა ჩავიდეთ", – განაცხადა რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა სერგეი როდიონოვმა. მისი თქმით, ტუკმანოვის თვალსაზრისი, რომ რსკ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნის მიხედვით იხელმძღვანელებს, მხოლოდ ადრეულ ეტაპზე განიხილებოდა. "ახლა კი მდგომარეობა დღესავით ნათელია", – განაცხადა როდიონოვმა.

# BATUMI LADIES OPEN: უმასპინძლო ტურნირი

პაატა თოთაძე
*ბათუმიდან*

**ერთეულთა თანრიგი. II წრე**

*იულიანა ფედაკი (უკრაინა) - მაკა ჩახნაშვილი (საქართველო) 6:3, 4:6, 7:6*

*ნადეჟდა ოსტროვსკაია (ბელარუსი) - მარია კონდრატიევა (რუსეთი) 6:3, 7:6*

*ზიბილე ბამერი (ავსტრია) - კეროლაინ მაესი (ბელგია) 6:3, 6:2*

*გულნარა ფატახეტდინოვა (რუსეთი) - დარია კუსტავა (ბელარუსი) 6:3, 6:3*

*ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) - ანა ბასტრიკოვა (რუსეთი) 6:4, 6:3*

*ოლგა ლაზარჩუკი (უკრაინა) - მარა სანტანჯელო (იტალია) 7:6, 6:0*

*ციპორა ობზილერი (ისრაელი) - კატარინა დაშკოვიჩი (იუგოსლავია) 6:3, 6:4*

*ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) - ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 0:6, 6:4, 6:1*

დღეიდან "Batumi Ladies Open" ქართველი ჩოგბურთელების მონაწილეობის გარეშე გაგრძელდება. ლამის სამსაათიანი ბრძოლა მაკა ჩახნაშვილსა და იულიანა ფედაკს შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ სამივე ქართველი ჩოგბურთელი ტურნირს უკრაინელებმა გამოთიშეს. ნანა უროტაძეს ალიონა ბონდარენკომ აჯობა, თინათინ ყავლაშვილს კი - ოლგა ლაზარჩუკმა.

სავსებით შესაძლებელი იყო, მეოთხედფინალში, ფედაკის ნაცვლად, ჩახნაშვილს ეთამაშა. პირველ სეტში ქართველმა ჩოგბურთელმა, შეცდომების წყალობით, მეტოქეს ოთხი გეიმი აჩუქა. ძნელია, ახსნა მოუძებნო ჩახნაშვილის ასეთ თამაშს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მატჩი ფედაკმა კი არ მოიგო, ჩახნაშვილმა წააგო. ბოლო, მესამე სეტში, მაკა 5:3-ს იგებდა, მაგრამ გადამწყვეტი გეიმის მოგება ვერ შეძლო, ტაი-ბრეიკზე კი, როგორც მანამდე ხდებოდა, ბევრჯერ შეცდა და...

ეს ამბავი ქართველს რომ ეხებოდა, იმიტომ იყო ჩვენთვის საინტერესო, თორემ, დღის მთავარი ამბავი ჩახნაშვილ-ფედაკის ორთაბრძოლის შემდეგ მოხდა: უკრაინელმა ალიონა ბონდარენკომ ტურნირის უპირველესი ფავორიტი, ბელარუსი ტატიანა პუჩეკი გამოთიშა ასპარეზობას. პუჩეკი, გარდა იმისა, რომ პირველ ნომრად იყო განთესილი, რეიტინგშიც უკრაინელზე მაღლა დგას. ბონდარენკო მსოფლიოში 235-ე ჩოგანია, პუჩეკი კი - 77-ე. პირველი სეტის მშრალზე წაგების შემდეგ ბონდარენკომ მეორე სეტი გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო. ჩანს, ამან პუჩეკზე ცუდად იმოქმედა, რადგან მესამე სეტში ბელარუსი თავის თავს არ ჰგავდა, რაც ანგარიშშიც აისახა. მოკლედ, პუჩეკის ორწლიანი ჰეგემონია დაემხო - წლეულს "Batumi Ladies Open"-ს ახალი გამარჯვებული ეყოლება.

ახლა ყველაზე წარმომადგენლობითი უკრაინის გუნდია. დღემდე ტურნირს ამ ქვეყნის სამი სპორტსმენი შემორჩა. ასე რომ, სულაც არ იქნება გასაკვირი, თუკი ფინალი წმინდა უკრაინული იქნება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ტურნირს წინა კვირას თბილისში გამარჯვებული კატარინა დაშკოვიჩიც დაემშვიდობა. მისი "თბილისელი" მეტოქე გაბრიელა ნავრატილოვა კი ბათუმში საერთოდ არ ჩასულა.

# აღსდექ, საქართველოვ!

ზაზა ფაჩუაშვილი

საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულება ედუარდ შევარდნაძეს გუშინ ჭაღებითა და აბაჟურებით გაბრწყინებულ სასტუმრო "თბილისი მარიოტის" ვესტიბიულში ცხვირწინ წითელი ლენტი გაუჭიმეს და მაკრატელიც წითელი ბალიშით მიართვეს. პრეზიდენტმა ზონარი უხალისოდ გადაჭრა და ღვინოც უგუნებოდ მოწრუპა. სტუმართმოყვარეობის სფეროში მსოფლიოს წამყვანმა კომპანიამ "მარიოტ ინთერნეიშენელმა" და ჯი-ემ-თი ჯგუფმა ასე გახსნეს აღდგენილი სასტუმრო. ვესტიბიული სავსე იყო დედაქალაქის რჩეული საზოგადოებით, საჭმელ-სასმელითა და ყველა სახის დაცვის თანამშრომლებით. განსაკუთრებული ეგზოტიკა მის მესამე დარბაზში იგრძნობოდა, სადაც უშველებელ მაყალზე ხორცს წვავდნენ და მწვადს აშიშხინებდნენ. სუნი იდგა გადასარევი. ბუნებრივია, ყველაზე დიდი რიგი იქ დადგა.

ამ დროს ერთი თბილისელი მოქალაქე, ბატონი გოგა, სრულიად აღშფოთებული იდგა სასტუმროს წინ, რუსთაველზე და მთელი მონდომებით ცდილობდა სიტუაციაში გარკვევას. საქმე ისაა, რომ დაცვის ცოცხალი კედელი მის ყველა კითხვას – რა ხდება, ძმებო, ვინ ჩამოვიდა, რაშია საქმეო, - მხოლოდ ორი სიტყვით პასუხობდა: არაფერი, ყველაფერი დამთავრებულიაო. ცხადია, ბატონი გოგა თავადაც მიხვდებოდა საქმის ვითარებას, მაგრამ რას წარმოიდგენდა, რომ მაისში გახსნილ სასტუმროში ლენტს სექტემბერში გადაჭრიდნენ.

"მამაჩემი ამ რესტორანში რომ შედიოდა, ორკესტრი "დაისის" დაკვრას იწყებდა. ქალაქელი კაცი იყო, მომღერალი, მოქეიფე, იცნობდნენ, პატივს სცემდნენ. ახლა ესენი ერთ სიტყვას მამადლიან და პასუხს არ მაძლევენ, კაცო. თქვი რა, ოხერო, ლენტის გაჭრაა და მორჩა," – შესჩიოდა სასტუმროდან გამოსულ ნაცნობებს ბატონი გოგა.

გარეთ დარჩენილო ბატონო გოგა, მოგახსენებთ, რომ გახსნაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჯი-ემ-თი ჯგუფის პრეზიდენტი გიორგი თავაძე. ამ ჯგუფის დამფუძნებელი და უმეტესი წილის მფლობელი არის ამერიკელ კერძო ინვესტორთა ჯგუფი (სამწუხაროდ, მათი კონკრეტული ვინაობა ჩვენთვის უცნობია). ჯი ემ თი ჯგუფის კომპანიაა ს.ს "ოტელ თბილისი", რომელიც თავის მხრივ სასტუმრო "თბილისი მორიოტის" მფლობელია. ს.ს "ოტელ თბილისის" დამფუძნებელი, ამერიკელ კერძო ინ-


ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ვესტორებთან ერთად, ყოფილა ს.ს "თბილისი სიტი", რომლის საკონტროლო პაკეტს თბილისის მერია ფლობს. ს.ს "თბილისი სიტის" საკუთრება აღმოჩნდა, აგრეთვე, თავისუფლების მოედანზე მშენებარე მრავალფუნქციური შენობა სასტუმროთი და "ა" კლასის საოფისე ფართით. ამ შენობას მომავალი წლის მეორე კვარტალში დაამთავრებენ. ეს ორივე პროექტი ჯი-ემ-თის 65 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. მას სხვა პროექტებიც დაუგეგმავს და სამომავლოდ საინვესტიციო პორტფელის 100 მილიონამდე გაზრდას აპირებს.

"მარიოტი" სახელწოდებაში იმიტომ დაემატა, რომ სასტუმრო "თბილისი მარიოტის" ოპერატორი არის მართვის ინდუსტრიის მსოფლიო ლიდერი კომპანია "მარიოტ ინთერნეიშენელი". გენერალური დირექტორია ოტო მ. შტოლი. სასტუმროში 127 ნომერი და 200 მოსამსახურეა. სასტუმრო "თბილისის" ძველი სახელის პატივსაცემად რესტორნისთვის დაურქმევიათ "მაჟესტიკი". აქვეა კაფე "პარნასი" და ღვინის ბარი.

ბატონო გოგა, სანამ თქვენ გარეთ ნერვიულობდით, თავაძემ სიტყვა ვანო ზოდელავას გადასცა, რომელმაც ორი სასიხარულო ინფორმაცია მოგვაწოდა. პირველი - ბოლო სამი წლის განმავლობაში თბილისში ასზე მეტი სასტუმრო აშენებულა და მეორე - მალე დაიწყება ფუნიკულიორის აღდგენა თავისი საბაგირო გზით, რომელიც ზოდელავას დაპირებით, მომავალი წლის დეკემბერში დამთავრდება.

შემდეგ შევარდნაძეც გამოვიდა. მის სიტყვას შეიძლება ეწოდოს "აღსდექ, საქართველოვ!" მან ბრძანა, რომ დანგრეულის აღდგენა უფრო დიდი მოვლენაა, ვიდრე ერთი სასტუმროს მშენებლობა, თუნდაც ასეთი კარგის. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა აშშ–სა და საქართველოს თანამშრომლობა. პრეზიდენტმა ყველას გაგვახსენა მოსკოვიდან მისი დაბრუნების პერიოდი, დანგრეული რუსთაველი, სასტუმრო თბილისი და მშვიდობისა და სტაბილურობის მოფრთხილებისაკენ მოგვიწოდა.

შემდეგ იმ დიდ მშენებლობებზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც ქალაქელებს ყოველდღე თვალში გვეცემა და თქვა, რომ ქვეყანა შენდება და ამისთვის დიდი მადლობა გადაუხადა ამერიკელ ინვესტორებს.

სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, ბატონო გოგა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მწვადი უპუროდ შეიჭამა.

## კალენდარი

27 სექტემბერი



"ამერიკული კინოს ტრიუფო" – ასე უწოდებენ ამერიკელ რეჟისორს, არტურ პენს, რომლის ფილმებიც ყოველთვის გამოირჩევა თავისი ხელწერით, დრამატიზმითა და პოეტურობით. "ალისას რესტორანი", "სამიზნე", "ოთხი მეგობარი", - არტურ პენი ბევრი საინტერესო სურათის ავტორია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფილმი "ბონი და კლაიდი". ეს ფილმი რეჟისორმა 1967 წელს გადაიღო და მაშინვე კინოკრიტიკოსთა დიდი აღიარება მოიპოვა. "ბონი და კლაიდი" ამერიკული კინოს ისტორიაში შევიდა როგორც შედევრი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს "ახალი ამერიკული კინოს განვითარებას".

დღეს რეჟისორს 80 წელი შეუსრულდა. არტურ პენი 1922 წლის 27 სექტემბერს დაიბადა ფილადელფიაში.

## საკონცერტო დარბაზები

✓ **კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საერთაშორისო ფესტივალი "ჯაზი თბილისში"
კორტნი ფაინის ჯგუფი (დიდი ბრიტანეთი)
დინი ვირსალაძე, ნუკრი აბაშიძე (საქართველო)
დას: 20:00 სთ

## თეატრები

✓ **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, "დონ ჟუანი", ოპერა ორ მოქმედებად
დირიჟორი გოირგი ყორდანია
დას: 18:00

✓ **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
"დას: 19 სთ, ფასი 3,5 ლარი

✓ **თეატრალური სარდაფი**
ნიკოლოზ გოგოლი "ცხვირი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

✓ **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 19 სთ; ფასი 5 ლარი

✓ **„სახიობა„**
პაატა ახალაია, "შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, ანუ ტრაგედიის აჩრდილები", რეჟ. გია კახელი; მთავარ როლებში: გიორგი ახალშენიშვილი, ეკატერინე კვირკველია
სპექტაკლი ეძღვნება ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ და უგზოუკვლოდ დაკარგულ გმირთა ხსოვნას.
დას: 16:00 სთ; დასწრება უფასოა

✓ **„ჭიბის თეატრი„**
"ცხოვრება საწვავის გარეშე", რეჟ. ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

## საგამოფენო დარბაზები

✓ **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ლელა ტაბლიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

✓ TMS
ჩინეთისა და საქართველოს თანამშრომლობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

✓ **ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, "მხატვრებთან ერთად", ეძღვნება სამხატვრო აკადემიის 80 წლის იუბილეს

## კინოთეატრები

✓ **ამირანი**
"ასტერიქსი და ობელიქსი", მთავარ როლებში: ჟერარ დეპარდიე, მონიკა ბელუჩი
დას: 14:00; 16:00; 20:00 სთ; ფასი: 5,6,7 ლარი
"უძილობა", მთავარ როლებში: ალ პაჩინო და რობინ უილიამსი
დას: 18:00; 22:00 სთ; ფასი: 7 ლარი

✓ **რუსთაველი**
"დიდი გამყინვარება", საბავშვო ანიმაციური ფილმი
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ვნება", მთავარ როლში რიჩარდ გირი
დას: 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"განსხვავებული აზრი" რეჟ. სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში ტომ კრუზი
დას: 21:30 სთ; ფასი 9 ლარი







# ჯაზი, რეგი და ჰიპ-ჰოპი

### დღეს, კონსერვატორიის აკადემიურ კედლებში კორტნი პაინი ყველაზე თანამედროვე ჯაზის რიტმებს ააჟღერებს

ვერა ნეფარიძე

**"16-17 წელიწადია, ჯაზს ვუკრავ; ახლა სცენაზე რომ ავდივარ, პირველ რიგში, იმაზე ვფიქრობ, რომ მინდა ვისიამოვნო. თბილისში იმ მუსიკას შევასრულებ, რომელიც მიყვარს და მაცეკვებს", - კონსერვატორიის დიდ დარბაზში აჟღერებული მუსიკა არამარტო კორტნი პაინს აცეკვებს. დღეს ხომ თბილისის ერთ-ერთ ყველაზე აკადემიურ მუსიკალურ სცენაზე თანამედროვე, ხმაურიანი ჯაზი შესრულდება.**

"გიყვართ ჯაზი?, მერე, თქვენ რომ ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებით? მაშინ მითხარით, ვის უსმენთ?" - ჟურნალისტებთან გუშინდელი შეხვედრა ბრიტანელმა მუსიკოსმა გამოკითხვებით დაიწყო. მუსიკასთან დაკავშირებული საკმაოდ კონკრეტული შეკითხვები მას ქართული აუდიტორიის გასაცნობად სჭირდებოდა.

თავად კორტნი პაინს კარგად იცნობენ თანამედროვე ჯაზის მოყვარულები. როგორც პროფესიონალები ირწმუნებიან, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არავინ ისე კარგად არ წარმოაჩენს ბრიტანული ჯაზური სცენის დრამატულ ტრანსფორმაციას, როგორც საქსოფონისტი კორტნი პაინი. ალბათ, სწორედ ამიტომაცაა იგი ბრიტანეთის საბჭოს რჩეული, რომელსაც ისინი პერიოდულად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნებში. ბრიტანული ჯაზის შავკანიანი ვარსკვლავი შარშან, ასევე "ბრიტანული საბჭოს" პატრონობით, რუსეთს ეწვია. ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში დაგეგმილმა კონცერტმა რუსული საზოგადოება ცოტა დააბნია: "როგორ მოახერხებენ ბრიტანელები ამ დარბაზში დაუკრან ენერგიული და ხმაურიანი მუსიკა, რომელსაც სტადიონი თუ არა, ღამის კლუბი მაინც სჭირდება?" ზუსტად იგივე პათოსით დღესაც შეგვიძლია ვიკითხოთ – ძირითადად, აკუსტიკურ პროგრამებს ნაჩვევი კონსერვატორიის სცენა როგორ იგუებს ელექტრონულ ჯაზს? მაგრამ, ამაზე ხვალ ვისაუბრებთ. მითუმეტეს, რომ კონცერტმა ხსენებულ ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში, თურმე, არაჩვეულებრივად ჩაიარა.

თუნდაც ეს დეტალი კორტნი პაინის კიდევ ერთ თავისებურებაზე მეტყველებს. მისთვის, თითქმის, არ არსებობს ნორმა; მისი მუსიკა ყველგან შეიძლება მოისმინო: დისკო-კლუბშიც, სტადიონზეც და თბილისის სახელმწიფო კონ-



*კორტნი პაინი - მუსიკოსი-მოგზაური*
ბესო გულაშვილის ფოტო

სერვატორიის დიდ დარბაზშიც... გამოცდილებაც ასეთივე მრავალფეროვანი აქვს - ექსპერიმენტული და საინტერესო. ისეთ სახელოვან მუსიკოსებთან უმუშავია, როგორებიც არიან: ჯონ კოლტრეინი და ბობ მარლი; წელს თბილისელებს საშუალება ჰქონდათ, გაეცნოთ ტრომბონისტი დენის როლინსი, რომელიც შარშანდლამდე "კორტნი პაინ ბენდში" უკრავდა. თანამედროვე ელექტრონული მუსიკის, კერძოდ კი, დრამ-ენდ-ბეისის სახელმოხვეჭილი მამის, რონი საიზის მოყვარულებს უთუოდ დააინტერესებთ პაინის შემოქმედება. 1998 წელს პაინმა გამოუშვა რემიქსების ალბომი Another Story, სადაც რონი საიზთან ერთად დაამუშავა საკუთარ ალბომებში (Modern Day Jazz Stories-სა და Underground-ში) შესული სიმღერები. "რონი ბრისტოლში ცხოვრობს, ძალიან დაკავებულია და ერთობლივი საერთაშორისო ტურნეების მოწყობას ვერ ვახერხებთ. ისე, გაისად დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი საქართველოში მასთან ერთად", - მუსიკოსის ეს დაპირება არც ისე არარეალურია; მომავალ წელს პაინი მართლაც აპირებს საქართველოში ჩამოსვლას ფესტივალზე "ჯაზი თბილისში"; მას დაგეგმილი აქვს, იმუშაოს მასალებზე, რომლებსაც საკუთარი რადიო გადაცემებისთვის გამოიყენებს. აქვე უნდა ითქვას, რომ კორტნი პაინი "ბი-ბი-სი"-თან თანამშრომლობს, სადაც ჯაზის გლობლურ ტურნეებს მიმოიხილავს და სხვადასხვა ფესტივალებზე გაკეთებულ საინტერესო ჩანაწერებს წარმოადგენს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერის გაკეთებას გეგმავს იგი გაისად თბილისში.

"მე მოგზაური ვარ, მოგზაური-მუსიკოსი და ვეძებ კარგ მუსიკოსებს. სხვადასხვა ინსტრუმენტების ჟღერადობა მაინტერესებს და იმედი მაქვს, ამას საქართველოშიც მოვახერხებ", - საამისოდ კორტნი პაინს ორი დღე აქვს. ინსტრუმენტების გარდა, პაინის გატაცება უცხო მუსიკოსების გაცნობაა. მოგზაურობის შემდეგ მას ხშირად უთანამშრომლია სხვადასხვა ქვეყნების კოლეგებთან.

კორტნი პაინი თბილისში ექვსკაციან ბენდთან ერთად ჩამოვიდა. მის შემადგენლობაში არიან: გიტარისტები: კამერონ პიერი და მორის ბრაუნი; კიბორდისტი კრის ჯერომე; პერკუსიონისტი დონალდ გემბელი, ბასისტი პეტერ მარტინი და დრამერი, რობერტ ფორდჯორი. დღეს ეს შემადგენლობა დრამ-ენდ-ბეისით, რეგითა და ჰიპ-ჰოპით გამდიდრებულ ჯაზს დაუკრავს. ქართველი მსმენელი კი დარწმუნდება, რატომ არის კორტნი პაინი ისეთი სერიოზული პროექტების მონაწილე, როგორებიცაა: მიკ ჯაგერის სოლო ალბომი Wandering Spirit, ცნობილი პროდიუსერის, ჯორჯ მარტინის გაკეთებული, ლარი ადლერისადმი მიძღვნილი The Glory of Gershwin, ან თუნდაც, პოპულარული საუნდტრეკი "ევიტა".

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მივესალმოთ იდეას, რომ საქართველოში თანამედროვე ჯაზს და მისი მსოფლიო დონის ოსტატების ცოცხალ კონცერტებს აუცილებლად მოვისმენთ. მითუმეტეს, რომ ორგანიზატორები, ამ მხრივ, გვაიმედებენ. "ჩვენი მოწოდებაა, ხელი შევუწყოთ ახალი და დინამიური მუსიკოსების ჩამოსვლას საქართველოში", - თქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე კორტნი პაინის ჯგუფის ჩამოსვლის ძირითადი სპონსორის - ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენელმა. თანაც, ფესტივალის სტაბილურობის გარანტების - British Airways -ს და "შერატონ-მეტეხი პალასის" ენთუზიაზმიც იმედის მომცემია. ასე რომ, "პროფესიონალთა ლიგის" პრეზიდენტის, მიხეილ ციციშვილის გეგმებს, რომელიც ნაკლებად კომერციული, იმპროვიზაციული მუსიკის პოპულარიზაციას ითვალისწინებს, უკვე გარკვეული საფუძველი შეექმნა.

# როგორ ჩატარდა „სუფთა წერის" გაკვეთილი

### გალაკტიონის სახლ-მუზეუმში გაზეთის პრეზენტაცია გაიმართა

თამარ სუხიშვილი

გუშინ გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში ახალი ლიტერატურული გაზეთის, "სუფთა წერის" პრეზენტაცია გაიმართა. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, ქართულ ლიტერატურულ გამოცემებს კიდევ ერთი საინტერესო გამოცემა შეემატა და ისიც ითქვა, რომ ეს ნომერი პირველი და უკანასკნელი არ იქნება (ამის საშიშროება ყოველთვის აქვს გაზეთს, რომელიც თვითდაფინანსებით გამოდის). "სუფთა წერას" არ ჰყავს სარედაქციო კოლეგია, უფრო სწორად, ჰყავს – უბრალოდ, სარედაქციო კოლეგიას გაზეთის დამაარსებლები კლასს უწოდებენ და გაზეთის პასპორტშიც ასე მოიხსენიებენ: "ჩვენი კლასი". კლასი მცირერიცხოვანია, მასში სულ ექვსი "მოსწავლე" სწავლობს. კლასს დამრიგებელი არ ჰყავს (ისე კი, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა) და არც მოსწავლეთა სიაა ანბანის რიგზე დალაგებული: ბესო ხვედელიძე, დავით ქართველიშვილი, დავით რობაქიძე, ზურაბ რთველიაშვილი, შოთა იათაშვილი, ზაზა ბურჭულაძე, შალვა ბაკურაძე.

"სუფთა წერა" – ეს არის გაზეთი რედაქტორის გარეშე, ყოველ ნომერზე პასუხისმგებელი კლასის ერთ-ერთი მოსწავლე იქნება. პირველი ნომრის მორიგეობას შოთა იათაშვილმა გაართვა თავი და პრეზენტაციაც მანვე გახსნა, ოღონდ დაგვიანებით (ასე, ზარის დარეკვიდან თხუთმეტი-ოციოდე წუთის შემდეგ). მანამდე კი დიდი ქართველი პოეტის სახლ-მუზეუმში მოწვეული



*შოთა იათაშვილი და ზაზა ბურჭულაძე*
იური ლოზოდინის ფოტო

თუ საკუთარი სურვილით გამოცხადებული სტუმრებიდან ზოგი მუზეუმის ექსპონატების დათვალიერებით ირთობდა თავს, ზოგი – გაზეთის, ზოგი ლაზღანდარობდა და ზოგიც საპრეზენტაციოდ გადანახულ კონიაკს მიირთმევდა (მიუხედავად იმისა, სრულწლოვანები იყვნენ თუ არა). ხოლო როდესაც ერთ-ერთი მათგანი, ალბათ პარალელური კლასის მოსწავლე, რაღაცას მიეჯახა და კინაღამ კარადის შუშა ჩაამსხვრია, ყველას ეგონა, რომ მოვლენები ისე განვითარდებოდა, როგორც ქართულ საბავშვო ფილმში, "სუფთა დაფაშია", შემოვიდოდა მასწავლებელი და მკაცრი ხმით იკითხავდა: "დონლუზაშვილი, შენ გატეხე მინა?" მერელა გაახსენდათ, რომ კლასს მასწავლებელი არ ჰყავდა, თანაც შუშა დამსხვრევას გადაურჩა, მუზეუმი – "უდისციპლინო" მოსწავლეთა შემოსევას, მოსწავლეები კი – დასჯას. და პრეზენტაციაც, როგორც იქნა, დაიწყო.

სანამ მოსწავლეები გაზეთის სპეციფიკაზე ისაუბრებდნენ და საკუთარი ნამუშევრების (ძირითადად, ლექსების) კითხვას დაიწყებდნენ, სიტყვა მწერალთა უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ვახტანგ ჯავახაძესა და გივი ალხაზიშვილს გადასცეს. "ასეთი ჩანაფიქრი დიდი ხანია მქონდა," – ახალგაზრდობა გაიხსენა პოეტმა გივი ალხაზიშვილმა, - "სტუდენტობის დროს ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა ვცადეთ, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, არ გამოგვივიდა, იმედია, ეს წამოწყება გაამართლებს."

პრეზენტაციაზე მოსულთათვის, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი აღმოჩნდა გამომსვლელთა განცხადება, ახალ გაზეთში აქცენტი მხოლოდ ტექსტზე იქნება გაკეთებულიო, სამაგიეროდ, ყველამ კარგად გაიგო, რომ გაზეთში თარგმანები არ გამოქვეყნდება (ვინაიდან ნათარგმნი მასალები ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში ისედაც მრავლადაა) და რუბრიკა "მშობელთა კრებაც" მოიწონეს, რომელშიც ცნობილ ქართველ მწერალთა ნაკლებად ცნობილი ნაწარმოებები დაიბეჭდება. რაც შეეხება ახალგაზრდა მწერლის, ბესო ხვედელიძის ნათქვამს, ჩვენ (იგულისხმება გაზეთი "სუფთა წერა") არ გვაინტერესებს ავტორის წარსული, აწმყო და მომავალი და არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ მის ეთნიკურ წარმომავლობას თუ რელიგიურ მრწამსსო, - ამაზე დამსწრეთ მხოლოდ მხრები აიჩეჩეს და გაკვირვებით შეხედეს ჯერ გამომსვლელს, მერე კი კედლიდან მომზირალ გალაკტიონს.

შემდეგ ახალგაზრდა მწერალ-პოეტები დიდხანს კითხულობდნენ ლექსებს, მხატვრულ კითხვაში გართულნი ვერც კი ხვდებოდნენ, როგორ ეცლებოდათ ხელიდან მსმენელი, რომელიც ფეხაკრეფით მიიწევდა გასასვლელისაკენ და მეორე ოთახში გადაინაცვლებდა, სადაც კონიაკის ბოთლებიან მაგიდას უკვე შემოხვეოდა ხალხი.

"სუფთა წერის" პირველი გაკვეთილი – პირველი ნომერი თავად მოსწავლეებმა ხუთიანზე შეაფასეს. რამდენად გაამართლებს "სუფთა ლიტერატურული გაზეთი" (ასე გვაცნობს გაზეთი თავს თავს პირველსავე გვერდზე) "სუფთა", ნამდვილი ლიტერატურის მოყვარულებს, ამას მკითხველი თავად შეაფასებს და თუ სურვილი გაუჩნდება, შეუძლია შენიშვნები ელექტრონული ფოსტითაც გაგზავნოს შემდეგ მისამართზე: suptacera@yahoo.com

# სარდაფული არდადეგები დასრულდა

### კლუბ "სარდაფში" სეზონი გაიხსნა

ნანა ბასილაშვილი

ადგილი, დღე და დრო უცვლელია - კლუბი "სარდაფი" არდადეგების შემდეგ პატარ-პატარა სიახლეებით ჩვეულ რიტმში განაგრძობს მუშაობას. თუმცა, გუშინ "სარდაფმა" უჩვეულო, უფრო სწორად, არატრადიციულ სტუმარს - სახელმწიფო მინისტრს უმასპინძლა. მართალია, ბატონი ავთანდილ ჯორბენაძის ვიზიტი შეუმჩნეველი არავის დარჩენია, მაგრამ ამის გამო რაიმე განსაკუთრებულ, ან უცნაურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ალბათ კარგია, ყოველ შემთხვევაში, ცუდი ნამდვილად არ უნდა იყოს, მაგრამ რა ვქნა, რომ "ქვეყნისა და ეროვნული ინტერესების თანამშრომლობის" ნაკლებად მჯერა. "ალბათ, გაგიკვირდათ ჩემი მოსვლა, პირველ რიგში, ბატონი მიშაა ამის მიზეზი, მეორეც ყოველთვის მაინტერესებდა და მინდოდა აქ მოსვლა და თქვენთან შეხვედრა. ამავე დროს, აქ ბევრი ჩემი მეგობარი ვნახე და ძალიან ბედნიერი ვარ. ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანი ნაციონალური იდეაა, რაც შემოქმედებისა და ახალგაზრდობის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომაც ჩვენი თანამშრომლობა ყველას სასიკეთოდ წაგვადგება", - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა და მეგობრებს შეუერთდა; პიჯაკი გაიხადა, ფეხი-ფეხზე გადაიდო და თამბაქოც გააბოლა.

კლუბში პირველი ხუთშაბათი თავისუფალ დღედ გამოცხადდა, ანუ კონკრეტულად არავისთან შეხვედრა არ დაუგეგმავთ. სურვილისამებრ ნებისმიერს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა, გუშინ ყველას დღე იყო. ჯორბენაძემდე სარდაფში შეკრებილებს ჯერ კლუბის მასპინძელი დათო ჯანელიძე მიესალმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას იმის შესახებ აუწყა, რომ ამიერიდან კლუბი უფრო დინჯი, უფრო სერიოზული და უფრო ღრმა შინაარსის მატარებელი იქნება. კლუბი "სარდაფი" – ნეიტრალური ზონა გახდება, სადაც ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ თემაზე შეეძლება საუბარი. კლუბში ელიან ყველას, ვისაც აწუხებს მომავალი (ალბათ, ქვეყნის), სჭირდება დახმარება, ან უბრალოდ საკუთარი აზრის გამოთქმა სურს.

ამიერიდან ყოველ ხუთშაბათს ლიტერატურულ საღამოებს პოეტი მიშა ქვლივიძე და მწერალი დათო ტურაშვილი უმასპინძლებენ. შეცვლილია კლუბის ინტერიერიც. სარდაფში ახალი აპარატურაა დამონტაჟებული. როგორც დათო ტურაშვილმა განაცხადა, ამ აპარატურის გამოყენების ნება აქვს ყველას - ვისაც საუბრის თემა უინტერესოდ მოეჩვენება, შეუძლია მარტივი ხერხით ჩართოს დენი და პატარა, მრგვალი სცენა წითელი ნათურებით გაანათოს. ლიტერატურული საღამოების მუდმივმა მასპინძელმა მიშა ქვლივიძემ სარდაფში შეკრებილ საზოგადოებას პირობა მისცა, რომ კლუბი საინტერესო საღამოებს შესთავაზებს სტუმრებს.

გუშინდელ საღამოზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერი თქმულა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, გურამ დოჩანაშვილის, თენგიზ მირზაშვილის, ლაშა თაბუკაშვილის, ზალიკო სამადაშვილის, დათო მაღრაძის, ირაკლი ჩარკვიანისა და კიდევ სხვა ბევრი საინტერესო ადამიანის კამპანიაში ყოფნა ნამდვილად სასიამოვნო იყო.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგილწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ორშაბათი 30.09

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 "ხალხის პირისპირ" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "ოცნების კოშკები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00 კურიერი 18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.15 სასამართლო დარბაზი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "დონი ბრასკო" მთ.როლებში ალ პაჩინო და ჯონი დეპი. 01.50 კურიერი. 02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 09.55 მხ. ფილმი "სიყვარულის ხიფათები" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "პალიტრა" 14.30 "საქართველო და გარესამყარო" 15.15 მხ. ფილმი "სიყვარულის ანატომია" 16.45 სერიალი "ძილის წინ" 17.00 "რამპა" 17.05 50-50 17.40 დოკ. ფილმი "ჩვენი სახლი" 18.00 "ვესტნიკი" 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "მრავალჟამიერ" 19.05 ვიდეოპატრული 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.20 დოკ. სერიალი "შანხაი" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 სერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "შუაღამის კაცი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 12.00 "მო" განმეორებით 13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით 13.45 "ცენტრი" განმეორებით 14.45 მხ.ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "სიყვარულის გაკვეთილები" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "მო" 21.00 ევროპული ათეული 22.00 უცნობი 22.45 "პა-სეანსი" 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მებრძოლი". მთ. როლებში სანგ ზიუ, ზიუნგ ვუ სანგი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "იმიტატორი" მთ. როლებში სიგურნი უივერი, ჰოლი ჰანტერი 03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.40 მიზანი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "მშვენიერი სულელი ქალი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.30 მხ. ფილმი "სისხლში მცურავი ტახტი" 14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.40 პირველი ნაბიჯები 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.45, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "დაუმტვრიე ძვლები" 10.20 მხ.ფ. "ოცნება - არიზონა" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 ბურთი და მოედანი 20.00 მხ.ფ. "კაფე - მამბო" 22.15 მხ.ფ. "ვიქტორ ფოგელი - რეკლამის მეფე" 00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი" 14.00 მხ.ფ. "ომი" 15.20 მხ.ფ. "კომანდოსი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. "სათამაშო" 22.30 მხ. ფილმი "დათვი"

### მეცხრე არხი

09.00 მუსიკა 09.10 მულტფილმი "ცეროდენა და ნამცეცა" 10.00, 15.00 "დილა" 11.45 მხ. ფილმი "მარკო პოლო" 13.15 ბალეტი "სიყვარულთან შეხვედრა" ქორეოგრაფი: მორის ბეჟარი 14.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 14.45 მაცაცერა 16.45 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" 17.15 მულტფილმი "მხიარული მელოდიები" 17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-11 სერია 18.15 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 63-ე სერია 18.45 "კინოდოკუმენტები - 1950-იანი წლების ქრონიკა" აკაკი გაჭრაძის კომენტარებით 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" მე-16 სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.10 მულტფილმი "ქალთევზა" 21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 22.00, 23.50 მუსიკა 22.15 მხ.ფ. "მაგარი სახსარი". 00.20 მხ.ფ. "სემის სისხლიანი ზაფხული" მთ. როლებში ჯონ ლეგვიზამო, ედრიან ბროუდი, მირა სორვინო

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ზოგი ჭირი მარგებელია" 10.50 "პერსონა" 11.20 ტელესერიალი "დედოფალი მარგო" 7 სერია 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "მარტო ფრენა" 13.50 კომედია "წმინდანი" 16.15 მულტფილმი "კატა ლეოპოლდი" 17.30 თრილერი "ვატიკანის შეთქმულება" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 დრამა "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00 ტელესერიალი "დედოფალი მარგო" 8 სერია 01.00 კომედია "ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი" 03.30 მხატვრული ფილმი "ზამთრის ალუბალი" 05.00 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.20 "აჩიკუდა" 09.55 სახლიდან გაუსვლელად -აუდიო-ვიდეო-ტელე 10.25 მელოდია. 11.00 ანიმაცია 11.15 სახლიდან გაუსვლელად -კომპიუტერული ტექნიკა 11.45 "ობიექტივი" 12.40 "ბრძოლა წესების გარეშე" 12.55 სახლიდან გაუსვლელად -ავეჯი 13.00 დისნეი და მისი მეგობრები 13.20 სახლიდან გაუსვლელად - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 13.50 ამინდის პროგნოზი 13.55 ჰოროსკოპი 14.00 სპორტი 18.00 ანონსი 18.05 ამინდის პროგნოზი 18.10 პრესა 18.15 სახლიდან გაუსვლელად -აუდიო-ვიდეო-ტელე 18.45 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" -კომპიუტერული ტექნიკა 20.10 ფაქტი, აზრი, კომენტარი 20.20 სპორტული პროგრამა -"ევროპული ფეხბურთი" -ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 "ლა-ლა-ლა" 21.50 ბრძოლა წესების გარეშე 22.25 სახლიდან გაუსვლელად -საყოფაცხოვრებო ტექნიკა 23.00 "კინოკლუბი" -"რომის იმპერიის დაცემა" 00.25 პრესის მიმოხილვა 00.30 სახლიდან გაუსვლელად -"ავეჯი" 00.45 მელოდია. 01.10 სახლიდან გაუსვლელად -აუდიო-ვიდეო-ტელე 01.40 ბიორითმი 02.05 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

16.00 Новости 16.15 Комедия "ДЕТИ ШПИОНОВ" 18.00 "Большая стирка" 19.00 Вечерние новости 19.25 "Шутка за шуткой" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.35 Детектив "ДРОНГО" 23.40 Худ.фильм "ВРЕМЯ ЛЮБИТЬ" 00.30 "Другое время" 01.15 "На футболе" с В.Гусевым 01.45 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!". 09.45 х.ф."ДОМ, В КОТОРОМ Я ЖИВУ". 11.50 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ. 12.20 "Сказки о любви". 13.20 "В "Городке". 13.25 ВЕСТИ НЕДЕЛИ. 14.30 ВЕСТИ - МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ. 15.20 ВЕСТИ-СПОРТ. 15.25 "Что хочет женщина". 16.25 "Стань звездой". 17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ". 18.20 Теннис. Международный турнир "Кубок Кремля - 2002". 19.20, 21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ-МОСКВА. 19.50 "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ". 20.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 "БРИГАДА". 23.05 "ЗАКОН". 00.35 Док. фильм "Юрий Любимов". 01.30 "Синемания". 02.00 Дневник турнира по теннису "Кубок Кремля -2002". 02.30 "Дорожный патруль".

### НТВ

09.40 Утро на НТВ 10.00 "Растительная жизнь". 10.35 "Вы будете смеяться!" Ян Арлазоров 11.00 "Сегодня утром" 11.25 "Намедни" 13.00. 15.00. 20.00 "Сегодня" 13.05 Мелодрама "ПРИНЦЕССА НА БОБАХ" 15.05 "Женский взгляд" 15.35 Детектив "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 16.40 Ток-шоу "Принцип "Домино" 18.05 Сериал "Неизвестная планета". 19.05 "Внимание! Розыск!" Беглый маклер 20.35, 00.40 "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ". 21.45 Сериал "ДАЛЬНОБОЙЩИКИ", 1 серия 23.00 "Сегодня вечером" 23.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 01.40 Гордон

## სამშაბათი 1.10

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "ოცნების კოშკები" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00 კურიერი 18.20 სერიალი "ტალღის ქიმზე" 19.15 პერეკროსტოკი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 23.40 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"მილანი". 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 02.50 კურიერი. 03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 "დრო და ფული" 10.00 მხ. ფილმი "შუაღამის კაცი" 11.35 "ზოოპარკი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი "რვაფეხა" 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ლერერის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "უცნობის სიკვდილი" 17.00 სერიალი "ძილის წინ" 17.15 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.40 დოკ. სერიალი "ჩვენი სახლი" 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "და არს მუსიკა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი "რვაფეხა" 22.00 "დრო და ფული" 22.15 "სათავეებთან" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.00 მხ. ფილმი "ოჯახური მდგომარეობის გამო"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 08.00 "ტოროლა" 11.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით 13.45 მხ. ფილმი 17.00 "კომედია" მხ.ფ. "უკან დედამიწაზე" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "მო" 21.00 ევროპული ათეული 22.00 ჩაძიროგანა 23.00 მოკლე სეანის 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "კოდი უცნობია". მთ. როლებში ჯულიეტ ბინოში, ტიერი ნოევიკი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "არტეფაქტი". მთ. როლებში მაიკლ უესტონი, ალექსანდრა ჰოლდენი 03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 დოკ. ფილმი "ინგლისი" 21.30 ასპარეზი 22.10 ჰიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი "იმპერატორი და მკვლელი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25, 21.30 "სალონი" 14.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 მუსიკალური ტაიმაუტი 20.00 მსოფლიო სპორტი 23.00 სტუდია "ეკონომისტი" 00.15 მხ.ფ. "მკვდარი პოეტების საზოგადოება"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "კაფე - მამბო" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.15 ბურთი და მოედანი 10.25 დოკ. სერიალი 10.50 მხ.ფ. "ვიქტორ ფოგელი - რეკლამის მეფე" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "ქერათმიანი" 22.30 ძველი კინო "რომი" 00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "სათამაშო" 13.30 მხ. ფილმი "დათვი" 15.00 მხ.ფ. "ლამაზმანი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფ. "დიდიე" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ილბლიანი ჯენტლმენები" 22.30 მხ.ფ. "ურჩხული"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-11 სერია 09.45 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 63-ე სერია 10.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება" მე-16 სერია 11.15 მხ. ფილმი ბალეტი "გედების ტბა" 13.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 14.45 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" 15.15 მხ. ფილმი "სხვისი შვილები" 16.30 მხ. სერიალი "დაშნის დედოფალი" მე-15 ნაწილი 17.15, 22.00, 23.50 მუსიკა 17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-12 სერია 18.15 საგავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 64-ე სერია 18.45 "კინოდოკუმენტები - 1950-იანი წლების ქრონიკა" აკაკი გაჭრაძის კომენტარებით 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება" მე-17 სერია 20.00 "ევროპის სტადიონებზე" 21.10 "ტელეპროცესი - ნოე ჟორდანია" 22.10 მხ.ფ. "გაზა-2" მთ. როლში მარკ დეკესკოსი 00.20 მხ.ფ. "სიყვარული და რისხვა". მთ. როლებში ბრეტა სკაკი, დენიელ რეიკი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია "ნადირობის ნაციონალური თავისებურებანი" 11.05 ტელესერიალი "დედოფალი მარგო" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "ჩუმად, განებო" 13.55 თრილერი "გამოსასყიდი" 16.15 მულტფილმი "პეპი გრძელწინდა" 17.30 მხატვრული ფილმი "ანა კისერზე" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 კომედია "მშობლებთან ვიზიტი" 20.10 ქართული მხატვრული ფილმი "ჯიმ შუანთე" 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 "რა არ ხდება" 23.15 ტელესერიალი "დედოფალი მარგო" 9 სერია 01.00 მელოდრამა "პრეზიდენტი და მისი ქალი" 03.30 მელოდრამა "ზამთრის ალუბალი-2" 05.00 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.40 "აჩიკუდა" 10.05 ბედნიერი ერი 10.05 სახლიდან გაუსვლელად -საყოფაცხოვრებო ტექნიკა 10.50 ავტოტრეკინგი 11.35 სპორტული პროგრამა -"ევროპული ფეხბურთი" - ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) 12.15 ანიმაცია 12.35 სახლიდან გაუსვლელად -ავეჯი 12.50 "ბრძოლა წესების გარეშე" 13.15 სახლიდან გაუსვლელად -კომპიუტერული ტექნიკა 13.50 ბიორითმი 14.10 დისნეი და მისი მეგობრები 14.30 სახლიდან გაუსვლელად -აუდიო-ვიდეო ტელე 15.00 ამინდის პროგნოზი 15.05 ჰოროსკოპი 15.10 სპორტი 18.00 ანონსი 18.05 ამინდის პროგნოზი 18.10 პრესა 18.20 სახლიდან გაუსვლელად -საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 აჩიკუდა 19.40 სახლიდან გაუსვლელად -კომპიუტერული ტექნიკა 20.10 ფაქტი, აზრი, კომენტარი 20.20 სპორტული პროგრამა -"ევროპული ფეხბურთი" -ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 სახლიდან გაუსვლელად -ავეჯი 21.20 ღამის კაპრიზი 22.40 სახლიდან გაუსვლელად -აუდიო -ვიდეო -ტელე 23.05 კინოკლუბი -"რომის იმპერიის დაცემა", მე-2 სერია 00.35 პრესის მიმოხილვა 00.40 მელოდია. 01.10 სახლიდან გაუსვლელად - კომპიუტერული ტექნიკა 01.45 ბიორითმი 02.10 პრესის მიმოხილვა.

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 "Жди меня" 11.15 "НИЧТО НЕ ВЕЧНО" 1-я с. 12.15 Что да как 12.35 Дисней-клуб: "Переменка" 13.15 Детектив "НАПЕРЕГОНКИ СО СМЕРТЬЮ" 15.05, 23.40 х.ф."ВРЕМЯ ЛЮБИТЬ" 16.15 Док. Детектив "Исповедь приговоренного" 16.50, 22.35 "ДРОНГО" 18.00 "Большая стирка" 19.25 "Кумиры". Раиса Рязанова 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ". 21.00 Слабое звено 22.00 Время. 00.35 Док. Детектив "Тайная война агента Стенли" 01.00 Ночное "Время" 01.15 х.ф."ПЛАНКЕТТ И МАКЛЕЙН"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!". 09.45 "БРИГАДА". 10.50 "Два рояля". 11.50 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 ВЕСТИ. 12.20 "ЗАКОН" 13.25 Ток-шоу "Цена успеха". 14.30 "Колоссальное хозяйство". 14.45 ВЕСТИ-МОСКВА. 15.20 ВЕСТИ-СПОРТ. 15.25 "Что хочет женщина". 16.25 "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ" 17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 18.20 Теннис. Международный турнир "Кубок Кремля - 2002". 19.20, 21.35 МЕСТНОЕ ВРЕМЯ. ВЕСТИ-МОСКВА. 19.50 "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ". 20.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 "БРИГАДА". 23.05 "ЗАКОН". 00.35 "Олег Ефремов. Я говорю за всю среду...". Док.фильм. 01.35 х.ф. "ЗАКОННИК" 03.30 Дневник турнира по теннису "Кубок Кремля -2002". 04.00 "Дорожный патруль".

### НТВ

გთავაზობთ მიწის ნაკვეთს ვერაზე 300კვ.მ. ინდივიდუალური სახლის ასაშენებლად. (გარაჟი 20, მარანი 20; დიდი ოთახი 40; სამზარეულო 18; სამი საძინებელი 15-16-18; აუზით; ტერასით) საერთო ფართი 180კვ/მ. 1კვ/მ _ის ფასი 300 დოლარი, ეტაპობრივი გადახდა. ზანდუკელის 26. ტელ: 995215 8(99) 100641, დათო.

იყიდება ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტთან, "ფრანციასთან" 6300 კვ/მ მიწის ნაკვეთი. შესაძლებელია, აშენდეს 25000კვ/მ ოფისები და ბინები. შესაძლებელია ნახევრის ყიდვა ან ადგილზე ფართებით დაკმაყოფილება.
ტელ: 893 96 10 60 ან 23 33 06

იყიდება დელისთან მიწის ნაკვეთი 18000 კვ/მ. საწყისი ფასი განვადებით 500000. ერთი კაცის კერძო საკუთრება. მოგება რჩება 349 000. გირჩევთ!. იშვიათია! ტელ:
899 50 08 06 თავადი ირაკლი ჯანდიერი.
22 07 89 აზნაურიშვილი ირმა ორჯონიკიძე

იყიდება ან იცვლება ადგილზე ბინებში მიწის ნაკვეთები ფიქრის გორაზე. კუთხის 1500კვ/მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ყიფშიძეზე 4000 კვ/მ-ზე მეტი. მოთხოვნა 30 პროცენტიანი 90900 (განვადებით. შეიძლება 20 000კვ/მ.
ტელ: 23 33 06 ან 899 961060)

გთავაზობთ ნაკვეთებს ვერაზე ინდივიდუალური სახლების პროექტითა და მშენებლობით. ზანდუკელის 26. ტ: 99 52 15, 8(99) 100641

იყიდება ვაკის პარკთან, აბაშიძეზე ნაკვეთი 700კვ/მ. ფასი დაახლოებით 400 000, განვადებით და ფართებით. აქ აშენდება 11 სართული. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

სად. 29 83 54

იყიდება ნაკვეთი საბურთალოზე. 75 53 20 საღამოს

იყიდება გლდანში, თიანეთის გზატკეცილზე, ნაკვეთი 2600 კვ.მ., მსხმოიარე ხეხილით. არის წყალი, 3 ფ. დენი. პერსპექტიულია როგორც საცხოვრებლად, ასევე საწვავ-გასამართი, პოლიკლინიკისა და სხვა მშენებლობისათვის. კვ.მ. - 5 $. მე გადავუფორმებ. 57 15 77, 8(99) 14 73 24 ნუგზარი

სასწრაფოდ იყიდება 1 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი წყნეთში, რეალურ ფასში. 29 83 54

სასწრაფოდ იყიდება 1 200 კვ.მ. ნაკვეთი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის პირდაპირ. ს/ფასი 8 500. 30 90 16

იყიდება 1500 კვ.მ. საგარაკე ნაკვეთი კახეთის გზატკეცილიდან 30-ე კმ-ზე. შემოღობილი. ხეხილით, დენით, სარწყავი წყლით, სახლის ფუნდამენტით. ფასი 1200 $. 23 11 38 დალი

იყიდება 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნაძალადევის რაიონში. 61 80 31იყიდება 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გოგებაშვილის პირველი ჩიხის ბოლოში. ფასი 11 000. 38 31 35 ნინო

სასწრაფოდ იყიდება მიწის ნაკვეთი - 160 კვ.მ. დიდი დიღმის ტერიტორიაზე, მთავარი სამმართველოს უკან. კვ.მ. - 8-ად. 52 98 04

იყიდება 270 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 1-სართულიანი სახლით ანჩისხატის უბანში, ავლევის შესახვევში. 8(99) 23 59 13

სასწრაფოდ! იყიდება დიდი მიწის ნაკვეთი ბაგებში დიდებული ხედით. ს/ფართი 1600 კვ.მ. ოროთახიანი ბინით. ს/ფასი 57 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ! იყიდება 2600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დიღმის მასივში, პოლიციის სამმართველოსა და საბავშვო ბაღს შორის. შემოღობილი, ყოფილი საქვაბე ორსართულიანი შენობით. 1 კვ.მ. ფასი 35 დოლარი. 8(99) 51 58 54

### კომერციული ფართი

ქირავდება მაღაზია. ვარკეთილის 3, IV მკ/რ. 79 80 10

ვიქირავებ მაღაზიას ხალხმრავალ ადგილას. 52 64 46

იყიდება 500 კვ.მ. რესტორანი რუსთაველზე ყველანაირი აღჭურვილობით. 79 90 48

იყიდება ან ქირავდება 10 კვ.მ. მაღაზია ბაზრობაზე, სადგურთან, ახალაშენებულ ლურჯ კომპლექსში. თევდორე მღვდლის ქუჩაზე. 8500-ად. 33 32 97

ვიქირავებ მაღაზიას ხალხმრავალ ადგილას. 52 64 46

ქირავდება საოფისე ან სამაღაზიე ფართი ალმაშენებლის №146. 8(99) 56 21 46 ქეთი

ქირავდება საოფისე ფართი ევრორემონტით სულხან-საბაზე. 93 52 63

ქირავდება 2 ოთახი საოფისედ საბურთალოზე. ფასი 200. 37 59 44

## ბინები

### ქირა

ვიქირავებ 3 ან 4-ოთახიან გარემონტებულ ბინას ქალაქის ცენტრში. 15 000-დან 30 000-მდე. 92 39 68

ქირავდება 1 ოთახი იტალიურ ეზოში, თავისუფლებასთან ახლოს. 53 93 65

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა ევრორემონტით უცხოელებზე, ახვლედიანის №16 (ყოფილი პეროვსკაია), II სართული. 93 66 40

იყიდება კავსაძესთან, ჭავჭავაძის პროსპექტზე, BIG-Ben-თან სამაღაზიე ფართი 110კვ/მ. ფასი 73000. შეიძლება ნახევარი. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება ჭავჭავაძეზე "BARBI"-ს გვერდზე სამ ვიტრინიანი მაღაზია. ფასი 120 000. შესაძლებელია გაყოფა. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება რუსთაველის 1-ში, ოპერის გვერდით, სამი დიდი ვიტრინით მაღაზია. საწყისი ფასი 250 000. ტელ: 23 33 06 ან 899 961060

იყიდება მელიქიშვილზე სასტუმრო "საქართველოს" პირდაპირ 70კვ/მ ფართის მაღაზია. ფასი 60 000, ან 1/3 ფართ. ტელ: 23 33 07 ან 877 73 93 00

**ქირავდება**, ვერაზე, საოფისედ (კომერციული) 110კვ.მ. 3 ოთახიანი ბინა ლოჯით, ქიაჩელის ქ. 10, 1 სართულზე, იზოლირებული შესასვლელით.
**ტელ: 8(99) 518007, 94-0196**

ქირავდება კომფორტული 1 ოთახი 3-ოთახიანში დიასახლისთან ერთად სტუდენტ გოგონაზე. ვაჟა-ფშაველას III კვარტალში. 32 29 56

ქირავდება 3,5-ოთახიანი მრგვალ ბაღთან 350-ად. 30 33 20

ქირავდება 1-ოთახიანი ბინა მეტრო მარჯანიშვილთან. ფასი 50. 95 26 29, 95 53 35

ქირავდება 2-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ტაშკენტის ქუჩაზე 3(8) 170-ად. 72 35 20

ქირავდება 3-ოთახიანი ვერაზე. ძვირფასი რემონტით და ავეჯით. 350-ად. 53 52 55

ქირავდება 3,5-ოთახიანი ბინა უცხოელებზე ვერაზე. 500-ად. 30 33 20

ქირავდება 2,5-ოთახიანი ბინა, ახალი გარემონტებული. საბურთალოზე, იოსელიანის ქუჩაზე. 200-ად. 98 83 14

## მანქანები

იყიდება "რენო-19" 1990 წლის გამოშვება. ბენზინზე. 1 თვის ჩამოყვანილი, განბაჟებული. 2600-ად. 92 00 20

იყიდება "რენაუტ-9"-ის სათადარიგო ნაწილები. 8(99) 51 37 75

იყიდება მიკროავტობუსი "ფოლკსვაგენი" აირზე. ფასი 1200. 52 79 49

იყიდება მუქი მეწამული ფერის "ოპელ-ომეგა" 2.6. 1991 წლის. 2500-ად. 32 21 86

იყიდება "24-11" 1987 წლის გამოშვება. ფასი 800. 96 64 42

იყიდება LANCIA DEDRA 2.0 TURBO INTEGRALE. 1993 წლის გამოშვება. ძრავი 2.0 ტურბო. (ბენზინი). წითელი. ტყავის სალონი. გარბენი 82000 კმ. 4X4 კვადრო. 8(77) 44 13 40. ფასი 4000$.

## სწავლება

მოვამზადებ მათემატიკაში. 36 44 05, 39 17 34

სკოლის მოსწავლეებს შევასწავლი ინგლისურს საფუძვლიანად, შეღავათიან ფასებში, ბინაზე მისვლითაც. 96 04 31 შორენა.

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Exell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი

მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69, (899) 551504

მოვამზადებ ინგლისურში. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ ფრანგულში. 79 41 13

მოვამზადებ მათემატიკაში. 79 87 40

მოვამზადებ I-დან VI კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში გაკვეთილების ცხრილით. 30 04 83 ნათია

გიტარის სკოლა-სტუდია სასწავლებლად იწვევს ყველა ასაკის მსურველს. მეცადინეობა ინდივიდუალურია. 22 25 00

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 99 77 14 ლია

შევასწავლი გერმანულს უახლესი პროგრამით, აუდიოკასეტების გამოყენებით. მოვამზადებ აბიტურიენტებს, კვირაში 3 სთ. ფასი 40 $. 66 19 10, 23 24 17 ნანა

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკის მსურველს. შესაძლებელია ბინაზე მისვლა. 32 25 60, 8(99) 98 57 41

მოვამზადებ აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მათემატიკაში. აგრეთვე მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში ინგლისურის ჩათვლით. 32 59 62 ნათელა

ვამზადებ ყველა სახის უცხოური ავტომანქანის გვერდითა მინებს შეღავათიან ფასში, სწრაფად. მინების ჩასმა უფასოდ. 8(99) 10 35 64 გიორგი

მოვამზადებ ფრანგულში საფუძვლიანად. 63 37 77

გერმანისტი მოამზადებს გერმანულ ენაში ნებისმიერი ასაკის მსურველს ინდივიდუალურად. 79 28 44

ვასწავლი ინგლისურს. 34 76 83

შევასწავლი ინგლისურს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. 70 79 70

მოვამზადებ მათემატიკაში ან ფიზიკაში ნებისმიერ მსურველს ინდივიდუალურად. 22 43 68

ვამზადებ მოსწავლეებს მუსიკაში. 72 07 02

მოვამზადებ ყოველდღიურად სკოლის მოსწავლეებს ყველა საგანში ბინაზე მისვლით. 74 56 44

ინგლისური ენის პედაგოგი, თარჯიმანი სინქრონისტი შეასწავლის ინგლისურს ბინაზე მისვლითაც. 22 06 22

მოვამზადებ ყველა საგანში I და V კლასის მოსწავლეებს ინგლისურის ჩათვლით. 34 42 78

მოვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ქიმიაში. 34 42 78

მაღალკვალიფიციური კოსმეტოლოგი შეგასწავლით კოსმეტოლოგიას ინდივიდუალურად. 72 44 33

მოვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში და ფიზიკაში. 30 81 42

მოვამზადებ ინგლისურში კვირაში სამჯერ. თვეში 15 ლარი. 72 28 57

მოვამზადებ მოსწავლეებს მათემატიკაში და ფიზიკაში. 93 86 11

მოვამზადებ მე-8 კლასამდე მოსწავლეებს ყველა საგანში. მაღალი კლასის მოსწავლეებს მათემატიკაში. 52 61 23

მოვამზადებ რუსულში. 30 39 36

მოვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგიაში, შეღავათიან ფასში. 52 51 06

ვამზადებ გერმანულში და ფრანგულში. 33 12 05

ვამზადებ აბიტურიენტებს გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში ინდივიდუალურად. სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამებით. 93 88 22, 99 08 31

ვამზადებ იტალიურ კერძებს. ვიმუშავებ უცხოელებთან. 79 65 33

საკუთარი "06"-ით მოვემსახურები კერძო პირებს, ორგანიზაციებს. 32 51 67




## სხვადასხვა

იყიდება ხისგან დამზადებული უხმარი და რიკულებიანი ახალშობილის საწოლი-სარწეველა ("ლულკა") ლეიბის გარეშე. ფასი 60 ლარი. 77 15 74 ინგა

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

იყიდება ნოუთბუქი ინტელპენტიუმ-3. ახალი. CD-ROOM და DVD-ROOM-ებით. 1500-ად. 92 00 20, 99 77 33

ვიმუშავებ ძიძად ან ოჯახში დამხმარედ. 60 84 34

იყიდება ახალი ჩეხური ბროლის ჭაღი. ფასი 220. 39 35 80

პროფესიონალი ბუღალტერი იმუშავებს ბუღალტრად მაღალი ანაზღაურებით. 53 57 95

იყიდება ახალი მობილური "სიმენსი-35 M". უანტენო, თავისი დამტენით, ყუთით და პასპორტით 100-ად. 71 96 96

კონსერვატორიადამთავრებული კლასიკური გიტარის პედაგოგი შეასწავლის გიტარაზე დაკვრას. 37 53 90, 8(77) 40 84 04, 32 29 91

იყიდება ფიჭვის მასალა და ხის კარები. 93 66 40

იყიდება ვიდეო-კამერა "პანასონიკი-3500" საუკეთესო მდგომარეობაში, დიდკასეტიანი. 57 25 24, 8(99) 97 25 24

იყიდება ანტიკვარული ყავისფერი პიანინო "მენზელი". 22 59 55

იყიდება გერმანული, მუქი ყავისფერი "ვიტრინა". 22 59 55

იყიდება ჩეხური პიანინო "პეტროფი" კარგ მდგომარეობაში. 8(99) 50 02 43 მარინა.

იყიდება გერმანული ხალიჩები (ნოხები) იაფად. ზომებით: 2X4 მ და 2X3 მ. 22 25 00

ვარ 36 წლის ქალბატონი. ვიმუშავებ ოჯახში დამხმარედ ან ძიძად. 79 21 41 ნანა

ვეძებ სამსახურს განათლების სისტემაში: სკოლა-ლიცეუმი, კერძო სკოლები. ვარ უმაღლესი განათლებით. ფილოლოგი. 99 77 14 ლია

იყიდება ბავშვის ხის საწოლი-სარწეველა, შეკვეთით დამზადებული, ახალი. 77 66 94 მარინა

ვარ 33 წლის, უმაღლესი განათლებით. სასიამოვნო გარეგნობის, საშუალო სიმაღლის. ვიმუშავებ მაღალი ანაზღაურებით ოჯახში დამხმარედ, გამყიდველად, მოლარედ და სხვ. 8(99) 23 80 03 მანანა

იყიდება"SAMSUNG"-ის 105 მმ. ახალი ფოტოაპარატი. 300 ლ. 69 76 37 გია (საღამოს).

იყიდება რუმინული ავეჯი "710"-ის გორკა და დესაო. 53 53 16

ვთარგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს ინგლისურიდან რუსულად და ქართულად და პირიქით. 337848

ქირავდება 1200 ტონის ტევადობის ნავთობ-ბაზა. 383135. ნინო

ვიმუშავებ ნებისმიერ მაღაზიაში სურსათის გარდა. 94 08 66

იყიდება ხის მაგიდა და ტელევიზორის დასადგამი. მაგიდა კარგ მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმებით. მეტრო "300 არაგველი", I დოლაბაურის ქ. №1.




სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პრიზიორ“. ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის საბოლოოში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პრიზიორ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კუპონი
ბინები, ავტომობილები, სხვადასხვა, ვაკანსია, მომსახურება, სწავლა, გაქირავება
27.09.02 N-116



ფეხბურთი

# ომის წლებში ხორვატიის ელჩები სპორტსმენები იყვნენ



შუშაკი და მარკოვიჩი. ზაგრები. 1978წ.



ნესტორ მუმლაძე და შუშაკი

B1 გვერდიდან

### ადაპტაცია

"აქ რომ მოვდიოდი, საქართველოზე წარმოდგენაც არ მქონდა. რა თქმა უნდა, ვიცოდი თბილისის "დინამო", რომელიც მდიდარი ტრადიციების გუნდია და ევროპაშიც კარგად იცნობენ, მაგრამ როგორც თქვენ ხორვატიც, ბოსნიელიც და სერბიც იუგოსლავიელი გეგონათ, ჩვენთვისაც ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთი იყო. აქაურობასთან შეგუება ნამდვილად არ გამჭირვებია. ისეთი პროფესია მაქვს, რომ ხშირად მიწევს ქვეყნების გამოცვლა და ადაპტაციაც არ მიჭირს.

ძირითად დროს "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე ვატარებ. ხშირად ღამითაც იქ ვრჩები. ფეხბურთისგან თავისუფალ დროს მიყვარს კითხვა, თეატრი. საღამოობით, "დინამოს" სხვა წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის რომელიმე რესტორანში ვვახშმობ. ალკოჰოლიდან მხოლოდ თეთრ ღვინოს ვსვამ. რამ განმაცვიფრა საქართველოში? მაგალითად, დღემდე ვერ ვხვდები, რატომ იჩაგრებიან თბილისში ფეხით მოსიარულენი. მათ არავითარი უფლებები არა აქვთ. ის ქაოსი, რომელიც თბილისის ქუჩებშია შექმნილი, ევროპელისთვის წარმოუდგენელია. ქართულ სუფრასაც ვერაფერი გავუგე. რა საჭიროა ერთბაშად ამდენი კერძი და შემდეგ კიდევ და კიდევ ახალი კერძების შემომატება?"

### ომი და სპორტი

"ქართველებსა და ხორვატებს ბევრი საერთო აქვთ. ორივე ქვეყნის ტერიტორია და მოსახლეობა, დაახლოებით, თანაბარია. არც ხორვატიას სურდა სხვა ქვეყნის – იუგოსლავიის შემადგენლობაში ცხოვრება და საქართველოც იბრძოდა რუსეთის იმპერიიდან თავის დასახსნელად. განმათავისუფლებელ მოძრაობას ორივე ქვეყანაში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. 1991 წელს ხორვატიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და სერიოზულ სეპარატისტულ ძალას დაუპირისპირდა. ქვეყნის ხელისუფლება საკუთარი ტერიტორიის მესამედს ვერ აკონტროლებდა. დაიწყო ომი, რომელიც 1995 წლამდე გაგრძელდა. საბოლოო შტურმით ქვეყნის მთელი ტერიტორია გათავისუფლდა სეპარატისტებისგან და ხორვატიამ სტაბილური, ევროპული დონის სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო.

ომის დროს სპორტისთვის ნაკლებად გვეცალა, მაგრამ სპორტული ცხოვრება მთლიანად არ შეგვიწყვეტია. იმართებოდა ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში, ტურნირები სპორტის სხვა სახეობებში. რაც მთავარია, ქვეყნის ხელისუფლებამ სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო: ომის წლებში სპორტის განვითარებაზე გააკეთა აქცენტი. მთავრობამ ხელი შეუწყო სპორტს და შესაბამისი უკუგებაც მიიღო. დრაჟენ პეტროვიჩი, გორან ივანიშევიჩი, ხორვატიის საფეხბურთო ნაკრების ფეხბურთელები ის სახელებია, რომლებიც მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ომის წლებში თავის ელჩებად დანარჩენ მსოფლიოში ხორვატიამ პოლიტიკოსები კი არა, ეს სპორტსმენები აირჩია და არც შეცდა. ჩემი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის შექმნაში სწორედ ამ სპორტსმენებმა შეიტანეს მთავარი წვლილი და არა პოლიტიკოსებმა."

### ხორვატიული ფეხბურთი

"ჩვენი ფეხბურთის პროგრესი ომის წლებში ხორვატიიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კლუბებში სათამაშოდ წასული ფეხბურთელების დამსახურებაა. როდესაც უეფა-მ იზოლაცია მოგვიხსნა და ჩვენს ნაკრებს ამხანაგურ თუ ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობის ნება დართო, ხორვატია ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. პრემიებზე რომ არაფერი ვთქვა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ლეგიონერთა მგზავრობის დაფინანსებაც უჭირდა. ეს არც გახდა საჭირო. ყველა ხორვატმა ფეხბურთელმა უდიდეს პატივად ჩათვალა თავისი ქვეყნის ნაკრებში მიწვევა და მათ ყოველგვარი პრემიების გარეშე ითამაშეს ხორვატიისთვის. მგზავრობის ხარჯებსაც საკუთარი ჯიბიდან ფარავდნენ.

ასეთმა პატრიოტულმა დამოკიდებულებამ, რასაც თან ერთოდა ფეხბურთელთა მაღალი კლასი, შედეგი გამოიღო. უკვე 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრები წარმატებით გამოვიდა - ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირი დაძლია და მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან, გერმანიის ნაკრებთან დამარცხდა. უკვე ამ შედეგის წყალობით, გაორმაგდა ხორვატი ფეხბურთელების სატრანსფერო ფასი, რომლებიც ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობდნენ. ეს დამატებითი სტიმული იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ. უკვე მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრები "აფეთქდა" და მესამე ადგილი დაიკავა.

### წარმატების ფორმულა

"იმისთვის, რომ გუნდმა ხელშესახებ წარმატებას მიაღწიოს, უნდა მოხდეს რამდენიმე მთავარი კომპონენტის თანხვედრა.

1. გუნდში შეკრებილი უნდა იყვნენ მაღალი კლასის ფეხბურთელები, რომელთა შორის რამდენიმე ექსტრაკლასის, რომელსაც შეეძლება, მარტომ გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

2. გუნდს უნდა ჰყავდეს მაღალი კლასის მწვრთნელი.

3. გუნდი უნდა იყოს შეკრული ერთ მუშტად, რომელიც ნებისმიერი სისქის კედელს გაანგრევს. მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭი იქნება, თუ ერთი სუბიექტური ფაქტორი – იღბალი არ წაგეხმარება. ხორვატიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე საერთოდ ვერ მოხვდებოდა და, შესაბამისად, მესამე ადგილსაც ვერ დაიკავებდა, შესარჩევ ტურნირში, დანიის ნაკრებთან მატჩში, შუკერს შემთხვევითი გოლი რომ არ გაეტანა. ის მატჩი ხორვატიამ 1:3 წააგო, მაგრამ იმ გოლმა მეორე ადგილზე გაგვიყვანა. მერე უკრაინას შევხვდით და აქაც იღბალი წაგვეხმარა."

### საქართველოს ნაკრები

"ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელები საკმაოდ გყავთ. ბევრი ქართველი ევროპის კარგ კლუბებში თამაშობს. ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს. მე საქართველოს ნაკრების მონაწილეობით ორი თამაში ვნახე. პირველად, როცა ქართველები თურქეთის ნაკრებს ეთამაშნენ, მეორედ –შვეიცარიის ნაკრებთან. ამ მატჩებმა დამარწმუნა, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა თამაში იციან, მაგრამ მათ აგრესია, საფეხბურთო ფანატიზმი და ეროვნული თვითშეგნება, გნებავთ, პატრიოტიზმი, აკლიათ. ფორტუნაც არ აღმოჩნდა თქვენი ნაკრების მიმართ კეთილგანწყობილი. თუმცა, საქართველოს ნაკრებს ჯერ ყველაფერი წინა აქვს. საქართველო ძლიერ ჯგუფში მოხვდა. მართალია, პირველ მატჩში დიდი ანგარიშით დამარცხდა, მაგრამ ეს ტრაგედია არ არის. ჯგუფური ტურნირი, როცა თითოეულ მეტოქესთან ორ მატჩს ატარებ, მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას იძლევა. რუსეთს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ საქართველოს ნაკრებს აქვს პოტენციალი, რომ დაამარცხოს. თანამედროვე ფეხბურთში აბსოლუტური ფავორიტი არ არსებობს".

### რას შეცვლიდა შუშაკი საქართველოს ნაკრებში

"საქართველოში ყველას ფეხბურთის სპეციალისტი ჰგონია თავი, რომ ჰკითხო საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელობას 5-დან 3 მილიონი ქართველი შეძლებს. შეიძლება ჩემი პასუხი არ მოგეწონოთ, მაგრამ გეტყვით. რუსეთთან მატჩამდე ძალიან ცოტა დროა დარჩენილი, რომ ნაკრებში რევოლუციური ცვლილებები განხორციელდეს. მე რევოლუციის წინააღმდეგი ვარ, ევოლუციას ვემხრობი. სანამ რამეს გააკეთებ, ჯერ კონკრეტული მიზანი უნდა დაისახო. რაც მთავარია, ეს მიზანი უნდა იყოს ობიექტური, ანუ ისეთი, რომლსაც სუბიექტური ხელშეწყობის გარეშე მიაღწევ. მე ვფიქრობ, რომ რუსეთის ნაკრების დამარცხება სავსებით ობიექტური მიზანია. შვეიცარიასთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიღმა დარჩენის საფრთხის ქვეშ დადგა. ეს საფრთხე, გნებავთ, შიში, დამატებითი სტიმული უნდა გახდეს თითოეული ქართველი ფეხბურთელისთვის. ხშირად მომხდარა, რომ ნაკლებად მომზადებულ გუნდს, თამაშისას გამოჩენილი თავდადებისა და საფეხბურთო ფანატიზმის წყალობით, გაცილებით უკეთ მომზადებული გუნდი დაუმარცხებია. 40 წლის წინ თამაშობდნენ ისინი, ვინც იცოდა თამაში. დღეს თამაშობს ის, ვისაც შეუძლია თამაში. საქართველოს ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა საკუთარ თავს უნდა ჩააგონოს ის, რომ "მან იცის", "მას შეუძლია" და "მას უნდა". ეს ერთგვარი ავტოტრენინგია, რაშიც ფეხბურთელს, საკუთარი თავის გარდა, ვერავინ დაეხმარება."

### სპონსორი

"მიმაჩნია, რომ რვა თვის განმავლობაში "დინამოში" ნაყოფიერი მუშაობა ჩავატარე, მაგრამ მარტო ვერაფერს გავხდებოდი, გუნდში საქმისადმი სერიოზულად განწყობილი პროფესიონალები რომ არ დამხვედროდნენ. თუმცა, ჩვენი ერთობლივი გარჯაც ფუჭი იქნებოდა, გუნდის მთავარი სპონსორი, ბატონი ბადრი პატარკაციშვილი რომ არ გვედგას მხარში, რისთვისაც, მთელი გუნდის სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო."

### ობიექტური მიზანი

"უეფა-ს თასზე ჩვენი მეტოქე, "სლოვანი", რეიტინგით, თამაშის ხარისხით და გამოცდილებით დღეს ჩვენზე მაღლა დგას. თანამედროვე ფეხბურთში უმაღლესი დონის გუნდები ხშირად მარცხდებიან კლასით გაცილებით დაბალი დონის გუნდებთან. ლიბერეცში თამაშით ჩვენ დავამტკიცეთ, რომ "სლოვანის" დაჭრა შეგვიძლია. იცით, როდის "ცხვება" სენსაციები ფეხბურთში? არის დღე, როდესაც მაღალი კლასის გუნდს თამაში არ "წაუვა", მოედანზე არაფერი გამოსდის. ასევე, არის დღე, როდესაც შედარებით სუსტად მიჩნეული გუნდი ყველაფერს კარგად აკეთებს, ბრწყინვალედ თამაშობს. თუ ეს ორი დღე თანხვდება ერთმანეთს, სენსაციაც შედგება. ჩვენ ცდას არ დავაკლებთ, რომ 3 ოქტომბერი სწორედ ასეთ დღედ იქცეს."

კალათბურთი

# სეზონი დადიანის მემორიალით გაიხსნა



"აზოტი"-თსუ-ს შეხვედრის ეპიზოდი

დიმიტრი ობოლაძე

გუშინ ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო სასახლეში დუდუ დადიანის მემორიალით გაიხსნა 2002-03 წლის საკალათბურთო სეზონი. ასპარეზობა, კალათბურთის ფედერაციისა და გაზეთ "ოლიმპის" თაოსნობით, პირველად ტარდება და ტრადიციული გახდება. მემორიალში საქართველოს შარშანდელი პირველობის ექვსი საუკეთესო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. "აზოტისა" და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების მატჩს წინ უძღოდა გახსნის ცერემონია. ორგანიზატორებმა გაიხსენეს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დუდუ დადიანი (მისი მკვლელობა დღესაც გაუხსნელია).

პირველად მოედანზე გავიდნენ რუსთავის "აზოტი" და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. სტუდენტთა რიგებში გამოჩნდა ეროვნული ნაკრების კანდიდატი ალეკო ორმოცაძე. იგი ხშირად იცვლის გუნდებს და სხვადასხვა კლუბის შემადგენლობაში ყველა ეროვნული ჩემპიონატი აქვს მოგებული. ამჯერად იგი შეეცდება, სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ერთად მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული. პირველი მატჩი დაძაბული გამოდგა. თავიდან სტუდენტები აქტიურობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც. თუმცა, შემდეგ "აზოტმა" გარდატეხა შეიტანა თამაშში. ყველაფერი შეხვედრის მეოთხე მეოთხედის უკანასკნელ სამ წამში გადაწყდა. სტუდენტები ორ ქულას იგებდნენ. რუსთაველებმა დროის ამ მონაკვეთში გამარჯვება მოახერხეს. გადამწყვეტი ბურთი ახალგაზრდა ლიპარტელიანმა ჩააგდო.

ჩემპიონატის ფავორიტმა, ლევან მოსეშვილის "დინამომ" დამაჯერებლად დაამარცხა თბილისის "მაკაბი".

მორიგი მატჩები დღეს გაიმართება. 14 საათზე სტუ-ჯეოსელი "მაკაბის" შეხვდება. 16 საათზე ტურნირში ჩაებმება შარშანდელი ჩემპიონი ბათუმის "ბასკო" - იგი რუსთაველებს შეხვდება.

## მოკლედ

**კრივი.** კრივის სამყაროში კარგად ცნობილი გვარის წარმომადგენლები, ძმები ვლადიმირ და ვიტალი კლიჩკოები საკუთარ საქმიონობას გაჭირვებულთა დასახმარებლადაც გამოიყენებენ. ისინი მზად არიან გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურულ ორგანიზაციასთან (იუნესკო) თანამშრომლობისთვის. ვლადიმირი, რომელიც WBO-ს (ორგანიზაციის) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონია მძიმე წონაში, ძმასთან, ამავე ტიტულის ყოფილ ჩემპიონთან, ვიტალისთან ერთად, იუნესკოს საგანგებო ელჩს უტე ოჰოვენს 87 ქვეყანაში 180 პროექტის განხორციელებაში დაეხმარება.

"ჩვენ განვახორციელებთ სპეციალურ პროექტებსა და ღონისძიებებს, რომლებიც იუნესკოს მხარდაჭერისკენ იქნება მიმართული. გვსურს, დავეხმაროთ განვითარებადი ქვეყნის ბავშვებს. ასეთები კი საკმაოდ არიან აფრიკაში, აზიაში, სამხრეთ ამერიკაში", – განაცხადა ვლადიმირმა.

ძმას კვერს უკრავს ვიტალიც: "იუნესკო ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. ამასთან, იმდენად კარგი იმიჯი აქვს, რომ არ შეგვეძლო, მხარი არ აგვება. მჯერა, ბევრი მიმბაძველი გამოგვიჩნდება".

**ძიუდო.** ძიუდოს საერთაშორისო ტურნირებს კიდევ ერთი შეემატა. საიუნაუგურაციო მასტერსის მსოფლიო გათამაშებას რუმინეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. ტურნირი, რომელსაც სოლიდური საპრიზო ფონდი აქვს (500 ათასი დოლარი), ნოემბერში გაიმართება. გუშინ ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ევროპის ძიუდოს ფედერაციის ერთ-ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

"რუმინეთი 2000-2004 წლის ოლიმპიურ თამაშებს შორის ყველაზე მნიშვნელოვან ასპარეზობას - მასტერსის მსოფლიო გათამაშებას უმასპინძლებს. შეჯიბრება ბუქარესტში 29-30 ნოემბერს ჩატარდება," – განაცხადა ევროპის ძიუდოს კავშირის ხელმძღვანელმა მარიუს ვიზერმა. მისივე თქმით, ამ ასპარეზობის გამართვის პატივს რუმინეთის დედაქალაქს პარიზი, რიო-დე-ჟანეირო და ტოკიო ეცილებოდნენ.

**ველოსპორტი.** "ასოშიეიტედ პრესის" ცნობით, იან ულრიხმა გადაწყვიტა, გუნდ "ტელეკომთან" კონტრაქტი გააუქმოს. ველომრბოლისა და "ტელეკომის" ურთიერთობა მას შემდეგ გაფუჭდა, რაც გერმანელ სპორტსმენს, დოპინგის ხმარების გამო, ნახევარი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

"გადავწყვიტე, ყველაფერი თავიდან დავიწყო. საკუთარი შესაძლებლობები არ ამომიწურავს", – ამბობს ულრიხი, რომლის კონტრაქტიც "ტელეკომთან" 2003 წელს იწურება.

**ცურვა.** ეგვიპტეში მიმდინარე ღია წყლის მეორე მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღეს დაძაბულობა შეჯიბრების ბოლო წამებამდე გრძელდებოდა. 5 კილომეტრისგან განსხვავებით, 10 კმ-ზე ცურვაში იტალიელებმა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ვეღარ დაიკავეს, მაგრამ არც მთლად უმედლოდ დარჩენილან. შარმ ელ შეიხის სანაპიროზე იტალიელმა ვიოლა ვალიმ ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა (1.56:42,28 საათი). ჩემპიონობა კი, თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში პირველად, იზეიმა გერმანელმა ბრიტა კამრაუმ (1.56:42,25). შარშან საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანელს მეექვსე შედეგი ჰქონდა, მარათონული ცურვის 2001 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში კი მეორე იყო. რაც შეეხება ეგვიპტეში მიმდინარე ასპარეზობას, პირველ-მეორე ადგილების ბედი წამის მეასედებმა გადაწყვიტა, თუმცა, ჩვეულებრივ, ასეთი რამ საააუზო შეჯიბრებებისთვის არის დამახასიათებელი. გერმანელმა იტალიელს სამი მეასედი წამით მოუგო. ამ მხრივ ნაკლებ პრეტენზიული შედეგი ჰქონდა კამრაუს თანაგუნდელს, ანგელა მაურერს. ბრინჯაოს მედალოსანი მათ შვიდი წამით ჩამორჩა (1.56:49). ჰოლანდიელმა ედიტ ვან დიიკმა, რომელიც შეჯიბრების პირველ დღეს 5 კილომეტრზე ცურვაში მეორე იყო, ამჯერად მეოთხე ადგილი დაიკავა.

ვაჟებში, იმავე დისციპლინაში, პრიზიორთა ვინაობა წამის მეასედებს აღარ გაურკვევია. რუსმა ევგენი კოშკაროვმა უახლოეს მდევარს, იტალიელ სიმონე ერკოლის ოთხი წამით აჯობა (1.49:30). კამრაუს მსგავსად, ისიც პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ერკოლის შედეგი 1 საათი, 49 წუთი და 34 წამია. როგორც ქალ მოცურავეებში, მესამე ადგილზე გასული აქაც ჩემპიონის თანამემამულეა. ვლადიმირ დიატჩინი მეორე ადგილზე გასულს ერთი წამით ჩამორჩა (1.49:35).

# თორნიკე რუხაძის თასი „ავაზამ" მოიგო

დიმიტრი ობოლაძე

ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური მზადების ცენტრისა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლა "ავაზას" მოედანზე დასრულდა თორნიკე რუხაძის სახელობის თასის გათამაშება 1993 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდებს შორის. ტურნირში მონაწილე 10 გუნდი ორ ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. სხვებზე უკეთ იასპარეზეს მასპინძელი სკოლის - "ავაზას" პირველმა და მეორე გუნდებმა. ფინალშიც სწორედ ისინი გავიდნენ. გადამწყვეტ მატჩში აშკარა იყო პირველი გუნდის უპირატესობა. ალექსანდრე ზუკაკიშვილის გუნდმა 5:1 დაამარცხა მეტოქე და ტურნირის ჩემპიონი გახდა. ავაზელებს გადაეცათ მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძის მიერ დამზადებული



თამაშობენ პატარები

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გარდამავალი თასი. მესამე ადგილისთვის შეხვედრაში "დინამომ" 3:0 დაამარცხა "ლოკომოტივი". დაწესებული იყო უამრავი პრიზი და ფასიანი საჩუქარი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დინამოელ ვანო ხაბელაშვილს გადასცა ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელის პრიზი. კომპანია "კოკა-კოლამ" დააჯილდოვა საუკეთესო თავდამსხმელად აღიარებული "ავაზას" წევრი გოგი ვალნერი. ტურნირში აშკარად გამოირჩეოდა ორი მეკარე. საუკეთესოებად დაასახელეს მასპინძელთა გოლკიპერი ლევან ტყეშელაშვილი და დინამოელი ლევან ნიკოლაიშვილი. საუკეთესო ბომბარდირი გახდა "ავაზას" ლიდერი მერაბ გიგაური (14 გოლი). საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი დაიმსახურა მისმა თანაგუნდელმა ჯუბა ხოჯაშვილმა. მაყურებლის სიმპათია გახდა ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილე ლუკა დოდელია. ეს პრიზი დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციამ დააწესა. ფინალურ შეხვედრას დაესწრო თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი.

# წარსულის ნოსტალგია ციფრულ დისკებში

სალამო-ნოსტალგია – ასე შეიძლება შევაფასოთ ღონისძიება, რომელიც ორიოდე დღის წინ, ჰოლივუდში, "პარამაუნტის" სტუდიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. ერთად შეკრებილი ვარსკვლავები ძველი ფილმების DVD-ზე (ციფრული ვიდეო-დისკი) გამოსვლას აღნიშნავდნენ. საუბარია 60-70-იანი წლების ფილმების, რომელთაც, ფაქტობრივად, იმ პერიოდის მასკულტურა განსაზღვრეს. Grease, Saturday Night Fever, Flashdance, A Hard Day's Night – აი, იმ ძველი ბლოკბასტერების მცირე ჩამონათვალი, რომელთაც ამიერიდან მაყურებელი, ციფრული ტექნიკის საშუალებით, სულ ახლებურად აღიქვამს.

ბევრს, შესაძლოა, ჰოლივუდის ეს წამოწყება უსარგებლოდ ეჩვენოს. თუმცა, ეპოქაში, რომელშიც ყველაფერი ციფრულ ტექნოლოგიებზე იგება, უკვე ერთგვარ პრაქტიკად დამკვიდრდა ძველი, კლასიკადქცეული ფილმების ციფრულ ვიდეო-დისკებზე გადატანა. მათი შემწეობით, მაყურებელს საშუალება ეძლევა, ახალგაზრდობის წლებში ისე გადასახლდეს, რომ თანამედროვეობასთან კონტაქტი არ გაწყვიტოს: უყუროს 70-იანი წლების ჰიტებს განახლებული საუნდით, გამოსახულებით და, რაც მთავარია, 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი კომფორტით – ციფრული ვიდეო-დისკი ხომ, უმაღლეს ხარისხთან ერთად, პირველ რიგში, საოცარ კომფორტს გვპირდება.

"პარამაუნტის" სტუდიაში შეკრებილი ვარსკვლავები სწორედ ამ ფაქტს აღნიშნავდნენ. მათ ციფრულ აწმყოს დროებით ავიწყებდა ჯონ ტრავოლტა და ოლივია ნიუტონ-ჯონი. ამ დუეტს ერთად 1982 წლის შემდეგ აღარ უმღერია. ამიტომ საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ბლოკბასტერი მიუზიკლის ვეტერან ვარსკვლავებს, რომელთაც შეასრულეს ყველაზე განთქმული სიმღერები Grease-დან. ბუნებრივია, ტრავოლტასა და ნიუტონ-ჯონს ძველი ხიბლი აკლდათ, თუმცა, მათი სცენაზე ასვლა ნოსტალგიური გრძნობების აღსაძვრელად მაინც საკმარისი აღმოჩნდა.

Grease-ის ციფრული ვიდეოდისკი აშშ-ში 20 დოლარი ეღირება.



ოლივია ნიუტონ-ჯონი და ჯონ ტრავოლტა REUTERS

მას თან ახლავს სიმღერების წიგნი და დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ოთხი წლის წინ, მიუზიკლის ოცი წლის იუბილესთვის მომზადდა.

ჰოლივუდში ბითლომანებისთვისაც იზრუნეს. "მირამაქსის" ციფრული A Hard Day's Night ორდისკიანი იქნება და 30 დოლარი ეღირება. აღასნიშნავია, რომ მიუზიკლზე, რომელიც 1964 წელს ზუსტად 16 კვირაში შეიქმნა, ახლა სპეციალისტები ორ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ. მათ ორიგინალი, 35 მილიმეტრიანი ნეგატივი ციფრულ დისკზე გადაიტანეს, აღადგინეს ფილმის თანმხლები მუსიკა.

"მირამაქსმა" პროდიუსერობა "ბითლზის" ისტორიკოსს, მარტინ ლუისს მიანდო და თან ფილმის ციფრული დამატების მოსამზადებლად სრული თავისუფლებაც მისცა. ლუისმაც ძალები არ დაიშურა და ფანტასტიკური DVD შექმნა. "ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ თუ გამიჩნდებოდა. მგონი, "მირამაქსს" არც ეგონა, რომ ასეთი "ბითლომანი" ვიყავი. რამდენი DVD გინახავთ, რომელშიც 30 დამოუკიდებელი ინტერვიუა შესული? შეჩერება ჩემს ძალებს აღემატებოდა", - ჰყვება პროდიუსერი.

მართლაც A Hard Day's Night-ის ციფრულ ვერსიას თან ახლავს ინტერვიუები: რეჟისორ რიჩარდ ლესტერთან, ჯგუფის პროდიუსერ ჯორჯ მარტინთან (რომელიც განიხილავს ფილმში შესულ თითოეულ სიმღერას), პროდიუსერ უოლტერ შენსონთან, "ბითლზის" მეგობარ კლაუს ვურმანთან, მსახიობებთან: ჯონ ჯანკინთან, დევიდ ჯენსონთან, ჯერემი ლოიდთან და კენეთ ჰეისთან. ასევე იმ სტილისტებთან, მკერავებთან და ფოტოგრაფებთან, რომლებიც 1964 წელს ფილმის შექმნაზე მუშაობდნენ. მეტიც, ლუისმა მიაგნო მსახიობ აისლა ბლერსაც – ის იმ გოგონას როლს ასრულებდა, რომელიც შემთხვევით პოლ მაკარტნის გადაეყრება, მაგრამ ეს ეპიზოდი ფილმის საბოლოო ვერსიიდან ამოიღეს. თავისი შთაბეჭდილებების შესახებ აისლა ბლერს აქამდე არავისთან უსაუბრია. ამიტომ ლუისი მასთან ჩაწერილ ინტერვიუს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

მისივე თქმით, ფილმის ციფრული ვერსია საჩუქარია არა მხოლოდ 60-იანელი ბითლომანებისთვის, არამედ ახალგაზრდებისთვისაც. "დღეს "ბითლზის" ჩანაწერებს 25 წლის და მათზე უმცროსი ახალგაზრდები ყიდულობენ. ანუ, საქმე არ გვაქვს ძველი დროის ნოსტალგიასთან. უბრალოდ, ისინი იხიბლებიან იმ თავისუფალი სულითა და ენერგიით, რომელიც ფილმში იგრძნობა. ასე რომ, 60-იანი წლები არაფერ შუაშია. მთავარია სიცოცხლის სურვილი და ვნება, რომელიც ფილმის განმსაზღვრელი ემოციაა. სწორედ ამიტომ უძლებს დროს A Hard Day's Night-ი. მისი გამოშვება ყოველთვის დროული იქნება", - განმარტავს ლუისი.

ზემოთხსენებული მიუზიკლების გარდა, გამოვიდა კიდევ ერთი DVD – ოსკაროსანი "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა". ციფრულ ვერსიაში შესულია დოკუმენტური ფილმი გადაღებების შესახებ, ფილმიდან ამოჭრილი რამდენიმე მშვენიერი და სრულიად უცნობი სცენა და რეჟისორი მილოშ ფორმანისა და პროდიუსერ მაიკლ დუგლასის ძალზე საინტერესო კომენტარები.

ერთი სიტყვით, ჰოლივუდმა წარსულის წინაშე ვალი მოიხადა. ძველი მასკულტურის განმსაზღვრელი ბლოკბასტერები ციფრულ მომავალში უკვე უკვდავყვეს.

## სკანდინავიური კროსვორდი



## TV პროგრამა 27 სექტემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 ვის უნდა ოცი ათასი
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "ოცნების კოშკები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 დრაკონთა მომთვინიერებელნი
18.55 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "გაიღვიძე"
02.10 მხ.ფილმი "ბლეიდი"
04.10 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
10.00 მხ. ფილმი "ამელი მონმარტრიდან"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 სერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "მხოლოდ კლასიკა"
15.15 მხ. ფილმი "მშვენიერი უტვინო ქალი"
17.05 50-50
17.40 დოკ. სერ. "გემრიელად მიირთვით ბავშვებო"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "ენა დედაა ერისა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "შეხვედრები ფიქრის გორაზე"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "დაუდეგარნი"
02.00 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრ. "ტოროლა"
11.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
14.00 მხ. ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "ერთი ნახვით"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 რუსული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 ჩაძიროგანა
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "კოდი "ენიგმა".
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "მომაკვდინებელი შერკინება"
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 საქართველო არის ესე
21.00 დოკ. ფილმი
21.20 აფხაზეთის ტელევიზია
22.10 მხ. ფილმი "სიკვდილის მახე"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 პროგრამა "მსოფლიო სპორტი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 "მომავალი"
20.00 გადაცემა "ხვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია"
21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება
23.30 "გამარჯობა"
23.10 ძველი კინოკლასიკა მხ. ფ. "სისხლში მცურავი ტახტი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "როგორ გავხდე პრინცესა"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.20 მხ.ფ. "ძლიერი ქალი"
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერ. "არაჩვეულებრივი არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. "კონდორის სამი დღე"
22.30 მხ.ფ. "გაძარცვა ინგლისურად"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მაიკლი"
13.30 მხ.ფ. "მაშველი"
15.10 მხ.ფ. "დაიჭირეთ გოტი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმ. პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "საქმის გარჩევა ბრონქსში"
22.10 მხ. ფილმი "ოცნების ზღვარი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-8 სერია
09.45 საბავშვო სერ. "ალ. მაკის სამყარო" მე-60 სერია
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-14 სერია
11.15 მხ. ფილმი "თანამგზავრები"
13.00, 17.15, 20.20, 22.00, 23.45, 00.20 მუსიკა
13.10 მულტფილმი "კონკია"
14.00 გელისიმო
14.45 დოკ. სერ. "მსოფლიო ფერწერის ისტორია"
15.15 მხ. ფილმი "საპასუხო დარტყმა"
16.30 მხ. სერი. "დაშნის დედოფალი" მე-13 სერია
17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-9 სერია
18.15 საბავშვო სერ. "ალ. მაკის სამყარო" 61-ე სერია
18.45 "კინოდოკუმენტები - 1950-იანი წლების ქრონიკა" აკაკი ბაქრაძის კომენტარებით
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-15 სერია
20.00 ლიმონი და ლიმონათი
21.10 მულტფილმი "ნამცეცა"
22.10 მხ.ფ. "ვნებათა სამყარო"
00.40 მხ. ფილმი "უსახური".

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 სათავგადასავლო ფ. "მუშკეტერების დაბრუნება"
11.05 ტელესერიალი "დედოფალი მარგო" მე-4 სერია
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ალმოსავლეთი, ალმოსავლეთია"
13.50 თრილერი "ბრონქსის ისტორია"
16.15 მულტფილმი "მეფე ლომი"
17.40 მხ. ფ. "ქალბატონის ვიზიტი" I სერია
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.30 ტელესერიალი "დედოფალი მარგო" მე-5 სერია
20.20 მხატვრული ფილმი "რიჩარდ III"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "პრესდაიჯესტი"
23.00, 00.50 საინფორმ. გამ. ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმ. გამ. ფრანგულ ენაზე
23.15 დოკუმენტური ფილმი
01.05 თრილერი "მერია"
03.30 მხატვრული ფილმი "შირი"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.40 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპ. ტექნიკა
10.40 მოკლედ... სპორტი
10.50 "ბიორითმი" - ალსუ
11.10 ანიმაცია
11.25 მოკლედ... ტექნიკა
11.30 "სახლიდან გაუსვლელად"-საყოფაცხ. ტექნიკა
12.10 "მელოდია"
12.30 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
12.45 "ბრძოლა წესების გარეშე"
13.05 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო-ვიდეო-ტელე
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპ. ტექნიკა
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "ობიექტივი"
20.35 "სახლიდან გაუსვლელად"-საყოფაცხ. ტექნიკა
21.10 "ბრძოლა წესების გარეშე"
21.30 მოკლედ... სპორტი
21.35 "სახლიდან გაუსვლელად" - ავეჯი
21.50 მელოდია
22.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 "სახლიდან გაუსვლელად"-აუდიო-ვიდეო-ტელე
22.45 "კინოკლუბი " - "ტანგო და კეში"
00.20 პრესის მიმოხილვა
00.30 მელოდია
01.00 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
01.15 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპ. ტექნიკა
01.45 "ბიორითმი" - ალსუ
02.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 Телеканал "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ".
11.15 "НИЧТО НЕ ВЕЧНО"
12.10, 16.45 Ералаш
12.20 Объектив
12.35 "ТВИНИСЫ"
13.15 Детектив "КОНСПИРАТОРЫ"
15.05 х.ф."ВРЕМЯ ЛЮБИТЬ"
16.15 Док. Детектив "Поезд с героином прибывает"
16.50 "ДРОНГО"
18.00 "Большая стирка"
19.25 Человек и закон
20.50 Поле чудес
22.00 Время.
22.35 Церемония вручения премии "Золотой орел"
00.30 х.ф. "8 1/2"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия!".
09.45, 21.55 Сериал "БРИГАДА"
10.50 "Сам себе режиссер".
11.50 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
12.20 Сериал "ЗАКОН"
13.25 "Комната смеха".
14.30 "Мусульмане".
14.45 ВЕСТИ-МОСКВА.
15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ.
15.20 ВЕСТИ-СПОРТ.
15.25 "Что хочет женщина". Ток-шоу
16.25 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
17.20 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ".
18.20 "Стань звездой".
19.20, 21.35 ВЕСТИ-МОСКВА.
19.50 "Форт Боярд".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.50 Телеигра "Ставка".
22.20 капустник "Театральное лето".
00.20 х.ф. "ДРАКУЛА"
02.45 "Дорожный патруль".
02.55 "Горячая десятка".

### НТВ

07.00 Утро на НТВ.
09.55 "СЕЗОН ОХОТЫ-2"
11.00 "Сегодня утром"
11.20 Погода на завтра.
11.25 Док. фильм "Преступление и наказание"
12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня.
12.05 "Новейшая история". А. Поборцев.
13.05 х.ф."ЕЩЕ РАЗ ПРО ЛЮБОВЬ"
14.50 Криминал
15.05 "Женский взгляд"
15.35 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО"
16.40 Ток-шоу "Принцип "Домино".
18.05 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
19.20 Очная ставка.
20.00 Сегодня с Т.Митковой
20.30 Свобода слова
21.55 "ИНФЕРНО"
00.00 "Все сразу!"
00.35 "МИСТЕР СУБОТНИЙ ВЕЧЕР"
02.45 "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА".

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა – 2002წ. 30 ოქტომბერი

ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge

ტელ: 20-24-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

შაბათს, 28 სექტემბერს, ასოციაცია "კათარზისი" იწვევს ყველა მარტოხელას, მრავალშვილიანს, ლტოლვილს და საერთოდ ყველას, ვისაც სურვილი აქვს მიიღოს ცხელი სადილი. თქვენ გელიან 12-დან 17 საათამდე სათნოების სახლში – დავით აღმაშენებლის 121. ამ დღეს თქვენი მასპინძელი იქნება "კათარზისის" მეგობართა ჯგუფი და ფოთის ნავსადგური.

"კათარზისი" თხოვნით მიმართავს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებათა მესვეურებს: 28 სექტემბერს ხელი შეუწყონ მსურველებს, უსასყიდლოდ მოაღწიონ სათნოების სახლამდე და დაბრუნდნენ სახლამდე.

ცნობებისათვის დაგვიკავშირდით 11-დან 17 საათამდე. 95-16-46 95-77-85
თბილისი, დავით აღმაშენებლის 121
სათნოების სახლი ასოციაცია "კათარზისი".

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში